

კვირის პალიტრა



№47(76) 22/XI.-28/XI.2001.

შპსი 60 თ.

1168  
2001





**ლევან პირველი  
გივი თარგამაძესთან  
რინგზე ბრძოლას  
აპირებს**

# მანიაკები საქართველოში პირბახიანს ორგანი სუსე

**„გეტსოვენას“**

**ახალი  
იმიჯი**



**ვის ემართება „სეთი“**

**ნოდარ ტაბიძე – პოეტის ძმისწული:**

**„რამდენადაც დადებითად იყო განწყობილი**

**კლასიკოსებისადმი, იმდენად სინიკურ**

**დამოკიდებულებას ამჟღავნებდა საბჭოთა**

**პოეზიისადმი... სხვათა შორის, სიმონ ჩიქოვანის**

**ერთი ღეჟის ტაყვი გაუსაზავს და მიუწერია: კარგია!“**

**გვ.30**



**მინიატურა**

„... სასაა ბავა მატარებელი...“ 3

**კონფლიქტი**

ლევან პირველი ბივი  
თარგამაქესთან რინგზე  
ბრძოლას აპირებს 4

**ანოვლია**

მანიაკები საქართველოში –  
პირტახიას ორგანიზაცია 8

**ავალუა**

ვის ემალება „სეთი“? 12

**საზოგადოება**

დედის მოკვლე შვილი დედის  
ბინებას სხვას არ კვატიობს 14

**ანტიდუკრასნატი**

ინფორმაციულ-შეფხვნიებითი  
კოლაქი გონა ღვალის  
უბის წიგნაკიდან 16

**ნაფიქციო ავტორი**

უუკი კონსილიუმი და  
გონებაგახსნილი „შერია“ 16

**კრიმინალი**

დედა და მისი ორი შვილი  
საკუთარ სახლში ამოხრცეს 18

**მსახიობი**

„ახლა კალიან დაბოლოვდა  
ვარ და არავინ არ მიყვარს...“ 21

**მსოვრება**

„მამაჩემისგან არაფერი  
მინდა – მხოლოდ მისი  
სითხოვ მჭირდება...“ 24

**გამოქანული**

„გზის“ კუბლიკანის  
შედეგ დედა-შვილი  
ერთმანეთს შეხვდა 26

**კინოლოგია**

რით დაჯაბნა ქართული ნაბაგი  
„კისლოვოდსკის ტურფაი“? 28

**იუბილე**

უსნაური ხილვების რაინდი 30

**სასარგებლო აზრები**

აფორიზმების ენციკლოპედია 31

**საფარო**

აური ჩვენი არსობისა 32

**მანიაკები საქართველოში –  
პირტახიას ორგანიზაცია**




საქართველოში სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. აგორდება ხოლმე ჭორი, რომ გამოჩნდა მანიაკი, იგაცებს ბავშვებს და ა.შ. მაგალითად, 1988-1990 წლებში ხაშურის რაიონში ვახშაურდა, რომ გამოჩნდა მანიაკი, ის აუპატიურებდა 13-14 წლის გოგონებს. დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა.

8

**„ახლა კალიან დაბოლოვდა  
და არავინ არ მიყვარს...“**

საქართველოში ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ უნახავს ფილმი „დიმილის ბიჭები“ და ამდენად არ იცნობს მის ერთ-ერთ პერსონაჟს – განუყოფელ ტრეკულ „ბეთხოვენას“. საინტერესოა, როგორია ის ახლა. მაშასადამე, წარმოვიდგინო ბაგონ ბიძინა ჩხვიძეს!



21

**დედა და მისი ორი შვილი  
საკუთარ სახლში ამოხრცეს**




იმ დღეს აბაშაშილების ოჯახის წევრები – დარეჯანი და მისი შვილები – ვია და ხათუნა საკუთარი სახლის ეზოში სანადირო თოფით მოკლეს. ამ დანაშაულისთვის სამართალდამცავებმა მეზობელ სოფელში მცხოვრები 25 წლის ვაზა ჯავახიშვილი დააკავეს.

18

**„გზის“ კუბლიკანის შედეგ  
დედა-შვილი ერთმანეთს შეხვდა**

ქართან დაკავშირებით, საეჭვიანო არაფერი აქვს. ის კი არა და, ვნანობ, ჩემი ცხოვრება ამ ადამიანის სიყვარულს რომ შევწირე და თავიანთსმცემლებს მხოლოდ იმიტომ ვეუბნებოდი უარს, რომ მეგონა, მას ვერაფერ შეედრებოდა. რაც შეეხება თამრის, მის სიყვარულს ორი დედა ვეცილებით ერთმანეთს.



26

**ტრადიციები**

თუშეთში სამი მთავარი  
ხაბ-სალონავიდან სამივე  
წმინდა გიორგისაა... 34

**საბანძური**

თამარის ჯვარი საბანძურის  
მფარველი ყოფილა... 35

**ფავორიტები**

„კელაღას“ მოყვარული  
უიღბლო „დაღადო“ 36

**პარსკვლავი**

პატრისია კაასმა  
მაჟიოგი შეიყვარა 40

**შაჰომწვანე თქვენი ხოლმე**

ტესტი ერულიციაზე 41

**რომანი**

ნუგო ბაშელი.  
ტარაკანა (ბაბრქელეზა) 42

**ავტო**

ტოკიოს ავტოსაღწი:  
ევროპა აზიის წინააღმდეგ 46

**აქეთური-ჩიეთური** 48, 49

**ქასტა**

ბეიშა ჩვეულებრივი  
მეგავი როღია 50

**ჯანმრთელობა**

- რჩევები ქალებს 54
- ჭივბით ინვაზია 55
- თქვენი პატარა 57

**ალამიანი-ლაგანა**

მესერუმიტი -  
თვითმფრინავი და ალამიანი 58

**სქანოვრდი** 61

**პროსკოვი**

კვირის (26 ნოემბერი -  
2 დეკემბერი)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

შეგიძლიათ თუ არა ალამიანეზზე  
გეგავლენის მოხდენა? 63

**კალიდოსკოპი**

ჩრელ-ჩრელი ამბები 64

**გარეკანზე: გიორგი შორჭოლიანის კოლაჟი**  
 სასოგანოვანო-პოლიტიკური შურნალი „გზა“  
 გაყოფის კვირაში ერთხელ სუთნაბათობით  
 გახვით „კვირის პალიტრის“ დამატება  
 შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 რედაქტორი: გოჩა ტყემელაშვილი  
 მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
 — შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**თუშეთში სამი მთავარი ხაბ-სალონავიდან სამივე წმინდა გიორგისაა...**




— „მაქალთი“ (ხაგობის ჭურჭლის მრეცხავი) ხაგობის ღვებში თავის ცოლთანაც რომ წაესწროთ, იქვე ფეხით ჩამოჰკიდებდნენ და თჯახს მისი დახსნა კაიძალი „ქვაბ-საკლავი“ უჯდებოდა...

34

**მესერუმიტი - თვითმფრინავი და ალამიანი**

მესამე რაიხის სამინისტროს ბიუროკრატ მოხელეებს მესერ-შიტი რომ გაეგებათ, მეორე მსოფლიო ომში გაცილებით ნაკლები მსხვერპლი იქნებოდა, მაგრამ მთელი ევროპისდა სავალალოდ, მათ ეს ვერ მოახერხეს...



58

**პატრისია კაასმა მაჟიოზი შეიყვარა**



მადმუაზელ კაასი არა მარტო მარტენ დიგრიხის დაუვიწყარი ეპოქის დროინდელ ნოსტალგიურ ბლუზებს მღერის, არამედ კინოშიც მონაწილეობს! მომდერალმა პატრისია კაასმა ცნობილი რეჟისორის, კლოდ ლელუშის ახალ ფილმში მიიღო მონაწილეობა.

40


**ქრისტიანეზ**

ქრისტიანეზს სახლს მიუახლოვდა. მანქანა გაჩერდა მის შორიას-ლოს. მანქანიდან ვაჟა და ქერათ-მიანი გოგონა გადმოვიდნენ. რეზოს ძარღვებში სისხლი გაეყინა. კალათიდან ჩამონადენმა წყალმა სულ დაუღბო ფეხსაცმელები. ყველაფერი გაქრა! ყველაფერს ისევ ფერფლისფერი დაედო...



42

# „...საცაა გავა მაწარნელი...“



დიდი გალაკტიონის საიუბილეო დღეებია ახლა... სხვა დროს ალბათ უფრო საკადრისად აღნიშნავდა საქართველო დიდი მგოსნის დაბადებიდან 110 წლის შესრულებას, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაციაა საქართველოში, როგორც კიდევ ერთმა ქართველმა პოეტმა ათქმევინა ნეტარხსენებულ მეფე ერეკლეს:

„რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი – ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი!...“

თუძცა, შედარება იქნებ არც იყოს მთლად ზუსტი, რადგან, დავითფერული ხმლების ნაცვლად, „ბერეტას“ და „სმიტ-ვე-სონს“ ატრიალებენ ძვირფას რესტორნებში ქართველი პარლამენტარები და თანაც, აბა, „სად ერეკლე და სად ჩემი ყურე-ბიანი ქული“...

საერთოდ, ყველაფერზე ქირქილი ადვილი და გულისმო-საფხანი საქმეა (ფხანა კი, ქეცმა იცისო – ილია ამბობდა), მაგრამ არც სიკეთე უნდა დაუკარგოთ ვინმეს და არც კეთილი სიტყვა დაგამადლოთ, თუკი ამას იმსახურებს:

როგორც ჩვენი დიდი წინაპრების ზეობისას, როდესაც მეფენი და დიდებულნი თოფ-იარაღსაც ისევე კარგად ფლობდნენ, როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხელოვნებას, დღევანდელი მინისტრ-მოადგილე-პარლამენტარებიც „კაცურად“ ახერხებენ საკუთარი ღირსების დაცვას – დეპუტატი ადამიანის უფლებათა დამცველისგან „იცავს თავს“ და თავ-ყბას ალუწავს, „ნამინაგანსაქმეთამინისტრისმოადგილარი“ გენერალი ინტრიგან პარლამენტარს „უზრუნველყოფს ინვალიდობის პენსიით“ და ა.შ. მაშ რა ქნან, ხომ არ იჩივლებენ?! – ვაჟკაცები არიან, ქართველები! თანაც „ინციდენტის“ შემდეგ ამაყად აცხადებენ: ნახევარი ძალით დავარტყი, თორემ კარატეში „მეხუთე დანი“ მაქვს და რომ გამემტეგბინა, ამდენს ვეღარ იტლიკინებდაო...

ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა ჩვენი ჩხუბისთავი ჩინოსანი, სადისტი და ძვლების მსხვერველია – წედან რომ გენერალი ვახსენე, როდესაც თავისი მსხვერპლის ახელილი ცხვირ-პირი იხილა ტელევიზიით, იქით გახდა სამკურნალო – ჰიპერტონიული შეტევა მოუვიდა ახალგაზრდა კაცს! ზოგიერთი პარლამენტარი კი ასეთი ოქრო გულის პატრონის პასუხისმგებლობაში მიცემას მოითხოვს – მოიცადონ, გამოჯანმრთელდება და გაიგებენ მისი მუშტის ძალას!

ამ ალიაქოთში და „წესების გარეშე ბრძოლის“ სენსების ცქერაში ლამის ყველას, და მათ შორის მეც, დაგვაიწყდა, რომ „ამოტოლა ხანია“ უმინისტრო ქვეყანაში ვცხოვრობთ და ლამის უმუშევრად დავრჩე „პროლექციის საწარმოებლად აუცილებელი ნედლეულის კატასტროფული დეფიციტის“ გამო! არადა, ისევ გალაკტიონს თუ გავიხსენებთ – „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, მინისტრობის ზოგიერთი კანდიდატი „იწვის, დნება“! ხვალ, როდესაც მკითხველი ჩვენს ჟურნალს მიიღებს, იქნებ უკვე დაკავებულიც იყოს რამდენიმე ფუმფულა სავარძელი, მაგრამ გუშინ და დღეს, ზოგიერთი ყოფილი მინისტრი და იმავდროულად ახლანდელი კანდიდატი ისე იყო ატუზული

პარლამენტის ბიუროს ოთახის კართან, როგორც „ოროსანი“ მეხუთეკლასელი სკოლის დირექტორის კაბინეტთან, მუჭში დამალულ სიგარეტს ეწეოდნენ ტუჩების კანკალით და „ბიჩოკებს“ უტოვებდნენ ერთმანეთს.

ერთმა, მინისტრობისას თავისი „სიღინჯითა“ და სიტყვა-ძუნწობით ცნობილმა გენერალმა, როგორც იქნა, იკადრა და ამომწურავი და გასაგები (!) პასუხები გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს:

- ბატონო დავით, ნერვიულობთ?
- ჰმ...
- გასაგებია. როგორ ფიქრობთ – ისევ დაგნიშნავენ მინისტრად?

– მმ...

– ამ პოსტზე თქვენი მოღვაწეობით თავად თუ ხართ კმაყოფილი?

– ნუუ... ეეე...

– რას გვეტყვით ნატოს ბლოკში საქართველოს შესვლის პერსპექტივაზე?

– ეჰ...

აბა, მოდი და ნუ დანიშნავ ასეთ კაცს, ხელმეორედ კი არა, თუნდაც მეხუთედ და მეოთხემეტედ!

ერთი სიტყვით, „ქვების შეგროვების დრო“ დასრულდა და უმორჩილესად ვთხოვ პარლამენტის მთელ შემადგენლობას და მის ახალ თავმჯდომარეს (ბოლოს და ბოლოს, აღარ მოვერიდები, რომ მანდილოსანია და მასაც მოვუწვობ „პროვოკაციებს“), დროულად დაამტკიცონ მინისტრები და ისევ თავის ნებაზე მიუშვან, მეც ადამიანი ვარ – ცოლ-შვილი მყავს სარჩენი და საკუთარ თავზე ხომ არ ვიშაყირებ?! ამაში ფულს არავინ გადამიხდის...

*P.S. ძლიერნო ამა ქვეყნისანო! იკითხეთ კლასიკოსთა შედეგები – მათში ბევრს ნახავთ დიდებულს, გენიალურს, მარადიულს... და რაც მთავარია, არ არსებობს შედეგრი, რომელ-*

*მაც სილამაზისა და გენიალურობის გარდა, ჭკუის სასწავლებელი თუ წინასწარმეტყველური არ იპოვოს მადიებელმა გონებამ – სიამოვნებასაც მიიღებთ და ცხოვრებაშიც გამოგადგებათ...*

ახლაც – გალაკტიონის დღეებში, ისევ მის სტრიქონებს შეგახსენებთ:

„ცხოვრების ბედის სადარბელი, საცაა გავა მატარებელი!“

...

მატარებელი დგას როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა...“

აბა, თქვენ იცით, შეხტომა უნდა მოასწროთ, თორემ დარჩებით დანარჩენ საქართველოსთან – თქვენგან დაბეჩავებულ მოსახლეობასთან ერთად, მიყრუებულ ბაქანზე!

**პროვოკატორი**

რესტორან „ძველ სახლში“, რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტში, თავისუფლების ინსტიტუტის საგამოძიებო უფროსლისტივის პროგრამების კოორდინატორი, ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გივი თარგამაძე, მთავარ დაძაბვად დეპუტატ ლევან პირველს ასახელებს. მისი განცხადებით, ლევან პირველმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც მოგვიანებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლაც მოჰყვა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურაში, სულიგნობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, მის უშუალო მონაწილეებს — ბივი თარგამაძეს და ლევან პირველს შევხვდით:



# ლევან პირველი ბივი თარგამაძესთან რინგზე ბრძოლას აპირებს

## ნანა ქიბიშაური

### ბივი თარგამაძე:

– ღამის 11 საათისთვის რესტორან „ძველ სახლში“, მეგობრის დაბადების დღის აღსანიშნავად მივედი. რამდენიმე წუთის შემდეგ შევნიშნეთ, რომ ჩვენს კუპესთან შეგროვდა ადამიანების ჯგუფი, რომლებსაც ისე გამომწვევად ეჭირათ თავი, რომ ჯერ პოლიციელები მეგონა. ჩვენკენ იყურებოდნენ, იგინებოდნენ, მერე კი, იარაღის ტრიალიც დაიწყო. ერთ-ერთმა ხელით მანიშნა – მოდიო. გავედი, ხელი ჩამომართვა და მკითხა: ვერ მიცანიო? მაშინ მართლაც ვერ ვიცანი, მერე გამახსენდა, ვინც იყო: თედო ჯაფარიძე, ლევან პირველის მარჯვენა ხელი. ამ ლაპარაკში ვიყავით, როდესაც უეცრად გამოვარდა თვითონ ლევან პირველი, დამარტყა ყბაში და დავვარდი. ახლა ამბობს თურმე – მე არ დამირტყამს, მე რომ დამერტყა, თარგამაძე ერთი თვე ვერ ადგებოდაო ფეხზე. არ ვიცი, რატომ აქვს ასეთი წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე. მუჰამედ ალი ჰგონია თავი? ამის მერე ჩემი მეგობრებიც წამომეშველნენ და შეიქნა ერთი გაწევა-გამოწევა. ისინი, რა თქმა უნდა, მეტნი იყვნენ: ლევან პირველს ყოველთვის პირადი დაცვის 3-4 მანქანა დაჰყვება. ისინი ზედმეტად ნას-

ვამები იყვნენ და ეს ხალხი სწორედ ამ დროს არის საშიში. ჩვენ ექვსნი ვიყავით. ჩემი მეგობრები ტანმორჩილი, მაგრამ საკმაოდ ვაჟკაცი ბიჭები არიან. მე მათ გამო შემეშინდა. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი კუპეში შევიყვანე. პირველის ხალხი კუპეში დანებით შეიარაღებული შემოგვიცივდა. თან ყვიროდნენ: თავისუფლების ინსტიტუტმა დაანგრია ეს ქვეყანაო!.. ამის შემდეგ მოვახერხეთ ის, რომ ჩხუბის ეპიცენტრმა ქვემოთ ჩაინაცვლა. შორეულ კუპეში ვიმალებოდი, რადგან მათი გაღიზიანების ფაქტორს სწორედ მე წარმოვადგენდი. მას შემდეგ კი, რაც რესტორნის დიდი ჭიშკარი დახურეს, უკვე იარაღი ამოიღეს და სროლა დაიწყო.

– უშუალოდ ლევან პირველმა ისროლა და თქვენ გესროლათ?

– ისროდნენ ლევან პირველი, თედო ჯაფარიძე და კიდევ რამდენიმე კაცი. რესტორნის დაცვა ძალიან უმწეოდ გამოიყურებოდა. მისმა თანამშრომლებმა მოგვიანებით განაცხადეს – შესაძლოა, იარაღი ორივე მხარეს ჰქონოდაო. არადა, ძალიან კარგად ხედავდნენ, ვისაც ჰქონდა იარაღი. ჩვენ ისევ ნაცნობობით მოვახერხეთ ის, რომ შემთხვევის ადგილზე მთაწმინდის რაიონის პოლიციიდან მოსულიყო პოლიციელები, თუმცა, მის იქ

გამოჩენას არანაირი ეფექტი არ მოუხდენია. როდესაც გაიგო, თუ ვისთან ექნებოდა საქმე – განაცხადა: თუ აქ ლევან პირველია, მე მას ვერ მოვთოკავ: ის არის სპილო, მე – წრუწუნა, თქვენ კი, ახალგაზრდა ხალხი ხართ და გირჩევთ, ამ კორუფციასთან ბრძოლას თავი დაანებეთო...

– რა დისტანციიდან გესროლათ ლევან პირველმა?

– დაახლოებით 3-4 მეტრის მანძილიდან. ალბათ გახსოვთ ანალოგიური შემთხვევა, რომელიც „თამარიონში“ მოხდა და მძიმე შედეგით დამთავრდა (იგულისხმება რესტორანში ორი წლის წინ მომხდარი ტრაგედია, როდესაც 21 წლის ირაკლი უჩანეიშვილი მოკლეს. – ავტ.), ზუსტად იგივეს აკეთებდნენ ახლაც. ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სიმთვრალის დროს საკუთარ ქმედებას ვერ აკონტროლებს. ძალიან კარგია, რომ ეს ყველაფერი ამ შემთხვევაში მშვიდობიანად დამთავრდა. მათ თუ აქვთ კეთილი ნება და არ უნდათ, რომ მომავალში მსგავსი დანაშაული ჩაიდინონ, მაშინ როდესაც სვამენ, იარაღი სახლში უნდა დატოვონ.

– მაინც რა უნდა ყოფილიყო ლევან პირველის გაღიზიანების საფუძველი?

– სანამ დამარტყამდა, ჩვენ შორის არანაირი სიტყვიერი შელაპარაკება არ

ყოფილა. ჩვენი ასეთი ურთიერთობა სამი წელია გრძელდება. დადაბულობა დაიწყო 1999 წელს, მაშინ, როდესაც კინოს სახლში გამართულ ფორუმზე, ლევან პირველი ვამხილეთ. ჩვენ — მე და სოზარ სუბელიანი — გამოვააშკარავეთ მისი ფირმის „ანგლო-ოილის“ „საქენერგოსთან“ კონტრაქტის დეტალები, რომელიც კორუფციაზე იყო აგებული. ამ ამბებთან დაკავშირებით, მე და ლევან პირველის ხალხს „ბოულინგ-ცენტრში“ გვქონდა შეხვედრა. ეს ხალხი მაშინაც ზომაზე მეტად იყო ნასვამი, იქაც ფიგურირებდა იარაღი. მაშინ გარკვეული დათმობების, ლავირებისა და ხანგრძლივი მოლაპარაკებების მეშვეობით მოვახერხე ის, რომ საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოსხლამდე არ მისულიყო. მუქარებს კი, სისტემატური ხასიათი ჰქონდა. სატელეფონო ზარები და მუქარები შესუსტდა მაშინ, როდესაც „თამარიონში“ მოხდა მკვლელობა.

**— კონკრეტულად, რას ითხოვდა ლევან პირველი თქვენგან?**

— ითხოვდა, რომ „ანგლო-ოილის“ ფირმის საქმიანობაზე საერთოდ არ გველაპარაკა.

**— მაგრამ ისინი აღიარებდნენ, რომ თქვენს დასკვნაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერებოდა?**

— ისინი ამას უარყოფდნენ, თუმცა, საკუთარი ნათქვამის არგუმენტირებულად დასაბუთებისათვის არ იწუხებდნენ თავს. დაწყებული ოპერაციის ბოლომდე მიყვანას პრეზიდენტის დახმარებით შეეცადნენ. უნდოდათ, ხალხის ჯიბიდან 46 მილიონი დოლარის ამოღება. ამას ჩვენ კატეგორიულად დავეპირისპირდით. მოხდა ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება. საბოლოოდ კი, ყველაფერი ამ ინციდენტით დასრულდა.

**— ანტიკორუფციული საბჭოს სხვა წევრების მიმართაც თუ იყო ამგვარი მუქარები?**

— მე და ანტიკორუფციული საბჭოს სხვა წევრებს, ამ საკითხზე ერთმანეთისთვის აზრი არ გავვიზიარებია.

**— ამ ფაქტის გამო, თავისუფლების ინსტიტუტი ლევან პირველისთვის პარლამენტარის იმუნიტეტის მოხსნას მოითხოვს.**

— ზოგადად, დეპუტატებისთვის იმ-

უნიტეტის მოხსნის ან მკვეთრი შემცირების მომხრე არ ვარ. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ, საკმარისი ფაქტი და საკმაოდ ბევრი კანონდარღვევა მოგროვდა იმისათვის, რომ ლევან პირველისთვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი დადგეს.

**— თუ თქვენ ლევან პირველი, პრეზიდენტის სანათესავოსთან ერთად ამხილეთ კორუფციაში, გამოდის, რომ მას, დეპუტატის იმუნიტეტთან ერთად, თავად პრეზიდენტიც დაიცავს?**

— აქ საქმე გვაქვს „გარდამავალ“ მეგობრობასთან. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს მხარეები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ამას არ მალავს გოგი ახვლედიანის (ე. შევარდნაძის მძახალი. — ავტ.) კლანი. თუმცა, ბოლო დროს ლევან პირველი ამბობდა, რომ პრეზიდენტის სანათესავოსთან მისი ურთიერთობა გაფუჭდა. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ლევან პირველის ფირმის სასარგებლოდ პრეზიდენტის ბრძანებულების ინიცირება სწორედ ამ გზით მოხერხდა.

**— რას ფიქრობდით, როდესაც თქვენი მიმართულებით ისროდნენ?**

— იმ წუთებშიც იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომეხერხებინა ამ ინციდენტის მშვიდობიანად დამთავრება. ვფიქრობდი, რომ ჩემი სიცოცხლე უფრო დიდ საქმეს ეწირებოდა, ვიდრე რამდენიმე ნასვამი ადამიანის ქმედებას. მე ისეთ საქმიანობას ვეწევი, რომელიც ამ ქვეყანაში ძალიან ბევრს აღიზიანებს და ეს ჯგუფიც ქვეყნის უმსგავსი მმართველების ერთ-ერთი ნაწილია.

**— ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს გაკმაყოფილებთ თუ ამ ამბავს სხვა, ენ. ქუჩის გარჩევები მოჰყვება?**

— სისხლის სამართლის საქმე კი აღიძრა, მაგრამ არა მგონია, ამ საქმის გამოძიებას დიდი პერსპექტივა ჰქონდეს. რაც შეეხება ქუჩის გარჩევებს, მე ყოველთვის ვერიდებოდი შავ სამყაროს და მასთან დაკავშირებულ ადამიანებს. მაგრამ თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, პრეზიდენტი, სამართალდამცავები და ხელისუფლების

სხვა წარმომადგენლები კვლავაც თუ არ შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, თუ გაგრძელდება შემოტევები ჩვენი მისამართით, იძულებულნი ვიქნებით, მათ ქმედებებს ადეკვატური პასუხი გავცეთ. მე მყავს მეგობართა უფრო დიდი წრე, ვიდრე ლევან პირველს. თუმცა, ვიძეობ, არანაირი სურვილი არ მაქვს, არაცივილიზებული გზით განვითარდეს მოვლენები... იმ სიტუაციაში, როდესაც ამდენმა ხელისუფლების წარმომადგენელმა ვერ დამიცვა, ისევ ჩემმა მეგობრებმა იმარჯვეს. მომავალშიც მათი იმედი მაქვს და კიდევ — ხალხის იმედი: ამ ორ დღეში 1000-ზე მეტმა ადამიანმა დამირეკა. თუ ლევან პირველი ასე გააგრძელებს, იძულებული ვიქნები, ათასობით ადამიანი შევახვედრო მას. ეს არის ხალხი, ვისთანაც ის იარაღის ენით ლაპარაკს ველარ მოახერხებს.

**ლევან პირველი:**

**— ბატონო ლევან, რის საფუძველზე მოხდა ინციდენტი თქვენსა და თარგამაძის შორის?**

— რის საფუძველზე და, როდესაც დავინახე, ვუთხარი ის, რასაც მასზე ვფიქრობდი.

**— რას ფიქრობთ იმის გარდა, რაც ტელევიკრანიდან დააფიქსირეთ? — ვგულისხმობ იმას, რომ მას ნაცარქექია უწოდეთ.**

— ნაცარქექიაც არის და ქვეყნის დამაქცევარიც. ის უცხოეთიდან მიღებული ფულით ყველაფერს აკეთებს არაქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ მათთვის, ვინც მას აფინანსებენ.

**— კონკრეტულად, რა სიტყვები თქვით მისი მისამართით?**

— ტელევიზიით გადმოცემისას, მოკლე სიგნალი ისმის ხოლმე ასეთი სიტყვების დროს.

**— რამდენად შეეფერება სინამდვილეს თარგამაძის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი მისამართით თქვენგან ხშირი იყო მუქარის ზარები?**

— რაში მჭირდება მუქარის ზარები მაშინ, როდესაც, ამ პიროვნებას როდესაც ვხედავ, პირშიც ვუბნები, რასაც მასზე ვფიქრობ.

— თქვენ უარყოფთ თარგამაძის ცემის ფაქტსაც და მის მონათხრობს, ტყუილსა და პროვოკაციას უწოდებთ. როგორ ფიქრობთ — რის მიღწევას ცდილობდა ამით გივი თარგამაძე?

— რის მიღწევასაც აპირებდა, იმას ვერ მიაღწევს, რადგან თავისუფლების ინსტიტუტი ამ პროვოკაციის აგობას ცდილობდა იმისათვის, რომ დეპუტატები არ გასცნობოდნენ იმ საბუთს, რის გამოქვეყნებასაც კვირას ვაპირებდი. ეს იყო შანტაჟი და ზეწოლა ჩემზე, რომელმაც ვერ იმუშავა. საბუთების გამოქვეყნებამდე ჩემთან გაისმა ანონიმური ზარი: მითხრეს, რომ თუ ამ საბუთს სააშკარაოზე გამოვიტანდი, მე რაღაცას „ამიგორებდნენ“.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ზარი თავისუფლების ინსტიტუტიდან მოდიოდა?

— ფაქტია, რომ მოდიოდა იმათი მხრიდან, ვისაც არ უნდოდა, რომ ეს ინფორმაცია ხალხში გასულიყო და ვინც ეს მუქარა აასრულა.

— როგორ ფიქრობთ — თქვენც ხომ არ დაეხმარეთ ამ მუქარის ასრულებაში? როგორც ამბობენ, ლევან პირველი ნასვამ მდგომარეობაში გაუნონანსორებელი პიროვნებაა.

— თვითონ თარგამაძე მკურნალობდა იმის გამო, რომ პათოლოგიური სიმთვრალე აქვს და ეს იცის მთელმა ქალაქმა. ასეთი ადამიანი ჩემზე როგორ ლაპარაკობს?

— რა საბუთია ის, რისი გამოქვეყნებაც არ აძლევს ხელს თავისუფლების ინსტიტუტს?

— ეს არის „ეი-ი-ეს“-ის ხელმძღვანელობის მიერ პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც დაფიქსირებულია „ეი-ი-ეს“-ის მიერ საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების სტაბილიზაციის გეგმა, პირობები და წინადადებები, რომელიც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენი მოსახლეობისათვის და მხოლოდ ფორმის ინტერესებს ემსახურება. აქ კიდევ ერთხელ არის საუბარი ტარიფის გაზრდის დაუყოვნებლივ დამტკიცებაზე, გადახდის უნარო მოსახლეობის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსში ჯარიმებ-

ისა და საურავების შემოღების შესახებ და, რაც მთავარია, იმის შესახებ, რომ ამ ჯარიმებისა და საურავების მოკრების უფლება მხოლოდ და მხოლოდ „ეი-ი-ეს თელასს“ უნდა მიეცეს. ეს ნიშნავს იმას, რომ გარეთ გამოტანილი, მათ მიერვე დაზიანებული მრიცხველის გამო, თვითონვე უნდა აკრიბონ საჯარიმო გადასახადები. და კიდევ ერთი, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კარგი იქნება, სემეკმა (ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია. — ავტ.) 2002 წლის აპრილიდან შემოიღოს შემდეგი სტრუქტურის ტარიფი: ფიქსირებულ გადასახადს პლუს ეტაპობრივი ტარიფი, — ეს კი სხვა არაფერია, თუ არა გაჭირვებული მოსახლეობის დაცინვა და ცინიზმი. როგორ შეიძლება მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ზრდილ ტარიფს?!

— რატომ უნდა აინტერესებდეს თავისუფლების ინსტიტუტს ელექტროენერგიასთან და „ეი-ი-ეს“-თან დაკავშირებული საკითხები იმ დონემდე, რომ თუნდაც გივი თარგამაძეს ამგვარი „თავგადასავალი“ მოეწყო?

— ამ ინსტიტუტთან დაკავშირებულ ადამიანებს ამერიკა აფინანსებს და თან უკანვე მოჰყვება, რომ თავისი ინტერესები გაამყაროს საქართველოში. თავისუფლების ინსტიტუტს და ამერიკული ორიენტაციის ისეთ პოლიტიკოსებს როგორც, მაგალითად, სააკაშვილია, უკან მოჰყვება ამერიკული კომერცია და ისინი ვალდებულები არიან, შემდეგში მას ქართველი ხალხის ხარჯზე მოუწყონ ოაზისი. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი, ოქრუაშვილი და მათი ჯგუფი თავისუფლების ინსტიტუტთან ერთად ლობირებს „ეი-ი-ეს“-ს. ჩემი იმიჯის შელახვის შედეგად კი, ფიქრობდნენ, რომ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგაც ხალხი იფიქრებდა, თითქოს „ეი-ი-ეს“-ის საწინააღმდეგო ბანაკში განგსტერები არიან და მათ მხარს არ დაუჭერდა. სინამდვილეში, თვითონ გააკოტრეს განგსტერულად ქვეყანა. ქართველი ხალხი ბოლოს მაინც მიხვდება, სად არის ძალ-



გივი თარგამაძე

ლის თავი დამარხული. ვიღაც შეგნებულად ცდილობს, ელექტროენერგიის პრობლემა არ მოგვარდეს. ამით იმართება საზოგადოება და მართვის სადავეები არის ამ ჯგუფის ხელში.

— გივი თარგამაძე, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი, ახსენებს იმ 46 მილიონ დოლარს, რომლის ამოღებასაც თქვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ხალხის ჯიბიდან აპირებდით.

— ლაპარაკობენ ხალხის ჯიბიდან ფულის ამოღებაზე, სინამდვილეში კი, საქმე სხვა რამეშია, კერძოდ — ამერიკული ბანკი ეომება ავსტრიულ ბანკს. ის 46 მილიონი ხალხის ჯიბიდან კი არა, იმ ფულიდან დაიფარებოდა, რომელიც ახლა ამერიკას მიაქვს. ეს ძალიან რთული საკითხია და მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ არა ისეთმა მთავრობამ, სადაც მირცხულავასნაირი მინისტრები არიან. ჩემს წინააღმდეგ სწორედ ეს „ამერიკული გუნდი“ მუშაობს. მისი აგორებულია ჩემ შესახებ ბოლო წლებში აგორებული სკანდალები. მინდა, ხალხმა იცოდეს ეს და ისიც, რომ მე მისთვის არაფერი წამირთმევია. პირიქით, როდესაც ჩემი პროექტი ავსტრიული დაფინანსებით მუშაობდა, რომელიც გააჩერეს, მაშინ გამომუშავება იყო 8,7 მილიარდი კვ/სთ, წელს კი იქნება 6,7 მილიარდი — ეს არის მას შემდეგ, რაც ენერგეტიკა ამერიკელების ხელში გადავიდა. ამ ყველაფრის უკან დგას ფვანია-საკაშვილის გუნდი. ისინი მებრძვიან მე და ამიტომ არის, რომ დღეს, როდესაც სხვა საქმე უნდა მეკეთებინა, მთელ ენერჯიას თავდაცვაზე ვხარჯავ.

— რაც შეეხება თავდაცვას, ამბობენ, თქვენს პირად



**დაცვას 3-4 მანქანა სჭირდება...**

– 3-4 კი არა, 15 მანქანითაც რომ დავდიოდე, ჩემი და ჩემი კომპანიის მანქანებით დავდივარ. თქვენ ის იკითხეთ, თარგამაძე ვისი ფულით დადის. რამდენადაც ვიცი, მას ამერიკელები საკმაოდ ბევრ ფულს უხდიან.

**— თქვენც საკმაოდ მდიდარი კაცი ხართ...**

– ჩემს კომპანიას მართავს ჩემ მიერ დანიშნული ჯგუფი, მაგრამ მე პოლიტიკაში ვარ გადასული და იმის ნაცვლად, რომ ქონება მოვიპოვო, იმაზე ვფიქრობ, რომ ის ქონება, რაც საქართველოში არსებობს, არ განიავდეს. შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩემი პირადი ქონება აღარ მაინტერესებს. დღეს შემიძლია ისიც ვთქვა, რომ პრაქტიკულად, ბიზნესმენი აღარც ვარ.

**— არ გალღევებთ ის ფაქტი, რომ თქვენთვის დეპუტატის იმუნტეტის მოხსნის საკითხი დადგა?**

– ეს საკითხი დააყენა თავისუფლების ინსტიტუტმა და ამიტომ, არ მალეღვებს. მათ გენპროკურორის ფუნქციაც შეითავსეს.

**— თქვენ იმუნტეტის მოხსნა რეალურად ალბათ არ დაგემუქრებათ იმიტომ, რომ გიცავთ პრეზიდენტის სანათესავო, რომელთანაც თქვენ საერთო საქმე გაკავშირებთ...**

– დღეს ისეთი სიტუაციაა, თვითონ პრეზიდენტს ვერ იცავს მისი სანათესავო და მე როგორ დამიცავს?! როგორ შეიძლება, კაცს „გრეხად“ ეთვლებოდეს ის, რომ პრეზიდენტის ნათესავია, ან მასთან დაახლოებული პირი?

**— როგორც ვიცი, ყოფილი სპორტსმენი ხართ.**

– კი, მოთხილამურე ვარ და შავი ქამარიც მაქვს კარატეში.

**— როგორც გივი თარგამაძე ამბობს, საკუთარ თავზე გამოსცადა, რომ, არც ისეთი მაგარი ხელი გქონიათ, როგორც თქვენ ფიქრობთ...**

– აი, ეს არის პროვოკაცია. უნდა, მაინცდამაინც საკუთარ თავზე რომ დავუმტკიცო, რა შემიძლია?

**— ხშირად გინევდათ ხალხს გალახვა?**

– ჩხუბი ხშირად მიწევდა – აბა, ისე როგორ უნდა გაიზარდოს კაცი?

**— კი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონინააღმდეგე ხელს არ გიბრუნებთ, ქართული წესების მიხედვით, აღარც თქვენ უნდა იჩხუბოთ.**

– გივი თარგამაძე სხვადასხვა გაზეთს სხვადასხვა ვერსიას სთავაზობს: ერთ-ერთი ვერსიით, მე ჯერ ვცემე, მერე ის დავარდა, მე დავეუწყე სროლა და ამ დროს ის ყვიროდა: „არა, ლევან პირველო, მე შენ არ გაგატან საქართველოს ხალხის 46 მილიონ დოლარს!“ ეს დაიბეჭდა „კრიმინალში“, „ალიაში“. სხვა ვერსიაა „რეზონანსში“. იქ ამბობს, რომ მე ოთხი იარაღით ვესროდი. მინდა, ერთ-ერთი გაზეთიდან ამოაჩიოს საუკეთესო ვერსია. მოაწეროს ხელი იმაზე, თუ რას ნიშნავს ცრუ ჩვენება და თუ ვერ დაამტკიცებს თავის სიტყვებს, პასუხი აგოს.

**— გაგრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტის შემდეგ თქვენ გუდაურში გაემგზავრეთ სანადიროდ...**

– წარმოიდგინეთ, რა ცივისხლიანი ბანდიტი და ცივი გონების ადამიანი უნდა ვიყო, ასე რომ ვიქცეოდე: წინა დამით თარგამაძეს სასიკვდილოდ ვიმეტებ – ჯერ ვცემ, მერე ოთხი იარაღით ვესვრი. თან – 3-4 მეტრის დისტანციიდან და თან ვაცდენ, მერე მივლეე დანით ხელში კუპეში, მერე კი – მივღივარ სანადიროდ... არაფერი მსგავსი არ ყოფილა – უბრალოდ, გავიარე და ვუთხარი: როგორ დაღუპეთ ეს ქვეყანა, თქვენ უბედურებო-მეთქი! და წავივი სანადიროდ. ჩამოვედი და აგერ, ტელევიზიით ვნახე, როგორ გამოიყურება ვითომ „ნაცემ-ნასროლი“ თარგამაძე და დავრწმუნდი, რომ ის ისე სიმპათიურად გამოიყურება, როგორც არასდროს. და თუ მაინც უნდა ნახოს, როგორი ჩხუბი იცის ლევან პირველმა, გამოვიწვევ მას იმ სახეობაში, რომელშიც სურვილი ექნება, – უნდა კრივში, უნდა – კარატეში. მოვიწვიოთ საზოგადოება ვისაც ის ენდობა, იქიდან – თავისუფლების ინსტიტუტი, იელოვლები და მამა ბასილი, აქედან კი – დეპუტატები, და გავმართოთ საჩვენებელი ბრძოლა... ეს ყველაფერი სასაცილოა, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ეს ხალხი ასეთი შოუებით აკეთებს ფულს.

**— რა ეტაპზეა „თამარიონში“ მომხდარი მკვლელობის საქმე?**



ლევან პირველი

– ამ საქმეზე გაიარა სამი სასამართლო. ყველა ბრალდება მომეხსნა, მაგრამ რადგან ამის გამოქვეყნება არავის აწყობს, საბოლოო სახე მაინც არ მიიღო. ეს საქმე შეაჩერეს იმის გამო, რომ მქონდა დეპუტატის იმუნტეტი. მე, სიმართლის დადგენაში გამოძიებას ხელი რომ არ შემიღოდა, მოვისსენი პარლამენტარის იმუნტეტი და ჩვენებები მივეცი. ახლა უნდა მივმართო სამხედრო პროკურატურას, რომ ეს საქმე დროზე მიიყვანოს ბოლომდე და გადასცეს უზენაეს სასამართლოს.

როგორც იარაღის მოყვარული დეპუტატის მეგობრებისგან შევიტყვევებ, ლევან პირველი ამ ინციდენტის შემდეგ მართლაც წასულა გუდაურში სანადიროდ და საკმაოდ შორი მანძილიდან მოუნადირებია ჯიხვი. იმასაც ამბობენ, რომ სულ მალე ლევან პირველი მეორედ შექმნის ოჯახს. ამჯერად, პატარძალი იქნება „მის ავსტრია“. დაზარალებული ანტიკორუფციული საბჭოს წევრის მეგობრები კი ამბობენ, რომ თარგამაძე საკმაოდ გაწონასწორებული და შეუპოვარი ადამიანია და თუ ლევან პირველს მის მიმართ აგრესია არ გაუჩნდებდა, ისინი მზად არიან, მსგავს სიტუაციაში მეორდით აეფარონ მეგობარს, რადგან, მათი განცხადებით, ლევან პირველი მიზანს ყოველთვის არ აცდენს.

დაბოლოს, ჩვენ ორივე მხარის მონათხრობი უცვლელად, ჩვენი კომენტარის გარეშე შემოვთავაზებთ.

იმედია, მკითხველი თავად დაასკვნის და შეიქმნის აზრს (თუ უკვე არა აქვს შექმნილი), თუ რას წარმოადგენს ლევან პირველი და რას – გივი თარგამაძე.

# მანიაკები საქართველოში



უკვე იმდენი დაინერა და ითქვა „რუსთაველ მანიაკად“ მონათლული ფრიდონ პირტახიას შესახებ, რომ ახალს ვერაფერს დავამატებთ, მაგრამ არსებობს შტრიხები, რომელიც მხოლოდ მისმა გარემოცვამ იცის. საკვირველი ის არის, რომ გამომძიებლებით დაწყებული — მეზობლებით დამთავრებული — ყველა დადებითად ახასიათებს ამ კაცს...



## პირტახიას ორმაგი სახე

### მარი ჯაფარიძე ლელა ჭანოტაძე

ფრიდონ პირტახია გავრამი 1964 წლის 16 მარტს დაიბადა. ჰყავს მეუღლე — თამარი და 14 წლის ქალიშვილი — ლიკა. 1999 წლის სექტემბრიდან ცხოვრობდა რუსთაველში, სადაც მარტო გადავიდა — მეუღლე, დედა და შვილი საცხოვრებლად იქ დარჩნენ და ისევე, როგორც ლტოლვილთა უძრავი სახლი, წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ. ფრიდონი მატერიალურად საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, დროგამოშვებით, მას დედა ეხმარებოდა. თავად არსად უშუშავია. 2001 წლის იანვრიდან მასთან საცხოვრებლად ჩავიდა მეუღლე, იმავე წლის ზაფხულში კი — შვილი, რომელიც შემდგომ რუსთავეის ერთ-ერთ კოლეჯში შეიყვანეს სასწავლებლად. მეუღლე — თამარ პირტახია ზაფხულში, მუშად მუშაობდა ფირმა „ვაზბეგში“, შემდეგ, შემცირებაში მოჰყვა და ბოლოს, ერთ-ერთ საფოსტო განყოფილებაში მოეწყო. ცოლ-ქმარს საკმაოდ თბილი და კარგი ურთიერთობა ჰქონია. ქალიშვილს ძალიან უყვარდა მამა. ფრიდონიც საკმაოდ მზრუნველი და მოსიყვარული მამა ყოფილა. წინათ, ლიკას პატარაობისას, როცა მეუღლე ლამის ცვლაში მუშაობდა ხოლმე, ფრიდონი ბავშვს უვლიდა, ბანდა, აძინებდა, საჭმელსაც კი უშხადებდა.

ახლა გადავხედოთ იმ დანაშაულებათა ნუსხას, რომლის ჩადენაც ფრიდონ პირტახიას ბრალდება:

— 1999 წლის 13 აგვისტოს მოკლა

14 წლის ნანა ბრეგვაძე და გვამი გადაძალა ქარხანა „აზოტის“ საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მშენებარე სახლის სარდაფში.

— 1999 წლის 18 ოქტომბერს გააუპატიურა და შემდეგ მოკლა პირველი კურსის სტუდენტი — 16 წლის ხათუნა მანაშვილი.

— 2000 წლის 29 მაისს რუსთაველში, მშენებარე საავადმყოფოს შენობაში გააუპატიურა და დანით მოკლა 28 წლის მარინა გრიდნევა.

— 2000 წლის 2 ივლისს, გარდაბნის რაიონში, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ტერიტორიაზე მდებარე მიტოვებულ საინკუბატორო საამქროს სპეციალურ საცავში გააუპატიურა და შემდეგ მოკლა 21 წლის სოფო კუბლაშვილი.

— 2000 წლის 15 ივლისს რუსთაველში, თავის ბინაში დანით მოკლა 43 წლის მზია ხუციშვილი.

— 2000 წლის 29 ივლისს რუსთაველში, მე-18 მიკრორაიონის ტერიტორიაზე მოკლა 35 წლის მარინა იმერლიშვილი.


— 2001 წლის 12 ნოემბერს ფრიდონ პირტახია დააკავეს მარტვილში ბავშვის გაუპატიურების მცდელობის გამო, შემდეგ გადმოიყვანეს თბილისის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წინასწარი დაკავების საკანში, სადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა: ერთჯერადი სამართლებლით ვენები გადაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

**შალვა ნიძაბაძე**, თბილისის რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურის

ის უფროსი გამომძიებელი:

— შეგვატყობინეს, რომ მარტვილში დააკავეს ვინმე ფრიდონ პირტახია, რომელმაც აღიარა რუსთაველში ჩადენილი 2 დანაშაული. მასალები წავიღეთ და მარტვილში ჩავიღეთ. დავინახე თუ არა, მაშინვე მივამსგავსე ფოტორობოტს, რომელიც „რუსთაველ მანიაკად“ შერაცხული ადამიანის მონაცემებით შეიქმნა. ჩემთან საუბრისას, ორ აღიარებულ დანაშაულთან ერთად, კიდევ 4 მკვლელობისა და გაუპატიურების ფაქტი აღიარა. საუბრობდა მშვიდად, აუღელვებლად, მაგრამ თუ რაიმე კონკრეტულ შეკითხვას დავუსვამდი, ნერვები ეშლებოდა. მეხვეწებოდა — კაცი არა ხარ? — მომკალიო: მე ისეთი საზიზღრობები მაქვს ჩადენილი, საცოცხლებელი არ ვარო. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მას ბევრი სხვა დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელიც ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

### გამომძიებელი შალვა ნიძაბაძე



**— თქვენი სიტყვები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პირტახიას ბევრ გაუხსნელ მკვლელობას მიაწერენ?**

— არა, გამოირიცხულია. გაუხსნელი საქმე, ისევე გაუხსნელი დარჩება, თუ საქმის მსვლელობის დროს რაიმე საგულისხმო დეტალი არ გამოიკვეთა.

**— პირტახიას საკანში რა მოხდა?**

— როგორც პატიმრები ამბობენ, ფრიდონი საკანში რომ შევიდა და ჰკითხეს — ვინ ხარ და რაზე დაგვირეცხე, — უთქვამს: გაზეთებს არ კითხულობთ ან ტელევიზორს არ უყურებთ? — მე ვარ ის „რუსთაველი მინიაკი“, რომელმაც ის გოგონები დახოცაო. მერე მოუყოლია ყველა მკვლელობის შესახებ, რომელიც ჩაიდინა და ჩვენთან აღიარა და დაამატა კიდევ 4 მკვლელობა, რომელიც სოჭში ჩაუდენია: გაუუპატიურება მე-4 კლასელი ბავშვი და გვამი დაუწვავს. ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც სხვა დანარჩენში, ვერ იხსენებს თვეს, რიცხვს, ადგილს, სადაც დანაშაული ჩაუდენია. სამაგიეროდ, კარგად ახსოვს სხვა დეტალები. მე ის დაგკითხე ხათუნა მანაშვილის მკვლელობის გამო და მან დაწვრილებით აღმოწერა მისი ტანსაცმელი და საცვლებიც კი. ვკითხეთ, ზოოვეტთან მომხდარი მკვლელობა შენი ჩადენილია-თქო? უარყო და მოგვიყვანა სხვა მკვლელობის შესახებ (როგორც თვითონ ფიქრობდა) სინამდვილეში კი გვიყვებოდა სწორედ ზოოვეტთან მომხდარ ფაქტს. მივანიშნეთ, რომ ერთსა და იმავე დანაშაულზე ვლაპარაკობდით, გვიპასუხა — მე რა ვიცი, სად არის ზოოვეტი და სად — გარდაბანო...

**— ადრე დომინირებდა აზრი, რომ მანიაკი რომელიღაც სექტის წევრია...**

— ეს ვერსია გამოირიცხა. მაგალითად, სანთლები ნაპოვნია მხოლოდ ერთი მკვლელობის ადგილზე. ის ოთახი იმდენად ბნელია, რომ ადვილად შესაძლებელია, იქ მანამდე მუშებს ან სულაც მაწანწალებს დაენთოთ...

**— დაკითხვის დროს როგორ იქცეოდა?**

— მშვიდად, დალაგებულად საუბრობდა, თან ცრემლსაც ღვრიდა. ერთადერთი, რაც ვერ მოახერხა, ეს წერაა: ჩვენება ჩემი ხელით დაწვერი და მან მხოლოდ ხელი მოაწერა.

**— ჩადენილი ქმედებების მიზეზად რას ასახელებდა?**

— ამ კითხვაზე არ უპასუხია — დუმდა.

**— წინათ, როდესაც პატიმრობაში იმყოფებოდა, ვინმეს მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება ან, ვთქვათ, მისი გაუპატიურება ხომ არ უცდია?**

— იგივე კითხვა ჩვენც დავუსვით და მან უარყო, თუმცა, ახლა ამ ფაქტის გადამოწმება ხდება.

**— რატომ არ მოახდინეს მისი სრული იზოლაცია წინასწარი პატიმრობის დროს?**

— ეს უნდა გაეკეთებინა სასჯელ-აღსრულების დეპარტამენტს. წესით, პატიმარი იზოლაციაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომ არ მოხდა ასე, მათ უნდა ჰკითხოთ.

**ირმა საბაძაძე, კარის მეზობელი:**

— ასე მგონია, რაღაც საშინელებათა ფილმს ვუყურებ და სადაცაა, ფილმი დამთავრება: შოკირებული ვარ — კარის მეზობელი იყო ადამიანი, რომელსაც ეს საშინელი მკვლელობები ჰქონია ჩადენილი! მე 11 წლის გოგონა მყავს. სახლის გასაღებსაც და ბავშვსაც თამამად ვანდობდი ხოლმე ფრიდონს. თუ სახლიდან გავდიოდი, ბავშვს მას ვუტოვებდი და — აბა, შენ იცი, მიმიხედე-მეთქი, — ვუბნებოდი. ახლაც მზარავს იმის წარმოდგენა, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო.

**— როგორ დაახასიათებდით როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— დადებითად. თუ რაიმე კარგი შეიძლება ითქვას ადამიანზე, ფრიდონი სწორედ ასეთი იყო: ოქროს ხელი ჰქონდა, მისი გაუკეთებელი არაფერი იყო და არც დაგზარდებოდა, თუ რამეში მისი დახმარება დაგჭირდებოდა. მოგეხსენებათ, რომ რუსთაველში წყლის დეფიციტია. დილით 10-11 საათისთვის მეზობლების უმრავლესობას წყალს ის უზიდავდა ხოლმე. ბავშვებს უყვარდათ მასთან თამაში და ისიც სიამოვნებით ერთობოდა მათთან. არასოდეს შეგვინიშნავს რაიმე, სულ მცირე გადახრაც კი. ძალიან იშვიათად სვამდა. სიმთვრალეც კარგი ჰქონდა. წყნარი, მშვიდი და გულგახსნილი ადამიანი იყო. ვიცოდით, რომ პატიმრობაში იყო ნამყოფი (ფრიდონ პირტახია 1987 წელს გაგრაში ქურდობისთვის დაიჭირეს, შემდეგ კი, 1998 წლამდე, იხდიდა სასჯელს ქალის განზრახ მკვლელობისთვის. — ავტ.), მაგრამ ამას მეზობლებთან ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია. აკურატულობით არ გამოირჩეოდა, წვერგაუპარ-



პირტახიას მეზობელი ნოდარ ჯანაშვილი

სავიცი ხშირად დადიოდა. სულ ვსაყვედურობდით: ახალგაზრდა კაცი ხარ და თავს მიხედეთქო. არასოდეს შემიძინა, რომ ვინმე მიყვანოს სახლში. მასთან მისი დედაშვილები და და დადიონენ ხოლმე სტუმრად. წყნარად ცხოვრობდა. ერთადერთი — მაგნიტოფონის ხმამაღლა ჩართვა უყვარდა და ამას ვსაყვედურობდით ხოლმე. აწუხებდა ნოსტალგია აფხ-

აზეთზე: ყოველთვის გულისტკივილით იხსენებდა და იქ დაბრუნებაზე ოცნებობდა. მატერიალურად უჭირდა და ჩვენ ვეხმარებოდით — საჭმელს ვამზადებდით და მასაც ვაწვდიდით ხოლმე. უყვარდა სიტყვა „ბაბას“ ხმარება: რა არის, ბაბა, რა ხდებაო? — იკითხავდა. პირველად თამარიკოსგან (პირტახიას მეუღლე, — ავტ.) შევიტყვე, რომ ფრიდონი დაიჭირეს. თამარიკო ტიროდა: თურმე მარტვილში ბავშვები შეუშინებია და იმიტომ დაიჭირესო, ამბობდა. ვფიქრობდით, რომ რაღაც გაუგებრობა იყო და მალე გამოუშვებდნენ, მაგრამ განაჩენი საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა და იმქვეყნად წავიდა.

**ნოდარ ჯანაშვილი, მეზობელი:**

— ფრიდონს, როგორც კარგ პიროვნებას, ისე ვიცნობდი, არავის არაფერს უშვებდა, არ სვამდა, არ ჩხუბობდა, აგერ, ეზოში ონკანიც კი გაგვიკეთა. დაუზარელი კაცი იყო. მთელი უბანი ფეხზე დადგა, რომ დაიჭირეს, ვერაფრით ვიჯერებდით, რომ ეს ის ადამიანია, ვინც საზარელ მკვლელობებს სჩადიოდა. უცნაურობას ვერ ვამჩნევდით — ღმერთის წინაშე ცოდვას ვერ ვიტყვი. ოჯახიც წყნარი ჰქონდა, კარგი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მის ცოდვა-უცოდველობას უფალი განსჯის...

ამგვარად, ჩვენი მსჯელობის საგანია ადამიანი, რომელშიც ორი პიროვნება ცხოვრობდა. ერთი — მკვლელი-მანიაკი, რომელიც ქალებსა და ბავშვებს აუპატიურებდა, ახრჩობდა და კლავდა და მეორე — თბილი და კეთილი ადამიანი, მზრუნველი ქმარი და მოსიყვარულე მამა. რამდენად შესაძლებელია, ერთი პიროვნების ასეთი გაორება?

რატომღაც დიდი აღმოჩნდა იმ ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების გაცოცება, რომლებსაც ვთხოვეთ, ესაუბრათ თემაზე: „მანიაკები საქართველოში“. ყველამ, ვისაც დაუკუკავშირდით, უარი განაცხადა, თუნდაც სულ უმნიშვნელო კომენტარზე. მხო-

ლოდ ფსიქიატრი ნანა ელიაშვილი დავეთანხმდა კომენტარზე. ქალბატონი ნანა ოცი წლის განმავლობაში რუსეთის ქალაქ ტულაში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობდა. ის სამი წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს.

— ქალბატონო ნანა, როცა მანიაკ მკვლელებზე საუბრობენ, ხშირად აღნიშნავენ, რომ ისინი ასეთებად არასწორი აღზრდის შედეგად ჩამოყალიბდნენ. თუ არის ცნობილი და დადგენილი მიზეზები? რომელი ადამიანი შეიძლება გახდეს სერიული მკვლელი?

— ფსიქოლოგებისთვის უკვე ცნობილია, რომ მკვლელ-მანიაკად შეიძლება ჩამოყალიბდეს ადამიანი, რომელიც ფსიქიკური გადახრის ნებისმიერ ტიპს მიეკუთვნება: შიზოიდები კლავენ იმ უპატრიცებულობისა და ზიზღის პარანოიდული შიშის გამო, რომელსაც თითქოს განიცდიან მათ მიმართ გარშემომყოფები; ღებრესიული მანიაკები — ენების გამომწვევი ობიექტის მიმართ პათოლოგიური ლტოლვის გამო; ადამიანი, რომელიც სხვადასხვა მანიით არის დაავადებული, შესაძლებელია, სერიული მკვლელი გახდეს იმ აკვიატებული იდეის ცხოვრებაში განსახორციელებლად, რომელიც, მისი აზრით, წესრიგისა და ჰარმონიის დამყარებას შეუწყობს ხელს. ისტერიოიდემა სისხლიანი სერია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აღიარების მოსაპოვებლად შეიძლება წამოიწყოს. ფსიქოლოგები ხშირად ხვდებიან, საიდან ჩნდება მკვლელობის დაუოკებელი სურვილი, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ამ სურვილის ფორმირებას ბავშვობასა და ყრმობაში.

— თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას რომელიმე მანიაკის შესახებ, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა?

— ჯერ უფრო ზოგადად მოგახსენებთ. როგორც წესი, სერიული მკვლელები მსხვერპლად ყოველთვის ირჩევენ უცნობ ადამიანებს. თითქოს მკვლელობამდე ისინი განიცდიან გარკვეულ ე.წ. გამყინვარებას: გათოშილია მათი სხეული და სული, ხოლო მსხვერპლის მოკვლის შემდეგ თბებიან, შეიძლება ითქვას — ლღვება მათი გაყინული სული და ისინი სრულ განცხრომასა და კმაყოფილებას განიცდიან. მანიაკები თითქმის არ ერჩიან თავიანთ სისხლით ნათესავებს ან უბრალოდ, ახლობლებს. ის ფაქტი კი, რომელიც შეიძლება გაგანდოთ, სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. სანამ უშუალოდ მოვკიდებდი ხელს ამ

თემას და დავიწყებდი მკვლელებისა და მანიაკების გონებაში ერთგვარ „მანევრირებას“, შემთხვევით მოვისმინე ნაცნობი მამაკაცისაგან ასეთი ფრაზა: „აი, ამ კაცს სისხლის სუნი უყვარდა“. დავინტერესდი. ავიღე ხელში ფოტოსურათი, ჩავაშტერდი და თითქმის მთელი საათი ვუყურე, მიხვდით ალბათ, რომ შევეცადე, იმ კაცის თვალებში რაღაც ამომეკითხა. არაფერი გამომივიდა, ამიტომ გავიგე — ვინ იყო, სად ცხოვრობდნენ მისი შვილები ან შვილიშვილები და ასე, კითხვა-კითხვით ჩავედი ცაგერის რაიონში. აღმოჩნდა, რომ ის მამაკაცი, რომელიც მე მინტერესებდა, უკვე ექვსი წლის გარდაცვლილი იყო. აი, რა მიაზბო მისმა შვილმა, ქალბატონმა მარინა ტვილდიანმა:

„მამას ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა — სისხლს თუ დაინახავდა, თვალები ისე უწითლდებოდა, ვეღარ შეხედავდით — შევეშინდებოდათ. ყოველთვის, როცა სოფელში საქონელს კლავდნენ, მამას ეძახდნენ. ისე არ წამოვიდოდა სასაკლოდან, სანამ დაკლული საქონლის გულს ან ღვიძლს თბილ-თბილს არ შეჭამდა. სხვა მხრივ, ვერაფერს იტყობდა, რომ რაიმე უჩვეულო თვისება ჰქონდა, მაგრამ ის, რაც ბოლოს ჩაიღინა, ნამდვილი საშინელება იყო. ერთ საღამოს, დალილ-დაქანცული ღელაქში ბაღიდან რომ გამოვიდა და გეზი სახლისკენ აიღო, მამა უკნიდან მიეპარა და გამეტებით ჩასცხო უზარმაზარი კეტი თავში. მე ამ დროს ხეზე ვიყავი ასული და შიშისა თუ მოულოდნელობისაგან ხმა ვერ ამოვიღე. დავინახე, როგორ დაეცა დედა და როგორ ურტყამდა გამეტებით მამა კეტს თავში. ორი-სამი წუთის შემდეგ მათ თავს წაადგა ბებიანები — მამაჩემის დედა, რომელიც ასევე ბაღიდან გამოდიოდა და ხმაური არც კი გაუგია, რადგან დედა ალბათ ისე მოკვდა, ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო. მამაჩემმა, როგორც კი დაინახა, ბებომ მისკენ გაიწია, კეტი პირდაპირ სახეში შემოარტყა. ბებიას სისხლი რომ დაეინახე, კვილი ავტეხე. მაშინვე მეზობლები მოცვივდნენ, რადგან ისეთი დრო იყო, როცა ყველა ბაღიდან ბრუნდებოდა... სანამ ისინი მოგროვდნენ, მამა ღობეს გადაახტა და გაუჩინარდა. ბებიაც და საბრალო ღელაქშიც უკვე მკვდრები იყვნენ... დღემდე ვერაფერს ვეტყვით, რატომ მოიქცა მამაჩემი ასე. ჩვენს ოჯახში ხმამაღალ სიტყვას ვერასოდეს გაიკონებდით. დედას და მამას კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. არასოდეს ჩხუბობდნენ... მამის საქციელი და სისასტიკე ჩემთვის ამოუცნობ ამოცანად რჩება“.

— ქალბატონო ნანა, როგორ



ნანა ელიაშვილი

**დასრულდა კობა ტვილდიანის ცხოვრება? რა გაძლევთ ვარაუდის საფუძველს, რომ ის მანიაკი იყო? მხოლოდ სადისტურად ჩადენილი ეს ორი მკვლელობა?**

— ამბავი, რომელიც ვიამბეთ, 1961 წელს მოხდა. 1973 წელს კობა ტვილდიანი ციხიდან გამოვიდა, რადგან სასჯელი მოიხადა. თავის სოფელში აღარ დაბრუნებულა, დასახლდა თბილისში, ავლაბარში. სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, მილიციამ მის ბინაში ორი დაჩეხილი გვამი აღმოაჩინა. ვერ დადგინდა მათი ვინაობა. ამიტომ, გამოცანად დარჩა მკვლელობის მოტივიც. მას შემდეგ კობა ტვილდიანი აღარავის უნახავს.

მანიაკები აგროვებენ მოკლეული ადამიანების — თავიანთ მსხვერპლთა სხეულის ან ტანსაცმლის პატარ-პატარა ნაწილებს. სერიული მკვლელები გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკითა და სადინებით. მკვლელთა უმეტესობა ბრუნდება მკვლელობის ადგილას ანდა მსხვერპლის საფლავზე და იქ გასაქმნს აძლევს თავის სექსუალურ ფანტაზიებს. მათ უყვართ მონაწილეობა მათ მიერვე ჩადენილ მკვლელობათა გამოძიებაში. ზოგჯერ ეს არის ერთგვარი „თამაში“ სამართალდამცავ ორგანოებთან. მაგალითად, ცნობილმა სერიულმა მკვლელმა სერგეი გოლოვკინმა, რომელმაც გააუპატიურა ხუთი ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში და ოთხი მათგანი მოკლა, მკვლელობის ადგილას დაავადო საკუთარი პასპორტი. ტვილდიანის შემთხვევაში, რაიმე სექსუალური ლტოლვა არ დასტურდება. საერთოდ, არც ერთი შემთხვევა, რომელიც მე შევისწავლე, არ ხასიათდება სექსუალური ფანტაზიებით, სამაგიეროდ, ტვილდიანი ოსტატურად ინიღბებოდა — სანამ დედა

და ცოლი სადისტურად არ მოკლა. როგორც მისმა ქალიშვილმა მითხრა, შესაძლოა, მამისა და ძმის დაღუპვაც მისგან მოდიოდა: კობა ტვილდიანის მამა ხევში იპოვეს თავგანჯილი, ხოლო ძმა — ფრი-ალო კლდიდან გადავარდნილი. მაშინ კობა ჩვიდმეტი წლის იყო... რატომ ახ-ორციელებს სერიული მკვლეელი ასეთი სადინებით მკვლევლებს, ძნელი სათქმე-ლია. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია, არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს და არც კლინიკურ ფსიქია-ტრიას. რუსეთში და არა მარტო იქ, ყველაზე ცნობილი მანიაკი ანდრეი ჩიკა-ტილო, რომელსაც „საუკუნის მკვლელ-საც“ უწოდებენ, არაფრით გამოირჩეოდა სხვა ადამიანებისგან. მან დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა მასწავლებლად, ჰყავდა შვილები და 1984 წლამდე იყო კომპარტიის წევრი. მის სახელს კი უკავშირდება სადისტურად ჩადენილი 53 მკვლელობა. მან ცოცხალ ბავშვს ენა მოაჭამა. ექსპერტიზამ კი ის შერაცხადად აღიარა: ე.ი. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მას შეეძლო, პასუხი ეგო ნებისმიერ ჩადენილ დანაშაულზე.

1999 წლის 30 ოქტომბერს კოლუმბიის მთავრობამ ძებნა გამოაცხადა მანი-აკზე. ეს გახლდათ ლუის ალფრედო მავარიტო, რომელმაც ხუთი წლის გან-მავლობაში 140 ბავშვი გააუპატიურა და მოკლა. ის თავად იყო მრავალშვილიანი ოჯახის წევრი — მის სახლში შვიდი ბავშვი გაიზარდა.

**— პროცენტული მაჩვენებე-ლი როგორია? რომელი ქვეყა-ნა გამოირჩევა მანიაკთა სიმ-რავლით?**

— აშშ-ის ტერიტორიაზე დედამიწის მცხოვრებთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ხუთი პროცენტი ცხოვრობს, მაგრამ მანი-აკთა საერთო რაოდენობის სამოცდაათობე-ტი პროცენტი სწორედ ამერიკელია, ვერო-პაზე მხოლოდ ცხრაპეტი პროცენტი მო-დის. 1950 წლიდან აშშ-ში მცხოვრებ სერიულ მკვლელთა რაოდენობა ყოველწ-ლიურად იზრდება. რუსეთში მანიაკებზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც გამოჩნ-და ლეგენდარული იონესიანი, რომელიც ცნობილია მეტსახელით **Мограз**. 1964 წელს მან განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა 6 მკვლელობა. ექვსივე იმდენად შემზარავია, რომ მისი დეტალები არ ხმაუ-რდება — მსოფლიოში ცნობილი ფსიქია-ტრებიც კი გაუბრბიან მათზე საუბარს. იონესიანი დააპატიმრეს. სერიული მკვლე-ლი ათი წლის განმავლობაში აღარ გამოჩე-ნილა. მხოლოდ 1975 წელს გახდა ცნო-

ბილი, რომ დიდი რუსეთიც „იფარავს“ მანიაკებს.

საქართველოში სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. აგორდება ხოლმე ჭორი, რომ გამოჩნდა მანიაკი, იტაცებს ბავშვებს და ა.შ. მაგალითად, 1988-1990 წლებში ხაშურის რაიონში გახმაურდა, რომ გამოჩნდა მანიაკი, ის აუპატიურებდა 13-14 წლის გოგონებს. დაფიქირდა რამ-დენიმე შემთხვევა. მაგრამ მშობლებმა ეს ამბავი არ გახმაურეს. მილიცია, რა თქმა უნდა, არ გააქტიურდა. 1980-88 წლებში გორის რაიონში ერთი ხელწერით შეს-რულებული იყო ხუთი მკვლელობა. ეს საქმეც დაიხურა. 1975-76 წლებში თე-ლავეში მოხდა რამდენიმე მკვლელობა, იყო შემთხვევა, როცა წაბლზე წასული ქალე-ბი, ტყეში დაჩეხილები ნახეს და ეს დან-აშაული დათვს მიაწერეს... ახალციხის რაიონში ცხოვრობდა ვინმე ტაბატაძე — ამ შემთხვევაში, მე გვარს შეგნებულად ვცვლი: მისი შვილიშვილი ჩემი პაციენ-ტია და ვცდილობ, ზომიერი ვიყო. ამ კაცმა მოკლა თავისი მეზობელი, მისი ცოლი, ცოლის და და სიდერტი. სულ რაღაც ორ საათში ოთხი ადამიანი გამო-ასალმა სიცოცხლეს. ოთხივეს შხამიანი სოკო აჭამა. თავად იმდენად პატიოსანი პიროვნების სახელი ჰქონდა, რომ მომხ-დარი ყველამ უბედურ შემთხვევად ჩათვ-ალა — არავის უფიქრია, თუ შეეძლო, გამიზნულად მოეწამლა მეზობლები. ეს ამბავი 50-იან წლებში მოხდა. შვიდი წლის თავზე, მან შეიტყუა თავის მარან-ში მეზობლის ავადმყოფი ბიჭი და ჩაკე-ტა. შემდეგ, სხვებთან ერთად, თავდაც მონაწილეობდა ამ ბიჭის ძებნაში. ამოდ ეძებდნენ — მის კვალს ვერსად მიაგნეს. მეათე დღეს შიმშილისაგან დაუძლურე-ბული ბიჭი, მანიაკმა ქვევრში ჩააგდო და ქვევრს თავი მოუღესა. წლების მანძილზე ევლო გვამი ქვევრში. თავად მკვლელს დღიურები რომ არ დაეწერა, არასოდეს გაირკვეოდა, ვის ეკუთვნოდა ძელები, რომელიც იმ ქვევრში ოციოდე წლის შემდეგ მისმა შვილებმა აღმოაჩინეს.


**— რით გარდაიცვალა ეს მანიაკი?**

— მისთვის სიცოცხლეში არავის დაუ-რქმევია მანიაკი. პირიქით, ის მშვიდად, ბედნიერად მოკვდა საკუთარი სიკვდილ-ით... დარჩა მხოლოდ ჩაყრილ ადამიანთა ჩონჩხები, დღიურები და ამის გამო „და-ჩაგრული“ შთამომავლობა.

საერთოდ, სერიული მკვლეელი მსხვერ-პლს მოულოდნელად და მიპარვით ესხმის თავს, რათა მან წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ მოასწროს. მკვლელის მთავარი მი-

ზანია, დათრგუნოს მორალურად მსხვერპ-ლი, ფიზიკურად გაანადგუროს და ამით საიმოვნება მიიღოს — იგრძნოს, რომ არის ფიზიკურად ძლიერი, უძლეველი, მაღალი მამაკაცური პოტენციის მქონე „ნამდვილი მამაკაცი“. მანიაკი მსხვერპლს სშირად „ანუეშებს“ ფრაზებით: „გაკეთე, როგორც მე გეუბნები და ვეღარ იგრძნობ ტკივილს“, ან — „არ მინდა, რომ გაწყენინო...“ მასთან სექსუალური კავშირის დამყარების შემთხ-ვევაში კი ეუბნება, რომ ეს მოხდა პირვე-ლად, რომ კონტროლს ვეღარ უწევდა საკ-უთარ თავს და რომ ითხოვს პატიებას. ზოგჯერ პატიებას სთხოვს დაჩეხილ გვამსაც... შეუძლებელია, გიპასუხოთ, რა-ტომ იქცევა ასე... უნდა გითხრათ, რომ მანიაკები თავიანთი ცხოვრების წესით სხვებისგან არაფრით განსხვავდებიან. ისინი მოწესრიგებული, მშვიდი, ერთი შეხედ-ვით, გაწონასწორებული ადამიანები არიან. მაგალითად: გუ ვანლინი — ჩინელი ექიმი, საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდა. მას პაციენტები ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ, მან კი თავისი პაციენტების დიდი ნაწ-ილი სიცოცხლეს გამოასალმა. მის სახ-ელზე 190 მკვლელობაა. აქედან 100 გვამი აღმოჩენილია. ის 1997 წელს გამოვიდა ციხიდან, სადაც იჯდა მკვლელობის გამო და მოიხდა 14 წელი. ციხიდან გამოსვ-ლის შემდეგ დაიწყო ექიმობა, უფრო სწო-რად — ექიმბაშობა. სამედიცინო ექსპერტ-იზამ დაადგინა, რომ მის წამლებს ადამი-ანებზე მომაკვინებელი ზემოქმედება ჰქონ-და... მანიაკები, ძირითადად, ორმაგ თამაშს თამაშობენ, გაორებული არიან. საზოგა-დოებაში სიმპათიით სარგებლობენ, ჰყავთ ცოლ-შვილი, გამოირჩევიან განსაკუთრებუ-ლი სიმშვიდითა და კაცთმოყვარეობით. ეს თვისებები, რომელსაც ისინი იარაღად იყენებენ, თავიანთი სისასტიკისა და ბნე-ლი ზრახვების განხორციელებაში ემზარება მათ. ჩემი პირადი დაკვირვებით, ოჯახი ქმნის მანიაკს. მათი უმეტესობა, ვინც დაგ-ისახელეთ, ბავშვობაში დათრგუნვილი იყო მშობლებისაგან: მათ სცემდნენ, ჩაგრავედ-ნენ... საერთოდ, ყველა დედამ და მამამ, ის დანაშაული, რომელსაც მათი შვილი სჩა-დის, საკუთარ თავზე უნდა აიღოს, რადგან მათ თავად შექმნეს, გაზარდეს და ჩამოაყ-ალიბეს შვილში დანაშაული...

*P.S. ფრიდონ პირტახიას ნეშტი ორ-შაბათს გადმოასვენეს ციხის პროზექტუ-რიდან და რამდენადაც ჩვენთვის ცნო-ბილია, პანაშვილების გარეშე, იმავე საღა-მოს, უახლოესი ნათესავის სოფელში დაკრძალეს.*



სოფო მასხულია, ეკა გაბიგაშვილი, ნათია ნებიერიძე

# ვის ემალოება «სეთი»?

## ლელა ჭანკოტაძე

— როგორ შეიქმნა „სეთი“?  
ქპბ:

— მე, თიკო ფაცაცია და სოფო მასხულია ვმღეროდით „სუპერგოგონებში“. ხელმძღვანელს მოვწოდით და რადგან ყველაზე მალე ვიყავით, სულ ერთად გვამღერებდა. თანდათან ჩამოვყალიბდით ტრიოდ და როცა ანსამბლიდან წამოვედით, დამოუკიდებლად დავიწყეთ გამოსვლა. ჩვენი ინიციალებით შევადგინეთ სიტყვა „სეთი“. ასე დავარქვით ჩვენს ჯგუფს, თუმცა გარკვეული დროის მანძილზე მანც „სუპერგოგონებს“ გვიწოდებდნენ. ხელმძღვანელი არ გვყავდა. ვმღეროდით სოფლის სტილში. სიმღერებს ჩვენივე გემოვნებით ვარჩევდით. ზოგჯერ კობრიბას ვაკეთებდით, ზოგჯერ გვიწერდნენ. ძირითადად, სიყვარულზე ვმღეროდით.

— მას შემდეგ, რაც თქვენი სიმღერები, რომელიც დათო ფორჩხიძემ დაგინერათ, ხალხმა აიტაცა, პაუზა გქონდათ, რატომ?  
ს.მ.მ.:

— პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით: თიკო ფაცაცია გათხოვდა და სიმღერას თავი დაანება. ანსამბლში ახალი წევრი მივიღეთ: ნათია ნებიერიძე. ნათია 13 წლის იყო, ფაქტობრივად — ბავშვი. მან ძალიან შეგვიწყო ხელი, თორემ ვერ შევძლებდით სირთულეებთან გამკლავებას. სერიოზულად მოვიკიდა საქმეს და სიმღერა ყველაფერზე მაღლა დააყენა. უკვე ანსამბლში მყარად დაიმკვიდრა თავისი ადგილი

და ახლა სამივენი შესანიშნავად ვართ. გუშინ სამტრედიამ ვიყავით. სოფოს მამამთილმა იქ ეკლესია ააშენა და სოფოს გაჟი, პატარა შაკო იმ ეკლესიაში მოვენათლეთ.

— დამოუკიდებლად, ხელმძღვანელის გარეშე არ გაგიჭირდათ პროგრამის შექმნა?

— რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მაშინ ასეთი მოთხოვნა არ იყო ჩვენზე. ვიკრიბებოდით თიკოსთან და იქ გავდიოდით რეპეტიციას. ყველაფერს ჩვენ თვითონ ვაგვარებდით, როცა საჭირო იყო ქორეოგრაფებიც კი ვიყავით, მაგრამ ახლა უკვე დიდ მასშტაბებზეა საუბარი. მართლაც ჩვენი შესაძლებლობებით ვერ „გავჭახავთ“.

— რატომ აღარ ჩანხართ? კონცერტებზე რატომ არ გამოდინართ?

ქპბ:  
— გაჩერებულები ვართ, ვმუშაობთ ახალ რეპერტუარზე. ახლა გვყავს ხელმძღვანელი — ზურა მახინაშვილი. სწორედ ზურა გახლდათ ჩვენი ხელმძღვანელი, როცა „სუპერგოგონებში“ ვმღეროდით. მან ბევრი მომღერალი აქცია ვარსკვლავად. ხშირად ამბობს ხოლმე: ხესაც ავამღერებ, თუ მოვინდომეო. ჯერჯერობით არ ვაპირებთ გამოჩენას, ეს ჩვენი ხელმძღვანელის რჩევაა, ამიტომ უარს ვამბობთ გამოსვლაზე და მხოლოდ საქველმოქმედო კონცერტებში ვმონაწილეობთ. გვიანდა მთლიანად განახლებული პროგრამით წარვდგეთ მსმენელის წინაშე.

ჯგუფი „სეთი“ პირველად რომ გამოჩნდა, ყველამ ერთხმად აღნიშნა: „ლამაზები არიან“. ლამაზმა გოგონებმა ძალიან მალე შეიძინეს თავიანთსმცემლები, მოინადირეს მსმენელთა გულები და ესტრადაზე საკუთარი ადგილიც დაიმკვიდრეს. ერთი შეხედვით, მათზე პერსპექტიული ჯგუფები დაიშალნენ და გაქრნენ სცენიდან, „სეთიმ“ კი მსმენელიც შეინარჩუნა და წარმატებებსაც მიაღწია. თინეიჯერები სოფოს, ეკასა და ნათოს ბაძავენ, მათ მსგავსად იცვამენ, მათ სიმღერებს მღერაან...

ბოლო დროს „სეთი“ მოულოდნელად გაუჩინარდა. ცხადია, ბევრმა იფიქრა, რომ „სეთი“ დაიშალა, „რატომ იშალა? რატომ არ ჩანხართ?“ — ურეკავენ და ეკითხებიან თავიანთსმცემლები და ზარებით შეწუხებული ლამაზი გოგონები ამ ინტერვიუთი თავიანთ გულშემატკივრებს გაცემენ პასუხს მათთვის საინტერესო კითხვებზე.

შეცვლილი იქნება სტილიც. ვიმღერებთ ცოცხალი შესრულებით. ვიქნებით ისევ სამნი: მე, ნათია და სოფო.

— გაუძლებს „სეთი“ ისეთ პირობებს, რომელშიც მხოლოდ ცოცხალ შესრულებაზე იქნება აქცენტი გამახვილებული და, ფაქტობრივად, ფონოგრამებზე უარის თქმა მოგიწევთ?

ქპბ:  
— გავუძლებთ, მაგრამ რა ხარისხსაც ვლებულობდით ფონოგრამით, იმის ნახევარი ხარისხიც არ იქნება ცოცხალი შესრულების დროს. რა თქმა უნდა, ქალაქური და ძველი სიმღერები ცოცხლად უნდა შეასრულოს მომღერალმა, მაგრამ ჩქარ სიმღერებს სხვა ხმების დადება, გაძლიერება სჭირდება — ცოცხლად, კარგად ვერ შეასრულებ. ყველა სიმღერის ცოცხლად შესრულებით ერთი და იგივე ხარისხის მიღება შეუძლებელია.

— სულ რამდენი სიმღერა გაქვთ?  
— ჯერჯერობით თორმეტი.

— თქვენ გაუძელით იმ პერიოდს, როცა ბევრი ჯგუფი დაიშალა. როგორ შეძელით ერთიანობის შენარჩუნება?

— ერთმანეთის სიყვარულმა ყველაფერი გადაფარა. სამივე ერთი მთლიანობა ვართ და სიმღერის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია, თანაც — არასოდეს გვქონია დიდი ამბიციები. პირველობის მანიამ და ამბიციებმა დაშალა ბევრი კარგი ჯგუფი. ძალიან ბევრჯერ იყო ისეთი შემთხვევა, როცა სჭირდებოდათ სოლო მომღერალი

და მიწვევა მხოლოდ მე მივიღე. გამოსვლაზე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი: არ მინდა, ისეთი რამ გავაკეთო, რომ ვოგონებს ვულაღატო. ასევე ფიქრობენ ისინიც. ნათიას, როგორც მოდელს, ამერიკაში ერთ-ერთ მსხვილ სამოდელლო სტუდიაში იწვევდნენ, მაგრამ მან უარი განაცხადა. ჯერ არ აპირებს პოდიუმზე მყარად დამკვიდრებას. მიაჩნია, რომ თავისი შესაძლებლობებით ამას ყოველთვის შეძლებს. ჯერ ჩვენთან ერთად სურს მუშაობა და „სეთის“ არ დალატობს.

**— ნათია საქართველოს „მის საუკუნე“ რომ გახდება, ალბათ, ეს თქვენ გაგიხარდათ ყველაზე მეტად?**

— ნათია რომ გამოაცხადეს, „მინი-იუბკა“ მეცვა. ავწიე ფეხი და პირდაპირ ავხტი სცენაზე. სოფოც ასე მოიქცა, მაგრამ მას შარვალი ეცვა.

**— ყოველთვის ფორმაში ხართ, ლამაზად გამოიყურებით... სოფო:**

— პირველად „სახის“ სოლო კონცერტზე გამოვედი. მახსოვს, 19 დეკემბერი იყო. მაშინ ასეთ წარმატებაზე ვერც ვიფიქრებდით. რა თქმა უნდა, ვიზუალურმა მხარემაც განაპირობა ჩვენი წარმატება. სცენაზე არასოდეს გამოვსულვართ იმ ფეხსაცმლით, რომლითაც ქუჩაში დავდივართ. სულ ვცდილობთ, კარგად გვეცვას. გვიბრწყინავდეს თმა და სამივეს ერთი სტილი გვქონდეს. ტყუპივით არ უნდა ვგავდეთ ერთმანეთს, მაგრამ უნდა იგრძნობოდეს რაღაც საერთო ხაზი.

**ნათია:**

— ზოგჯერ გვსაყვედურობენ — რატომ იცვამთ ასე შილიფადო? რატომ არ უნდა გამოაჩინო ლამაზი ფეხები? ამდენი წელია სცენაზე გამოვდივართ და არავის უთქვამს ჩვენზე — ამორალური გოგონები არიანო. ეკა პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა. წელიწადში 1.200 ლარს აიღებს, რადგან ნიჭიერი და პერსპექტიული სტუდენტია.



**ექა:**

— კონსერვატორიაში ვსწავლობ, სვეტლანა ეგოროვას კლასში. ძალიან შრომისმოყვარე აღამიანია. ყოველ წელიწადს ჩვენი კლასი სამ-ოთხ კონცერტს მართავს. დეკემბერში გვაქვს კონცერტი — „მოცარტის საღამო“. მე და ქალბატონი სვეტლანა, ამ რამდენიმე ხნის წინ მიველიოდი ქუჩაში და უცბად შემოგვეხვივნენ ბავშვები, რომლებიც ავტოგრაფს მთხოვდნენ. გაოცდა ჩემი მასწავლებელი: ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი პოპულარული იყავიო. იმდერე, იმდერეო, — მითხრა, მანამდე კი მიშლიდა სიმღერას: ვეღარ იმეცადინებ, ხელი შეგეშლებო. კონსერვატორიაში ყველაზე მაღალი ვარ და მეტსახელად, **Высокая Эка**-ს მეძახიან.

**— სოფო, შენ სად სწავლობ?**

**სოფო:**

— მე — კულტურის ინსტიტუტში. ნათია მოდელია და მიმჩნია, რომ მას დიდი მომავალი აქვს. ეკა, კონსერვატორიის გარდა, გოეთეს ინსტიტუტშიც სწავლობს.

**— თქვენ წარმატებას დამოუკიდებლად მიაღწიეთ. თუმცა, ცხადია, გეყოლებოდათ დამხმარებელიც. ვინ გეხმარებოდათ — თუნდაც მატერიალურად?**


**ექა:**

— ძალიან შეგვიწყევს ხელი მშობლებმა. ნათიას ყველგან თან ახლავს ბებიია. ის ფაქტობრივად, სამივეს ბებიია. ძალიან გვეხმარება სოფოს დედა. ზოგჯერ ვამბობთ ხოლმე: თამრიკო ჩვენი ბანკირიაო. სოფოს, მუულის ოჯახმაც შეუწყო ხელი: მისი ქმარი, ლევან მაგალობლიშვილი — ყოფილი კალათბურთელია, ახლა პარლამენტში მუშაობს. ძალიან კარგი ბიჭია. თავიდან ახალდაქორწინებულები ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ ვერ გაძლეს და ახლა ისევ მშობლებთან დაბრუნდნენ, რომლებიც სოფოს ანებიერებენ. ჩვენ — სამივე, საოჯახო საქმეებში ნაკლებად ვერკვევით. მაგალითად, სოფომ პლასტმასის ჩაიდან გაზზე დადგა და კინალამ სახლი დაწვა.

**— იყო პერიოდი, როცა „სეთი“ თითოეული კონცერტიდან სხვა ჯგუფებზე მეტ თანხას იღებდა. ახლა როგორ არის ამ მხრივ საქმე? რამდენს გისდიან?**

**ექა:**

— თუ უწინ თითო სიმღერაში 300 ლოლარს გვიხდიდნენ, რა თქმა უნდა, სხვა



ჯგუფებს ამდენს არ უხდიდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი თანხა, რაც ამიღია, „ჩხიკვა ქორწილისთვის“ იყო. ახლა ბაქოში მივდივართ, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გაჩერდებით. ჩვენი საელჩოს მიწვევით გაემართავთ საჩვენებელ კონცერტს, რომლის შემდეგაც, შესაძლოა, საინტერესო კონტრაქტი გავაფორმოთ.

**— თქვენ, პირველ რიგში, მეგობრები ხართ. მგონი, დანათესავდით კიდევ?**

**ნათია:**

— ეკამ მონათლა სოფოს ვაჟი, შაკო. მართლაც, პირველ რიგში, კარგი მეგობრები ვართ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ყოველთვის დაუფარავად ვუუბნებით ერთმანეთს შენიშვნებს.

**— ეკა, გათხოვებას ხომ არ აპირებ?**

— არა, ჯერ ნამდვილად არ ვაპირებ. **ექაბს დედბა:**

— აპირებს, რატომ არ აპირებს?! თუ კარგი ბიჭი გამოჩნდება და ეკას ხელს შეუწყობს, უარს ნამდვილად არ ვიტყვი. მინდა, კარგი ოჯახი შექმნას.

**— ნუნია და პრეტენზიული ხომ არ ხარ, ეკა?**

— ძალიან. სულ მცირე ნაკლსაც კი ვერ ვპატიობ ადამიანს. არ მიყვარს, როცა კაცი ბევრს სვამს, ჭკორობს... ველოდები სიყვარულს, დიდ სიყვარულს...

მათ ცუდი ცხოვრებისკენ უბიძგეს, აიძულეს, ემათხოვრათ, მოეპარათ, წაერთმიათ, ტყავში გამძვრალიყვნენ, ოღონდ ფული ეშოვათ. ამ ბავშვებმა ცხოვრების გააზრება ვერ მოასწრეს, ისე ააღებინეს ხელი მომავალზე... გააბოროტეს და გააძვირეს, შეეყარების მაგივრად შეიძულეს... უმეტესობას ეს გაუკეთა მშობელმა, თანაც — დედამი უსახლკარო და უდედმამო ბავშვთა სახლში არიან ისეთები, რომლებსაც სიტყვა „დედის“ გაგონებაც ზარავთ. ვესაუბრები „მომავლის სახლის“ დირექტორს ქ-ნ ცირა ლანჩავას:



თამაზ საბუიშვილი

— 14 წლის გურამ ლურსმანაშვილს ისე სძულდა საკუთარი დედა, რომ არაერთხელ უთქვამს, ფიქრიც არ მინდა მასზეო. თურმე მაშინაცვალი გურამს ძვირფასი მავთულის მოპარვას, გაყიდვას და ფულის უკლებლივ მიტანას სთხოვდა. დედაც მხარს უბამდა ქმარს. ბავშვმა ჩაგვრას ვეღარ გაუძლო და შინიდან გაიქცა. ჩვენ შეგვაფარა თავი. კარგა ხნის შემდეგ დედამ მოგვაკითხა, ბავშვის წაყვანა ითხოვა. დიდი დაპირებებით და თხოვნა-მუდართით გურამი დავითანხმეთ, დედას გაჰყლოდა. მეორე დამეს ბავშვი ისევ გვესტუმრა, გაბრუნებული იყო — წებო შეესუნთქა. ყოველი მეორე უსახლკარო ბავშვი ტოქსიკომანია. ვიფიქრე, გურამს ამ საშინელ ჩვევას მოვაშლევინებ-მეთქი და მკაცრი კონტროლი დავუწესე. რამდენიმე დღეში იმავე მდგომარეობაში მობრუნდა. არ მივიღე ვიფიქრე, შევაშინებ და გამოვასწორებ-მეთქი. ის კი ამას არ ელოდა და სულ დაგვეკარგა. ვდარდობ... მე ხომ მხოლოდ ის მინდოდა, გურამი ტოქსიკომანობას გადასჩვეოდა, რადგან თუ ამას ვერ შევძლებდი, ის სხვებსაც გადაიბირებდა... არაერთხელ მინახავს იატაკზე დასხმული წებოს შესუნთქვით გაბრუნებული ბავშვები. ეს მათი დანაშაულიცაა, მაგრამ არა მარტო მათი — მძიმე ცხოვრებისგან დათრგუნვილი ბავშვები თავდავიწყებას ეძებენ. შორენა გიგაშვილი დედამ მალაზიის პატრონს პროლეტების ნაცვლად საჩუქრად დაუ-

# დედის მოძულე შვილი

## დედის ბინჯს სხვას არ კვებოვს

ტოვა. თვეების მანძილზე გირაოდ დატოვებული ბავშვი მალაზიის მფლობელს მობეზრდა და ჩვენ ჩაგვაბარა. შორენა გონიერი გოგონაა, ჯერ სულ 11 წლისაა, მაგრამ დიდი ქალივით მსჯელობს. ეს რთულმა ცხოვრებამ ასწავლა.

გიორგი მამულაშვილს დედა ოთხი წლიდან აიძულებდა, ემათხოვრა. წამოიზარდა თუ არა, დედას გაექცა და თითქმის წელიწად-ნახევარი დამოუკიდებლად ირჩენდა თავს. ჩვენთან 6 წლისა მოვიდა. ბავშვს ჯერ სიყვარულის გრძნობა დაკარგული არ ჰქონდა. როცა დედამ მოგვაკითხა და გვთხოვა — წავეყვანო, გიორგი მეხვეწებოდა, არ შემახვედრო დედაჩემს — არ მინდაო. პირველად თხოვნა შევუსრულეთ, მეორედ — ძლივს დავიყოლიეთ, რომ წაჰყლოდა. ავუსხენით — რთული ცხოვრებაა, თორემ დედაშენი კარგი ადამიანია-თქო და ა.შ. გიორგიმ თავი დავგიქნია, თითქოს დავკვთანხმდა, მაგრამ მშობელთან შეხვედრის ნაცვლად, სადღაც გაიქცა და დაიმაღა. ახლა მას ვერც ჩვენ ვპოულობთ და ვერც დედა.

— ქალბატონო ცირა, თუ გქონიათ შემთხვევა, რომ დედის შვილი თავადვე ჩაებარებინოს?

— სამწუხაროდ, არაერთი. ასეთი შემთხვევა იმდენად ხშირია, რომ მიკვირს, რამ გადაუბრუნა ტვინი ამდენ ქალს. ერთხელ, ჩვენი კარის წინ, მშვენიერი უცხოური ავტომანქანიდან, დიდებულად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა და ბავშვი ძალით გადმოათრია. გვთხოვდა, დაიტოვეთო. მიზეზი ვკითხე. მუშაობაში ხელს მიშლისო. როგორ შეიძლება, ღვიძლი შვილი მუშაობაში ხელს გიშლიდეს-მეთქი?! უცხოეთში მივდივარო, მომიგო. კი, მაგრამ ის ფული, რასაც იშოვი, ვისთვის გინდა-მეთქი? ვერაფერი მიპასუხა. აი, აქ უკვე ვერაფერს იტყვი. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: მომაკითხა ხუთი შვილის დედამ — ბავშვების გაზრდაში დამეხმარეო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. იმ ბავშვების სახელები და მონაცემები ჩამომიწერეთ-მეთქი, ვთხოვე და კალამი მივაწოდე. ვიგრძენი, თვალები როგორ გამიფართოვდა, როცა ხუთივე ბავშვის მონაცემები წავიკითხე — ხუთივეს მიტოვებდა... ცნობისთვის გეტყვი, რომ რვა დედამიშვილიდან ოთხს ჩვენ ვზრდით. ეს სხვა შემთხვევაა, რადგან მათ დედას ლუკმაპურის ფული არ ჰქონდა. აქ ბავშვებს არ შიათ. სკოლაშიც დადიან და მშობელიც ხშირად აკითხავთ... მაგრამ დედა



რომ ხუთივე შვილის დატოვებას აპირებს, ეს ნამდვილად გაუგებარია...

**— რას უნდა მივანეროთ ასეთი შემთხვევების გახშირება?**

— ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია, რადგან ეს გლობალური პრობლემაა და შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ერთი რამ ნათელია, ხალხმა სითბო დაკარგა, გაცივდა. აი, ამის მაგალითიც: ჩვენმა სახლმა შეიფარა დედა-შვილი. ამ ქალბატონის თვალწინ ავტომანქანამ გაიტანა მისი ქმარი და შვილი. ქალი ერთი შვილის ამარა დარჩა. წამოვიდნენ თბილისში. ბავშვი სკოლაში დადიოდა, მაგრამ გაკვეთილების მერე ორივე მათხოვრობდა და თავს ამით ირჩენდნენ. თავშესაფარი უთხოვიათ რუსთავეში მცხოვრები ნათესავისთვის. მას ამ გაუბედურებული ადამიანებისთვის ქირად თვეში ათი ლარი მოუთხოვია. ვერ გაუძლეს ასეთ ყოფას და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართეს. როცა ჩვენთან მოიყვანეს, დედა უკვე ჭკუიდან შემცდარი იყო. ხალხის გულქვაობის შემთხვევები ისე გახშირდა, რომ ახსნას ვერ მოუძებნი. რა გვჭირს, რა დაგვემართა? მეორე მსოფლიო ომის დროსაც იყო გაჭირვება, მაგრამ დედა შვილს არ აბარებდა უპატრონო ბავშვთა სახლში და არც ხალხი იყო ასეთი გულცივი.

კიდევ ერთი მაგალითი: მათხოვარი ბავშვის წამოყვანა მინდოდა „ბავშვთა სახლში“. ავუსხენი პირობები. ისიც

დამთანხმდა. მაგრამ საიდანღაც დედამისი გამოძვრა და — ხელი გაუშვი, ჩემს შემოსავლის წყაროსო — მომადანა... ჩვენ გვყავს ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც დედები ეუბნებოდნენ: — ცხრა თვე მუცლით გატარე და ახლა შენ უნდა მარჩინო. ერთ საოცარ ამბავსაც გეტყვით. ჩვენს ბავშვებს, რომელთა უძრავლესობასაც დედა სძულს, ერთხელ ჩხუბი მოუვიდათ. ვერ გავარკვეით, ვინ ვის ურტყამდა. ბოლოს, როგორც იქნა, გავაშველეთ და გაირკვა, რომ ხელჩართული ბრძოლა დედის გინებისათვის ამტყდარა...

*ქალბატონ ცირას თქმით, ბავშვებს უჩვეულო ხასიათი აქვთ: თუ ყველას გაუბრაზდები, უმაღვე ერთ მუშტად შეიკვრებიან — ერთმანეთის ქიში სულ ავიწყდებათ და თავდაცვის მაგივრად, შეტევაზე გადადიან; თუ ბავშვებმა მიგიღეს და შეგიყვარეს, უზომო ერთგულება იციან, მათთვის უცხოა შიში, ისეთი გამბედავები არიან, რომ საყვარელი ადამიანისთვის ტყვიასაც მიუშვერენ მკერდსო.*

დირექტორმა გამაცნო ბიჭუნა, რომელიც ჯერ ქურდობას ვერ გადაჩვეულა. რობერტი ისე არ დაბრუნდება, რომ რაიმე ნივთი ხელს არ გამოაყოლოს. ნაქურდალს კი სხვებსაც უნაწილებს. მისი ძმა მოზარდებში „ვაჭრობის მინისტრად“ არის ცნობილი, რადგან გაჭირვების დროს ვროშებით ბაზრიდან საუკეთესო პროდუქტი მოაქვსო. ამას ბავშვი

თურმე იმით ახერხებს, რომ აზერბაიჯანელ მოვაჭრეებს მათსავე ენაზე ელაპარაკება. ეუბნება, გვარად ალიევი ვარ, ძალიან მიჭირს და პროდუქტი იაფად მომიდეთო... ისინიც, ფაქტობრივად, უფასოდ აძლევენ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუ აზერბაიჯანელს ებრალება თავისი ჯილაგის უპატრონო ბავშვი და შეძლებისამებრ ხელს უმართავს, რა მოგვივიდა ჩვენ, ქართველებს, თანაც დედებს, რომლებიც ერთი ხელის მოსმით იმეტებენ შვილებს ბავშვთა სახლში გასაზრდელად?

„მომავლის სახლში“ ერთი ბავშვია, რომელიც ახალი წლის დღეებში გაპარულა, უმათხოვრია, 40 ლარი შეუგროვებია და დედისთვის მიუტანია — გამოვადგებაო, უთქვამს. მერე შინიდან ისევ გამოპარულა... ბავშვს თავი ზედმეტად უგრძნია. კიდევ ერთხელ დარწმუნებულა, რომ მშობელს ის არ სჭირდება... „მომავლის სახლში“ თანატოლებისათვის უთქვამს — აქ მომავლის იმედი მაინც მრჩებაო...

ბავშვთა სახლიდან მძიმე შთაბეჭდილებებით გამოსულს, ამოთხუანული და თმაგაბურძენილი ბავშვი დამემგზავრა — მშია და ფულს ხომ არ მომცემო. ფუნთუშა გინდა-მეთქი? — კკითხე. არა, ფული მირჩვენია, სათამაშოც მაქვს გატეხილი, წებოც უნდა ვიყიდო. გამოველაპარაკე და გავარკვიე, რომ პატარა, პოლიციელს დაუკავებია — თვალები წითელი გაქვს და უნდა დაგაპატიმრო. ბავშვი გაჯიუტებულა და საბოლოოდ, შეთანხმებულან, რომ ის იმათხოვრებდა და გარკვეულ თანხას რამდენიმე დღეში მისცემდა. ამით ბიჭუნა პოლიციელისგან თავისუფლებას ყიდულობდა.

შემახვედრე იმ პოლიციელს-მეთქი, ვთხოვე. რაღა მაინცდამაინც მე უნდა განახვო, ვაგზალზე ჩემნაირების მეტი რა არის — მათ ჰკითხე, ისინიც იცნობენო. დიდი ვაჭრობის შემდეგ დავითანხმე, მაგრამ გზაში გამეპარა. არ ვიცი, ეს ამბავი რამდენად მართალია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ პატარას ამდაგვარი ტყუილი არაფრად სჭირდებაო...



ინფორმაციულ-მედიცინური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ცხერის საკრეჭ მკრატელს ღუქარლი ჰქვია.

2. თობა, ბაბუკუა და დედაზარდლი სინონიმებია.

3. შერლოკ ჰოლმსის ძმას სახელად მაიკროფტი ერქვა.

4. ჟაკ ანატოლ ტიბო ანატოლი ფრანსის ნამდვილი სახელი და გვარია.

5. ფელერეკო გარსია ლორკა ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს მოკლეს.

6. ინგლისელი მწერალი, სიმერსეტ მოემი რუსეთში საიდუმლო აგენტად მუშაობდა.

7. მოლაღურს სხვანაირად „ბიჭო-გოგას“ ეძახიან. მისი დაძახილი სწორედ ამ სახელს მოგაგონებთ.

8. სახმო სიმების დაყვადების შედეგად ხმის დაკარგვას აფონია ეწოდება.

9. თეიმურაზ I, არჩილ II, ვახტანგ VI და თეიმურაზ II – ეს სია ქართველ მეფე-პოეტთა ჩამონათვალია. P.S. მშობლიურ მიწაზე სიკვდილი არც ერთ მათგანს არ ღირსება.

10. ალექსანდრ დუმას (უფროსის) ბაბუა მარკიზი გახლდათ, ხოლო ბებია შავკანიანი მონა ქალი.

11. ორწვერა ისარს ბოძალი ჰქვია. კონდახიან მშვილდს (არბალეტს) – ბოძალი.

12. ტუბერკულოზით გარდაცვლილი დანიელ ჭონტაძის ხელნაწერები ახლობლებს დაუწავთ. P.S. ქართველი მწერალი თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა.

13. თბილისის დამაქცევარი აღა-მაჰმად-ხანი ერთი აუწერელი ტუნჯი და ანგარებიანი აღამანი ყოფილა. ერთხელ, ერთ ღერეშს შეუთანხმდა, ჩემს კარისკაცებს ფული დაეტყუოთ და თანაბრად გაეინაწილოთ. პირობისამებრ, შაჰმა ვითომცა სახელმწიფო საქმეების გასარჩევად კარისკაცთა დარბაზი შეჰყარა. დაკონკილ-დაძონძილი ღერეშიც ვითომ შემთხვევით გამოცხადდა. შაჰმა საჯაროდ შეიბრალა ღერეში, საღაროდან ფულის გაცემს ბრძანა და თან იქ დამსწრეებს მიმართა: – აბა, ვინ რამდენს გაიღებს საკოდავი ღერეშისთვისო. ხელმწიფის მრისხანებით დამინებულმა და მამულებების სროვად ქვეულმა კარისკაცებმა ერთიმეორის ჯიბრზე უხვი საბოძარი გაიღეს. ღერეში აუარებელი ოქრო-ვერცხლით დაიტვირთა, მაგრამ პირობა აღარ შეასრულა: ღამით ჩუქმდ გაიპარა და სარბი ხელმწიფე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

14. „პრედსტავლიაუ სებე შტო ტვარიტსა სეიას ვ ტბილისი! ლიკუეტ სტალიცა



ბალახტიონ ტაბანაშვილი

ფუჭი კონსილიუმი და გონებაგახსნილი „ფერია“

ძალიან უცნაური მეგობარი მეყავს ერთი, ნიკუშა – რომ იტყვიან, კურიოზების ნამდვილი „ბუკეტი“: თვე არ გავა, რაიმე ფათერაკი არ შეემთხვეს. გაივლის დრო და თვითონაც ეცინება ხოლმე, მაგრამ თვით მომხდარი ამბის კულმინაციისას ბევრი ცრემლიც უყვლია...

აბა, ასეთი კაცი რუსეთში გაიშვებოდა, თანაც საშოვარზე?! რაც იმ წლების მანძილზე გადახდა, იმის აღწერით ალბათ მთელი წიგნი შეივსება, მაგრამ ერთი – ნამდვილად რეკორდების წიგნში შესატანი თავგადასავალი ჰქონდა.

ქალების დიდი მოყვარულიც რომ არ იყოს კაცი, სარატოვში მოხვედრილი მაინც ვერ იტყვის უარს მოულოდნელ კავშირებზე. ჯერ კიდევ საქართველოდან წასვლამდე, აქაც აფრთხილებდნენ ნიკუშას – ფრთხილად იყავი, ემანდ, რამე არ აიკიდო. და იქაც, მისი მასპინძელი თანამემამულენიც არიგებდნენ, როგორ უნდა მოჰქცეოდა ადგილობრივ ლამაზმანებს. ერთ-ერთმა კი, სრულიად არატრადიციული რჩევა მისცა სექსის იმ ეგზოტიკურ სახეობასთან დაკავშირებით, რომელსაც... ორალურს უწოდებენ: არ გეგონოთ, მარტო ჩვეულებრივის დროს ავადლებიან, ორალურიც დიდ საფრთხეს შეიცავს და თუ დააპირე, იმ ქალს მოსთხოვე, კბილები გაიხეხოს ანტისეპტიკური პასტილი... ყურადღებით მოუსმინა ნიკუშამ, კარგად დაიმასსოვრა, მაგრამ მერე, მარტო რომ დარჩა საკუთარ თავთან, იფიქრა: კი მაგრამ, ეს როგორ იქნება: ხვევნა-კოცნა-აღერსი, ჩაბნელებული

ოთახი და... წადი, „დარაგია“, გაირბინე „ვანაში“ და კბილები გაიხეხეო?... სწორედ იმ საღამოს სხვა გამოსავალი ათასჯერ ნანახმა და უეტრად ახლებური თვალით დანახულმა, საღეჭი რეზინის ტელერეკლამამ აპოვნინა: ა, კარისთან ბრძოლაშიც ტოლს არ უღებს „ჟუჟაკა“ კბილის ხეხვას და იმ საქმეში როგორ არ დამეხმარება?!

ამ ხერხის გამოყენების დროც მალე დადგა: შეიყარნენ გოგო-ბიჭები, ლუდას სამოთახიანში – (გაყრის შემდეგ, სხვა ქალაქში გადაკარგულმა ქმარმა დაუტოვა), დაურტყეს „პა სტო გრამ“, „ზაკუსკაც“ დააყოლეს და გაიყვნენ მერე თავ-თავიანთ ოთახებში... ნიკუშა ადრეც ყოფილა ლუდასთან და მისი ნდობაც ჰქონდა იმ ამბავში, მაგრამ ახალი „სახეობის“ აპრობირებაზე ფიქრისას, ხელს მაინც გამოაყოლა საღეჭი რეზინი და მომენტის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, თავისი ხელით ჩასჩარა ქალს პირში.

... და აბა, დაიწყო სასიყვარულო თამაშები და მალე „იმ საქმეზეც“ მიდგა ჯერი. ნიკუშას აქამდე დიდი გამოცდილება არ ჰქონია ამგვარ თამაშებში, აი, ლუდა კი ფრიად გაწაფული იყო ყოველგვარ სექსუალურ ხელოვნებაში და ბევრი მოულოდნელი შეგრძნებაც მოჰგვარა ვაჟს. მოულოდნელი იხიც იყო, რომ სასიამოვნო პროცედურა არა და არ დამთავრდა, მაგრამ მთავარი სიურპრიზი ნიკუშას წინ ელოდა: თურმე ლუდას „ჟუჟაკა“ არ გადაუგდია და, რაც მთავარია, პროდუქტი ისეთი მდგრადი კონსისტენცი-

ის აღმოჩნდა, რომ ჩვენს გმირს... ყველაზე მგრძობიარე ორგანოს მწვერვალზე, ადგილ-ადგილ მისწვებთა კიდევ... ამის შესახებ ჯერ თვითონ ლუდამ აცნობა (თან დასძინა, „საქმე“ იმიტომაც გამიგრძელდა, რომ ჩამოფხეკას ვცდილობო...) მერე საკუთარმა შეგრძნებებმა დაუდასტურა, ცოტა ხანში კი, გარეგნული ნიშნებიც გამოიკვეთა...

კარგი, რაღაცას მოვიფიქრებთო — მხიარულად მიადახა ლუდამ და სამზარეულოში გავიდა. ცოტა ხანში სტუმრებიც წამოიშალნენ და სახლში მართლ ლუდა და ნიკუშა დარჩნენ.

ღილით გამოღვიძებულ ვაჟს უმაღლა გაახსენდა წუხანდელი ინციდენტი და შიშით „მიაყურადა“ თავის სხეულს... თითქოს ტკივილს არ გრძნობდა. სააბაზანოში გასულმა, დაიმედებულმა შეიმოწმა თავი, მაგრამ... ვაგლას, რომ მდგომარეობა გართულბოდა: „უკაჩკის“ ნაკუწებს შორის აშკარად ჩანდა, რომ სიწითლესთან ერთად, დასივებაც მომატებოდა...

რა არ სცადეს — ხან ცივი, ხან თბილი პროცედურები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ლუდა რა ლუდა იქნებოდა, მედიცინის შესაბამის დარგში მოღვაწე ერთი-ორი ნაცნობი ექიმი რომ არ ჰყოლოდა, ჰოდა, გაუდგა „ბენიერი წყვილი“ პოლიკლინიკისკენ მიმავალ გზას. ლუდამ ნიკუშა „პატრონს“ ჩააბარა და თვითონ სამსახურში გაიქცა.

გასინჯა ერთმა ექიმმა, უყურა, უყურა გაცივებულმა, მსგავსი რეკლამა არ მინახავსო... — ჩაიბურტყუნა (ჩანს, საღეჭი რეზინის რეკლამას გულისხმობდა), ოთახიდან გავიდა და მალევე, კოლეგასთან ერთად მობრუნდა. ამ, მეორემ, სულ სხვა კომენტარი გაუკეთა უჩვეულო მოვლენას: აღშფოთებულმა — დახეთ, რა ქიმიას ვგაღვივებენო!.. იჯდა საწყლად ჩვენი ნიკუშა — არც ჩაცმის უფლებას აძლევდნენ, ვერც გამოსავალს პოულობდნენ დასტაქრები. თან, რაც დრო გადიოდა, კაცი სულ უფრო მეტად გრძნობდა, რომ მის გარშემო რაღაც უცნაური სიტუაცია ყალიბდებოდა: დაუსრულებელი მისვლა-მოსვლა, გაუგებარი სიტყვა-ტერმინების გაცვლა-გამოცვლა, ჩოჩქოლი და სითხითი ღერეფანში... ცოტა ხანში ნიკუშამ გაიფიქრა, რომ უკვე მთელი პოლიკლინიკა მხოლოდ მისი მდგომარეობით იყო დაკავებული, რაც საკმაოდ ახლოს იყო რეალობასთან...

ეს საყოველთაო ყურადღება ბოლოს, სახელდახელო კონსილიუმით დაგვირგვინდა, მაგრამ ნიკუშას არც ამან მოუ-

ტანა შეეგება, პირიქით: რუსი ექიმისთვის ჩვეული პირდაპირობით, ერთმა რაღაც საშინელი ხსნარის მოშველიების ეფექტურობის ვარაუდი გამოთქვა, მეორემ გაუგებარი და ამით, პაციენტისთვის უფრო დამაფრთხობელ პროცედურას გაუწია რეკომენდაცია, მესამემ კი სულ მთლად გადარია — სკალპელი ხომ არ გვეხმარაო?..

„საბოლოო განაჩენის გამოსატანად“, სამეული საპროცედუროში გავიდა და მაშინ, როცა ხსნა არსაიდან ჩანდა, ნირწამხდარ ვაჟკაცს კეთილი ფერია მოეკვლინა.

— ბოდიში ამ კითხვისთვის, — მოესმა მას ნარნარი ხმა, — ეს რომ მოგივიდათ, რა სექსით იყავით გართული?

ნიკუშამ თვალები აღაპყრო და თეთრხალათიანი, ქერათმიანი მედლა შერჩა ხელში. „ორალურით“, — ჩაიბურტყუნა დამნაშავე მოსწავლესავით ნიკუშამ და ისევ ჩაქინდრა თავი.

— მერე, ტრადიციული არ გიცდიათ? — წკრიალა ხმით, რატომღაც მხიარულად იკითხა „ფერიაში“. პასუხად, ნიკუშამ თავი გააქნია და ამით, როგორც ჩანს, ვარაუდი დაუდასტურა ქალს, რადგან მან მხიარულად წამოიძახა: რომ გეცადათ?

ნიკუშა უცებ ვერ ჩასწვდა მის ნათქვამს, თავი ნელა ასწია და დააკვირდა — ხომ არ დამცინისო... ქალი გულღიად, მხიარულად უღიმოდა და ნიკუშამ სავესებით ლოგიკური კითხვა დაუსვა:

— კი, მაგრამ, ვინ გაბედავს ჩემთან... — სიტყვა ვერ დაამთავრა, მაგრამ ყველაფერი ნათელი იყო. „ფერიაში“ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— მე გავრისკავ! — მერე გადაიკისკისა და არტისტულად ზეაწეული ტონით დასძინა: — მეცნიერებისთვის რას არ იკისრებს ადამიანი?!

„ახალგაზრდები“ მეორე კონსილიუმს აღარ დალოდებიან — სასწრაფოდ ჩაიცივეს და ნადიას („ფერიას“ ნამდვილი სახელი) ერთოთახიანი ბინისკენ აიღეს გეზი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ნადიას ვარაუდი გამართლდა: მსურვალე ზევინა-კოცნამ და მეცნიერებისთვის გაღებულმა მსხვერპლმა საუცხოო შედეგი გამოიღო. აბაზანაში გაგრძელებულმა სასიყვარულო თამაშმა კი საბოლოოდ დაადასტურა: ნიკუშა სრულიად განიკურნა და იმდენად ემადლიერებოდა, რომ იმ დღიდან მთელი ორი წელიწადი ნადიასთან გაატარა, ლუდასკენ კი აღარც გაუხედავს.

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი ღვალის უბის წიგნაკდან:



გრუზი“, — ამ სიტყვებით დაამთავრა კოტე მასარაძემ თბილისის „დინამოს“ და „კარლ ცაიხის“ მატჩის კომენტირება. P.S. „ფეხბურთის კომენტატორობის დროს მე ისეთი ფრანგები მაქვს წარმოთქული, რომელც მიუღს ჩემს თეატრალურ მოღვაწეობას გადაწონის“, — განაცხადა ბატონმა კოტემ ერთ-ერთი შეხვედრის დროს.



15. ერთხელ, რომელმაც მთავარსარდალმა კვინტუს ცეცილიუს მეტელუსმა განაცხადა: „მე ჩემს ტუნიკასაც დავწვავ, თუ შევატყობ, რომ მან ჩემი ზრახვები იცისო.“ კონსტანტინოპოლის დამამზობელ მუჰამედ II-ს კი უთქვამს: „ჩემს წვერში ერთი ღერიც რომ აღმოჩნდეს ჩემი საილუმინო მცოდნე, მიუღ წვერს დავგიღვევდიო“.

16. ერეკლე მეორეს, ქალაქი ერევანი ყოველწლიურად 3.000 თუმან ზარკს უხდიდა. 17. ისტორიული ტროა გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა აღმოაჩინა. P.S. სახელგანთქმული მეცნიერი იძულებული იყო, გათხრების დროს ნაპოვნი საგანძურის ნახევარი თურქეთისათვის დაეტოვებინა. 18. გაბინძურების შიშს მიზოფობია ჰქვია. 19. ტყავის თასმას, რომელზეც სამართებულს უწვობენ პირს, თალათინი ეწოდება. 20. ზუთისის და ორაგულის ლორად გამოყვანილ გვერდს ღოში ჰქვია. 21. ნაპოლეონი რუსეთის დამარცხებასა და დაპყრობას შვიდ კვირაში ვეცმავდა. 22. სტროფს ქართულად ხანა ჰქვია. 23. ჟან ბატისტ მოლიერი პარიზში, საკუთარ კომედიაში — „მოჩვენებითი ავადმყოფი“ თამაშობდა, როდესაც სცენაზე წაიქცა და გარდაიცვალა. 24. საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღეს 2 აპრილს აღნიშნავენ. ამ დღეს ჰანს კრისტან ანდერსენია დაბადებული. 25. როდესაც ლევან თვლიაშვილმა სპორტს თავი დაანება, პარტიამ კახეთში ერთ-ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშნა. ერთხელ როტველზე მან რუსები დაპატიჟა და სოფელში ტურისტებით საესე 70 ავტობუსი ჩაიყვანა. ვენაში ნახევრად შიშველი რუსი ქალების დანახვაზე მთელი სოფელი როტველში ჩაება. ყველაზე ზარმაცები კი მუშაობით იკლავდნენ თავს. იმ წელს კოლმეურნეობამ ვეგმა გადაჭარბებით შესარულა. ლევან თვლიაშვილი კი რაიკომში დაიბარეს და მადლობის მაგიერად „სოფელი გარყვნილი“ საყვედური გამოუცხადეს.

# დედა და მისი ორი შვილი საკუთარ სახლში აქონდა

„ქალიან მთვრალი ვიყავი და საკუთარ თავს კონტროლს ვერ ვუწევდი“

— ახსნაღებს დანაშაულები ბრალდებული

2000 წლის 9 ოქტომბერს გურჯაანის რაიონულმა პოლიციამ სოფელ ვაზისუბანში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ შემზარავი შეტყობინება მიიღო. ცნობა ერთ-ერთ ოჯახში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის შესახებ იუწყებოდა: იმ დღეს დაახლოებით 5 საათისთვის აბაზაშვილების ოჯახის წევრები — დარეჯან აბაზაშვილი და მისი შვილები — გაა და ხათუნა აბა-

ზაშვილები საკუთარი სახლის ეზოში სანად-ირო თოფით მოკლეს.

ამ დანაშაულისთვის სამართალდამცავებმა მეზობელ სოფელში მცხოვრები 25 წლის ზაზა ჯავახიშვილი დააკავეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, სამივე მკვლელობა მან ჩაიდინა. ამივე ცნობით, მკვლელობის დროს ხათუნა აბაზაშვილს ხელში თავისი მცირ-ენლოვანი შვილი — პატარა სოფიკო ეკავა...

## მეზო სანაპა

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს. განსასჯელს კოლეგიისთვის ჩვენება ჯერ არ მიუცია. იგი საქმის გამოძიების პერიოდშიც დუმილის უფლებით სარგებლობდა. ასე რომ, მისი განმარტება ჩადენილი ქმედების შესახებ, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმცა სასამართლო სხდომაზე მან უკვე განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს. „თავს დამნაშავედ არ ვცნობ... იმ დღეს ძალიან მთვრალი ვიყავი და საკუთარ თავს კონტროლს ვერ ვუწევდი“ — თქვა ზაზა ჯავახიშვილმა.



განსასჯელი ზაზა ჯავახიშვილი

პროკურატურამ ზაზა ჯავახიშვილი ამ სამი მკვლელობის გარდა, იმავე დღეს ჩადენილ ხულიგნობასა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობებში დაადანაშაულა და მას შესაბამისი მუხლები მიუყენა. კანონის თანახმად, მუხლების მიხედვით ზაზა ჯავახიშვილს სასჯელის ზომად, ათიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ზაზა ჯავახიშვილმა ეს საშინელი დანაშაულებანი თავისი ავტომანქანის დაწვის გამო ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, იგი ამაში აბაზაშვილებს ადანაშაულებდა და სჯეროდა, რომ მის

მანქანას ცეცხლი სწორედ მათ წაუკიდეს. აბაზაშვილებთან ანგარიშის გასასწორებლად მან სახლიდან საკუთარი სანადირო თოფი წაიღო და მათ მოსაკლავად გაემუქრა.

პროკურატურის ინფორმაციით, ზაზა ჯავახიშვილს ხათუნა აბაზაშვილთან წლების მანძილზე ინტიმური კავშირი ჰქონდა. ამის გამო თავიანთი ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ორივე მათგანს დაეძაბა. ჯავახიშვილმა მანქანის დაწვის ფაქტიც სწორედ ამას მიაწერა, თუმცა საქმის მასალებში აბაზაშ-

ვილების მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენის იურიდიული მტკიცებულებები არ არსებობს.

ოფიციალური დოკუმენტებით, მკვლელობამდე დაახლოებით ხუთი დღით ადრე, ზაზა ჯავახიშვილი საკუთარი ავტომანქანით სოფელ ვაზისუბნის ტერიტორიაზე მოძრაობდა. მას მოულოდნელად ბენზინი გაუთავდა და სწორედ იმ სახლის მახლობლად გაუჩერდა მანქანა, სადაც აბაზაშვილები ცხოვრობდნენ. ზაზა ავტომანქანიდან გადმოვიდა და რადგან ბენზინი ახლოს არ იყიდებოდა, მის საშოვნელად ცოტა მოშორებით მოუხდა წასვლა. როცა უკან ბენზინით დაბრუნდა, საკუთარი მანქანა ცეცხლის ალში გახვეული დახვდა. იქვე მოგროვილმა ხალხმა ზაზა დაარწმუნა, რომ მანქანაში ცეცხლი სადენების კონტაქტის შედეგად გაჩნდა. ამაში მათ იგი თითქმის დაარწმუნეს, თუმცა შინ დაბრუნებულმა, ანერვიულებულმა ზაზამ ეჭვი აბაზაშვილებზე მიიტანა. ეჭვის საბაბს მას ის აძლევდა, რომ მანქანა სწორედ მათ სახლთან ახლოს იყო გაჩერებული. საქმის ოქმებში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ზაზა ჯავახიშვილის ამ ეჭვის გარდა, აბაზაშვილების მამხილებელი მტკიცებულება არ არსებობს. თუმცა, განსასჯელის მხარე ამ ვერსიის დასამტკიცებლად ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას:

**იპა ჯავახიშვილი**, ზაზა ჯავახიშვილის და:

„სწორედ იმ დღით – 9 ოქტომბერს ჩვენს სახლს უცხო მანქანა მოადგა. ზაზა შინ იყო. გარეთ გავიდა. მანქანიდან ხათუნა აბაზაშვილი გადმოვიდა და ჩემს ძმას რაღაცაზე დაუწყო ლაპარაკი. ზაზა შინ აფორიაქებული, ანერვიულებული შემოვიდა. მერე მითხრა, თურმე ხათუნას უთქვამს: შენ რა, გგონია, მანქანაში მართლა „პროვოდებს“ წაეიდა ცეცხლი? ყველაფერი ჩემმა ძმამ გააკეთა, დედაჩემმა შენს წინააღმდეგ განაწყო, მოსვენებას არ აძლევდა; ბოლოს და ბოლოს, გაა ისე გააბრაზა, რომ აქამდე მიიყვანაო...“

ხათუნას შინ ზაზასთან ურთიერთობის გამო მართლაც ერხუებოდნენ. დედამისი მუდამ ჩასჩინებდა – მაგ უფულოსთან რა გინდა, წადი, ვინმე ფულიანი ნახეო...“

2000 წლის 9 ოქტომბერს, დღისით, ზაზა ჯავახიშვილმა მეგობრებთან ერთად არაფი და ლუდი დალია. მერე მთვრალი შინ წავიდა, სახლიდან პოლიეთილენის პარკით სანადირო თოფი გამოიტანა და ქუჩაში მანქანას დაელოდა. სურდა, ვინმე ნაცნობი გაეჩერებინა და მისთვის სოფელ ვაზისუბანში წაყვანა ეთხოვა.

დაზარალებული **გიორგი ბრიგალაშვილი**, მეზობელი:

„იმ დროს მე ჩემი მანქანით საქმეზე მივიდიდი. საჭესთან ჩემი დისშვილი როინ ფეიქრიშვილი იჯდა. უბნის მოსახვევთან ზაზა შევნიშნე. ხელში რაღაც ტომარა ეჭირა. გაგვაჩერა და მითხრა – ვაზისუბანში წამიყვანეო. მე ვუთხარი – არა მცალია, ვერ წავიყვან-მეთქი. შევატყვე, რომ ძალიან მთვრალი იყო, თან რაღაც უაზროდ იხედებოდა, ადამიანის სახე არ ჰქონდა, შემლილს ჰგავდა“...

**როინ ფეიქრიშვილი** (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებებიდან):

„... ზაზაც წინ დაჯდა, ბიძაჩემის გვერდით, ორივენი ერთ სავარძელზე მოთავსდნენ. ბიძაჩემმა ჰკითხა: კი, მაგრამ, ვაზისუბანში რა გინდაო? მაშინ ზაზამ ტომარა

გახსნა და შიგ ჩაახედა – აი, რა მინდაო – თქვა. გიორგიმ (გიორგი გრიგალაშვილი. – ავტ.) იარაღი რომ დაინახა – რად გინდაო? – შეეკითხა. – ამით მანქანა ვინც დამიწვა, ის უნდა მოვკლაო.

ბიძაჩემმა ეს რომ გაიგონა, ზაზას ვაზისუბანში წაყვანაზე კატეგორიული უარი უთხრა. თან ცდილობდა, როგორმე დაერწმუნებინა იგი, რომ ამ საშინელ განზრახვაზე ხელი აეღო და შინ დაბრუნებულიყო. ზაზა თავისას მაინც არ იშლიდა. მაშინ გიორგიმ უთხრა: მე თავი დამანებე, წადი და სხვა ვინმე გააჩერე, წაყვანა სხვას სთხოვეო. ზაზამ ამ სიტყვებზე თოფი ამოიღო და დაემუქრა: თუ არ წამიყვან, შენ მოგკლავ და მერე მეც

საბედნიეროდ, იქ მყოფთაგან არავინ დაჭრილა, მხოლოდ მაღაზიის დახლები დაზიანდა.

**როინ ფეიქრიშვილი:**

„... იქიდან სოფელ ვაზისუბანსკენ წავედი. იმ სოფელში ადრე არასდროს ვყოფილვარ, გზებს არ ვიცნობდი. საითაც მეტყოდა, მანქანაც იქით მიმყავდა. შეუხვითო – შევუხვითე, გააჩერეთო – გავაჩერეთო...“

სახლის ეზოში, სკამზე, ორი ქალი და ერთი ახალგაზრდა ბიჭი ისხდნენ. ერთ-ერთ ქალს, უფრო ახალგაზრდას, ხელში ბავშვი ეჭირა. ზაზა მანქანიდან რომ გადავიდა, ქალები მის დანახვაზე პანიკაში ჩაცვივდნენ. მაშინვე წამოხტნენ და სახლისკენ წავიდნენ. ზაზას მათ-

## სახლიდან ეზოში ბავშვიანი გოგო გამოფარდა. ზაზა მას დაედევნა და თოფის კონდახი ჩასცხო. გოგონას ბავშვი ხელიდან გაუვარდა, თავად კი მიწაზე დაეცა.

მოვიკლავ თავსო. ბიძაჩემი მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, თანაც შეეშინდა, მანქანიდან გადახტა და სახლისკენ გაიქცა. იმ მომენტში ჩვენც გადმოვედით. ზაზა მომიბრუნდა და მე საჭესთან დაჯდომა მიბრძანა. უხმოდ დავემორჩილე.

ცოტა ხანში მანქანა გამაჩერებინა, ბენზინის ჩასხმა უნდოდა. ბენზინის გამყიდველს – ზურა კოტიბაშვილს სთხოვა, ნისიად ჩაესხა, მაგრამ მან უარი უთხრა. მაშინ ზაზამ თვითონ აიღო კანისტრა და მანქანაში ბენზინის ჩასხმა დაიწყო. იქვე კოტიბაშვილის დედა იყო, მან ზაზას ფულის გადახდა მოსთხოვა. სწორედ იმ მომენტში აიღო ზაზამ სანადირო თოფი და გაისროლა...“

საბრალებო დასკვნის თანახმად, ზაზა ჯავახიშვილმა თოფი ზურა კოტიბაშვილს დაუმიზნა. ეს უკანასკნელი მაშინვე მაღაზიაში შევარდა. ჯავახიშვილმა ახლა მაღაზიის მიმართულებით გაისროლა. ტყვია გამყიდველს ამჯერადაც ასცდა, რადგან მან იქიდან გაქცევა და სახლში შევარდნა მოასწრო.

თვის ყურადღება არც მიუქცევია. იგი პირდაპირ ბიჭთან მივიდა და თოფი, რომელიც მანამდე მანქანაში გადატენა, დაუმიზნა. სამჯერ ესროლა. ბიჭმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იქვე დაეცა. ამის შემდეგ ზაზა სახლში შევიდა. იქ რა ხდებოდა, მე ვერ ვხედავდი, ქალების წივილ-კივილი მესმოდა, მერე გასროლის ხმაც გავიგონე. უცებ სახლიდან ეზოში ბავშვიანი გოგო გამოვარდა. ზაზა მას დაედევნა და თოფის კონდახი ჩასცხო. გოგონას ბავშვი ხელიდან გაუვარდა, თავად კი მიწაზე დაეცა. ზაზა არაფერს ამბობდა, მხოლოდ იგინებოდა. რაღაც მომენტში გოგონა კვლავ წამოდგა ფეხზე, ზაზამ ისევ დაარტყა, მერე თავიდან გადატენა თოფი და მას ტყვია დაახალა. სულ ოთხჯერ ესროლა. ის გოგოც იქვე გარდაიცვალა.

ზაზა მანქანასთან მივიდა, ჩაჯდა და მითხრა – წავიდეთო. გზაში რამდენჯერმე იკითხა – ძმა მოვკალი თუ არაო? გაა აბაზაშვილს გულისხმობდა. მერე უცებ ჩემკენ შემოტრიალდა და მითხრა

– ისევ იქ დავბრუნდეთო. მეც, სხვა რა გზა მქონდა, დავემორჩილე. მანქანა იმ სახლის ჭიშკართან გავაჩერე. ზაზამ გაიხედა. ის ბიჭი ძირს გულაღმა ეგდო, ზუსტად ისე, როგორც თავიდან. დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო და მითხრა – წადიო. მის სახლთან გავჩერდით და მანქანიდან გადავიდა. იქიდან მე ბიძაჩემთან წავიქედი. მას შემდეგ ზაზა არ მინახავს“.

**გიორგი გრიგალაშვილი:**

„... როინი მანქანით რამდენიმე საათში დაბრუნდა. შევეკითხე – რა მოხდა-მეთქი? ყველა დახოცაო – მითხრა. მე მაშინვე პოლიციაში წავიქედი. მანამდე ეს ვერ მოვახერხე, რადგან ჯერ ვაზისუბანში წასვლა მინდოდა. ქუჩაში გავიქედი, მაგრამ მანქანა არავინ გამიჩერა. ამიტომაც ისევ როინის დალოდება გადავწყვიტე“.

აღსანიშნავია, რომ გიორგი გრიგალაშვილიც და როინ ფეიქრიშვილიც წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში უფრო სრულყოფილად აღწერდნენ მომხდარს, ვიდრე სასამართლოში. მოსამართლეს მათ განუცხადეს, რომ დეტალები აღარ ახსოვთ და ყველაფერს ზუსტად ვერ იხსენებენ.

განსასჯელის მხარის მტკიცებით, მთელი ამ უბედურების მიზეზი

თავად აბაზაშვილები იყვნენ. „მთელმა სოფელმა იცოდა, რომ აღვირახსნილად ცხოვრობდნენ, მსუბუქი ყოფაქცევისანი იყვნენ. ათასნაირი ჭორი დადიოდა მათზე – იმასაც ამბობდნენ, ჯადოებს ამზადებენო“ – გვითხრეს მათ. სხვათა შორის, ამას სოფელ ჩუმლაყისა და ვაზისუბნის მოსახლეობაც ადასტურებს. სასამართლო სხდომაზე აღნიშნული სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა მოვიდა. მათ მხარი განსასჯელს დაუჭირეს.

**იპა ჯავახიშვილი:**

„ხათუნა ჩემმა ძმამ დაახლოებით ოთხი წლის წინ გაიცნო. ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ. რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებს ეს არ მოგვწონდა, რადგან აბაზაშვილების ოჯახის უწესო ცხოვრებაზე მთელი სოფელი ლაპარაკობდა. ვეწინააღმდეგებოდით ზაზას, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდით. ხათუნა ხშირად თავად აკითხავდა მას. სახლს უკანა მხრიდან მოეპარებოდა, რადგან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ იცოდა და ზაზას იქიდან ეძახდა. ხანაც სხვას დააძახებინებდა ხოლმე. ხათუნა ავიწროებდა, გასაქანს არ აძლევდა, ცდილობდა, თავიდან ბოლომდე დაემორჩილებინა ჩემი ძმა. იმ ხანებ-

ში ზაზამ თავისი შრომით ნაშოვნით ფულით ავტომანქანა „ადინაცატი“ შეიძინა. გასარემონტებელი იყო, ამისთვისაც დააგროვა ფული და გაარემონტა. უცებ, სრულიად მოულოდნელად რომ დაუწვეს და ნაშრომი წყალში ჩაუყარეს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. იმ დღეებში სულ დაღონებული, ჩაფიქრებული დადიოდა. სულ შინ იყო, ხმას არ იღებდა, თუ რამეს იტყვოდა, მაშინაც გაღიზიანებული ხმა ჰქონდა. აგრესიული იყო...“

სასამართლო პროცესზე დაღუპულთა ოჯახის წევრი – დარეჯან აბაზაშვილის მეუღლე და გია და ხათუნა აბაზაშვილების მამა – ნოდარ აბაზაშვილი დაჰკითხეს. მან მის ცოლსა და შვილებზე გავრცელებული ხმები არ უარყო.

**ნოდარ აბაზაშვილი:**


„მართალია, ხალხში ჩემს ცოლსა და შვილებზე ცუდი ხმები დადიოდა. ამბობდნენ, რომ მსუბუქი ყოფაქცევისანი იყვნენ. ამის გამო მე იმ ოჯახიდან 18 წლის წინათ წამოვედი. მაშინ ბავშვები პატარები იყვნენ, მაგრამ უთანხმოება მეუღლესთან მქონდა. მას შემდეგ ცოლთანაც და შვილებთანაც არანაირი კონტაქტი არ მქონია. არც ხათუნასა და ზაზას ურთიერთობის შესახებ ვიცოდი რაიმე. ზაზა ჯავახიშვილი დღეს პირველად ვნახე“...

აბაზაშვილების ოჯახიდან მხოლოდ ორი წევრი – დარეჯან აბაზაშვილის ერთი ქალიშვილი (იგი მკვლელობის დროს შინ არ იყო, სასამართლო პროცესზე გამოცხადებაზე კი უარს ამბობს) და ხათუნა აბაზაშვილის მცირეწლოვანი შვილი – სოფიკო გადარჩა. როგორც გვითხრეს, ბავშვი გასაზრდელად ნათესავებმა წაიყვანეს.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოწმეების დაკითხვა გრძელდება, თუმცა იმის გამო, რომ პროცესზე ყველა მათგანი არ მოდის, მოსამართლე მათი კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იძულებითი წესით მოყვანის საკითხის დაყენებას აპირებს.



სასამართლო კოლეჯია, თავმჯდომარე – ჯემალ ლეონიძე



კადრი  
ფილმიდან  
„გრანგუსი“

# არავინ არ მიყვარს...

ელენე ხირსელი

— მრავალი როლის მიუხედავად, მაყურებელს, უბირველეს ყოვლისა, ახსოვხარო, როგორც „ბეთხოვენა“. როგორ მოხვედით ამ ფილმში?

— თავდაპირველად ფილმის სახელწოდება იყო „ეს რა ახალგაზრდობა მოდის“. რეჟისორია რეზო ჩხეიძე (მამაჩემი), სცენარზე მამასთან ერთად მუშაობდა მისი განუყრელი სცენარისტი სულიკო ჟღენტი. იდგა 1967-68 წლები: ბატონი სულიკო ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში, მაგრამ ერთ დღეს, თითქოს პირველად დამინახა, აღტაცებულმა წამოიძახა: „სწორედ ეს მჭირდება! ეს ხომ ზედგამოჭრილი „ბეთხოვენაა“!“

— რას აკეთებენ დღეს, ფილმის დანარჩენი გმირები — „ბეთხოვენას“ მეგობრები?

— თითქმის ყოველ მათგანთან დღესაც კარგი ურთიერთობა მაქვს. კახა ქორიძე (თემური) — პოლიტიკაშია, თემურ ბაბლუანი (ჩვენი უფროსი, სვანი მეგობარი) — ცნობილი კინორეჟისორია, ნუგზარ ბაგრატიონი („ჭკუისკოლოფა“), თამაზ თოლორაია (ლევანი), ლეილა ყიფიანი (ნათელა) — მსახიობები არიან.

— ფილმის სიუჟეტის მიხედვით, თემურს და ნათელას უყვართ ერთმანეთი. კადრს მიღმა თუ იყო მათ შორის მსგავსი რამ?

— ცხოვრებაში მათ შორის მსგავსი არაფერი ყოფილა. ისინი ჩვეულებრივი მეგობრები იყვნენ. სამაგიეროდ, ნათელას და „ჭკუისკოლოფას“ შეუყვარდათ ერთ-

მამასთან ერთად „ჯარისკაცის მამის“ გადასაღებ მოედანზე. 1964 წ.

საქართველოში ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ უნახავს ფილმი „ლიმილის ბიჭები“ და ამდენად არ იცნობს მის ერთ-ერთ პერსონაჟს — განუშეორებელ „ბეთხოვენას“.

საინტერესოა, როგორია ის ახლა, 50 წლის ასაკში. თუმცა, ამ ფილმის გადაღებიდან, თითქმის 35 წელი გავიდა, „ბეთხოვენა“ შემთხვევით ქუჩაში რომ მენახა, ალბათ მაინც ვიცნობდი. ის თითქმის არ შეცვლილა: ისევ ისეთი მზერა, ისევ ის ღიმილი... ოღონდ, ოდნავ მომატებულია წონაში და ჭაღარაც შერევია. მაშ ასე, წარმოგიდგენთ ბატონ ბიძინა ჩხეიძეს!

# „ახლა ძალიან დაბოლოვილი ვარ და არ მიყვარს...“

მანეთი. გადაღებების დროს შევამჩნიე, რომ ისინი რაღაც სხვანაირად იქცეოდნენ — სხვანაირად უყურებდნენ ერთმანეთს, განცალკევებოდნენ და ჩვენკენ აღარც კი იხედებოდნენ. დღეს ისინი ცოლ-ქმარი არიან.

— თქვენ კინოში, მსახიობის გარდა, როგორც რეჟისორიც მუშაობთ...

— მე არ ვარ პროფესიონალი მსახიობი, ჩემი სპეციალობა რეჟისურაა. დავამთავრე მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. ჩვენი პედაგოგი — განთქმული გერასიმოვი, რეჟისორისგან მრავალმხრივობას მოითხოვდა — ე.ი. ჩვენ უნდა შეგვძლებოდა სცენარისტობაც და მსახიობობაც და მეც ვცდილობ, პრაქტიკაში განვახორციელო ეს მეთოდი.

— თქვენს ფილმებში განსაკუთრებული სტილი შეინიშნება...

— ჩემი შემოქმედება არ არის განკუთვნილი ფართო მასშტაბისთვის, აქ შერწყმულია სიურეალიზმი და აბსურდი, და ის არ

შეიძლება ყველასათვის ერთნაირად საინტერესო იყოს, თუმცა, ვთვლი, რომ მას აქვს თავისი ზიბლი, რომელსაც დანახვა სჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი შემოქმედება ჩრდილში აღმოჩნდა.

ჩემი პირველი ნამუშევარი იყო საღიპლო ფილმი „ბენზინის ჩამომსხმელი“ (1973-1974), სადაც თავად შევასრულე მთავარი როლი. ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად. ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ის დაჰქონდა უცხოეთის კინოფესტივალებზე და ჩამოჰქონდა პრიზები, ღებულობდა მილოცვებს, მაღლობებს, მე კი, რეჟისორის კაბინეტში ფინჯან ყავაზე დაპატიჟებას მაკმარებდნენ ხოლმე...

გადაღებული მაქვს ასევე ფილმები: „მე-მუქურე“, „ზმანებები აღლუმებს შორის“, „ყუთები“... ყველა ჩემს ფილმში თავად ვასრულებ მთავარ როლს. რაც შეეხება სხვის ფილმებს, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გუგული მგელაძის ფილმი „მაცივარში ვიღაც იჯდა“, სადაც ეჭვიანი ქმ-





მაკა მახარაძესთან ერთად ფილმში „მაცივარში ვიღაც იჯდა“

რის როლი შევასრულე. ასევე ვითამაშე ფილმებში: „ღრმა ზურგში“, „ჩემი საყვარელი ბაბუ“... და იყო კიდევ მრავალი უმნიშვნელო როლი, რომელიც ახლა არც კი მახსენდება.

**— თქვენ მიერ გასახიერებული გმირები, შეიძლება ითქვას, არაორდინარულობით, უცნაურობით გამოირჩევიან...**

— განსაკუთრებული ამბლუა ჩამომიყალიბდა: ჩემი გმირები, მართლაც უცნაური, ექსცენტრიკული, ახირებული ტიპები არიან, ხშირად — შერეკილებიც. თუმცა, ცხოვრებაში ზოგჯერ ძნელია იპოვო, სად გადის ზღვარი ნორმალურობასა და არანორმალურობას შორის.

**— ბატონო ბიძინა, თეატრთან თუ გქონიათ შეხება?**

— ძალიან მწყდება გული, რომ თეატრის მიღმა აღმოვჩნდი. სურვილი კი მქონდა, მეთამამა სპექტაკლებში, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა.

**— რომელ ცნობილ მსახიობებთან გქონიათ ახლო ურთიერთობა?**

— პირველ რიგში, აღვნიშნავდი დოდო აბაშიძეს და იპოლიტე ხვიჩიას. მათი გმირები ახლოს დგანან ჩემს გმირებთან და ცხოვრებაშიც იყო ასევე ჩვენ შორის რაღაც უხილავი სულიერი კავშირი, რომელსაც მათი სიკვდილის შემდეგ უფრო ვგრძნობ...

**— როგორები იყვნენ ისინი ცხოვრებაში? ჰქონდათ თუ არა მსგავსება თავიანთ გმირებთან?**

— დოდო აბაშიძე ჩემი მეზობელი იყო და ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მასთან ძალიან ახლოს ვიყავი. რაც შეეხება თანამშრომლობას, ჩვენ პარტნიორები ვიყავით გუგული მეგლადის ფილმში „მაცი-

ვარში ვიღაც იჯდა“ (ვასრულებდით სიძესიმამრის როლებს). იპოლიტე ხვიჩია კი, მონაწილეობდა ჩემს სადიპლომო ფილმში „ბენზინის ჩამომსხმელი“. აქედან გამომდინარე, მე შემიძლია დავახასიათო ისინი: იპოლიტე ძალიან სერიოზული, მშვიდი, წინარი, დინჯი კაცია იყო. მასზე ცხოვრებაში ნამდვილად არ გაგვიცინებოდა. იგივე ითქმის დოდოზეც. თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, რომ ხალხს უნდა

გაეცინა, გამახიარებდნენ კიდევ, მაგრამ შინაგანად ეს არ ჰქონდათ. ამ ადამიანებს ჰქონდათ ნიჭი, ნებისმიერი ბანალობა და სისულელე ხელოვნების ნიმუშად ექციათ და კიდევ, რაც ყველაზე მეტად მომწონდა, მათ ჰქონდათ ბავშვური სული.

**— თქვენში თუ არის ეს ბავშვური სული?**

— ვფიქრობ, რომ არის და როცა ასაკითაც ბავშვი ვიყავი, ეს ბავშვურობა ჩემში მეტად იყო, ვიდრე ჩემს თანატოლებში. ძალიან მომწონდა, რომ ვიყავი ბავშვი და არ ვჩქარობდი ამ სამყაროსთან განშორებას. ლიდერი არასდროს ვყოფილვარ —

**ლულა ალიმბერაშვილთან ერთად ფილმში „მმანებანი აღლუმებს შორის“**



ეს არ ზის ჩემს ბუნებაში, მაგრამ საბავშვო ბაღში და სკოლაში ყველას ძალიან ვუყვარდი — ალბათ, სწორედ ამ თვისების გამო. ახლაც, როცა ჩემი ბავშვობის მეგობრები მხვდებიან, სულ ცრემლებით ვიხსენებთ ხოლმე წარსულს.

**— ბატონო ბიძინა, ამჟამად რას საქმიანობთ?**

— ვმუშაობ კინოსტუდიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერს ვიღებთ, ფინანსები არ გვაქვს. ძალიან ძნელია უსაქმურობა, გულხელდაკრეფილი ვერ ვიჯდებოდი და ამიტომ ჩემი ნააზრევი ეკრანის მაგივრად, ქაღალდზე გადავიტანე: დავწერე რომანი „აირტონის ფრივოლური მოგონებები“, სადაც რეალობა და ფანტაზია ერთმანეთშია შერწყმული. შევეცადე, სხვა თვალით დამენახა საკმაოდ ნაცნობი მოვლენები და სიტუაციები.

**— კიდევ რის გაკეთებას აპირებთ? რა გაქვთ გეგმაში?**

— ძალიან მინდა გავაკეთო პატარა მიწისქვეშა სარდაფი-თეატრი, რომლის სახელწოდებაც უკვე მოფიქრებული მაქვს: „საოცრებათა თეატრი — „ბეთხოვენა“. ის მოთავსდება გვირაბში, სადაც ყოველთვის ბნელა და რომლის დანიშნულებაც, შეუქმნას მაყურებელს შიშის, საფრთხის, მოულოდნელობის შეგრძნება და რაც ღრმად ჩახვალ, მით უფრო უნდა გაძლიერდეს ეს ასოციაციები. აქ მოეწყობა სპექტაკლები, ღონისძიებები. სიბნელე კი საჭიროა იმიტვის, რომ მაყურებელმა, მის ფონზე, იმ წარმოდგენის საშუალებით, რომელიც იქ მოეწყობა, მეტი სინათლე დაინახოს. მარტივად რომ ვთქვათ: თეთრი ფერი შავ ფონზე უფრო კარგად იკვეთება, აქ კი თეთრი ასოცირდება სიკეთესთან, შავი — ბოროტებასთან.

**— როდის აპირებთ ამ იდეის განხორციელებას? ტერიტორიულად სად იქნება ეს თეატრი?**

— ალბათ მალე, რადგან სპონსორი უკვე გვყავს. ადგილიც შევარჩიე — დავით აღმაშენებელზე — ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე.

**— ახლა თქვენს პირად ცხოვრებაზე, ოჯახზე გვითხარით რამე.**

— მეყავს სამი შვილი, ორი — პირველ მეუღლესთან, ერთიც — მეორესთან. ასე რომ, სამწუხაროდ, მათ სხვადასხვა დედა ჰყავთ.

უფროსი — თინიკო, თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობს, სამუალო — რეზიკო, წელს სკოლას ამთავრებს, უმცროსი ნინიკო კი, მეცხრე კლასშია, ის ძალიან კარგად ზატავს. პირველი მეუღლე თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობს,



ახლანდელი მეუღლე არსად არ მუშაობს, ისე კი, უცხო ენების სპეციალისტია.

**— პირველ მეუღლეს რატომ გაშორდით?**

— ძალიან რთული საკითხია. ძალიან მიყვარდა და ძალიან მომწონდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჰოროსკოპით მე კატა ვარ, ის კი — ვირთხა, და წარმოიდგინეთ, რა ურთიერთობა გვექნებოდა — ერთმანეთს ვასრჩობდით. ბოლოს, გადავწყვიტეთ, ცოცხლები დავრჩენილიყავით და ბავშვები არ დაგვეობლებინა (იციან).

**— რამდენჯერ გყვარებიათ?**

— მე სიყვარულის გარეშე არ შემიძლია და ყოველთვის ცდილობ, შეყვარებული ვიყო — ძალიან ადვილად მიყვარდება. პირველად საბავშვო ბაღში მიყვარდა, მერე — მეორე კლასში... და საერთოდ, მგონია, რომ აკვანძვლ შეყვარებული ვიყავი.

**— ახლა ვინ გიყვარს?**

— ახლა ძალიან დაბოლოებული ვარ და არავინ არ მიყვარს.

**— გაბრაზებული ალბათ მეუღლეზე ხართ...**

— ალბათ. კაცი, როდესაც მეუღლეს ირჩევს, ცდილობს მასში იპოვოს ის თვისებები, რომელიც თვითონ არ გააჩნია და ამით შეავსოს საკუთარი თავი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიქცევი და ამიტომ ავირჩიე მეუღლე, რომლის აზრები და ქედები ჩემთვის აუცილებლად უცნობი და გაუგებარი იქნებოდა. მაინტერესებდა იმდენად, რამდენადც არ მესმოდა მისი სამყარო და მგონი, მანაც ეს ნაბიჯი იგივე მოსაზრებით გადადგა. ახლა კი, ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთი კარგად შევიცანიით...

**— იქნებ, ასე ვთქვათ, ახალი ობიექტის შესწავლის სურვილი გაგიჩნდათ?**

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ამის განცხადება არ შემიძლია (იციან).

**— ბატონო ბიძინა, მოდიო**



**ახლა მამათქვენზე — რეზო ჩხეიძეზე ვისაუბროთ. როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან?**

— ხასიათებით საერთოდ ვერ ვეწყობით. აბსოლუტურად აუტანლები ვართ ერთმანეთის მიმართ. მე უფრო „გაფანტული“ ვარ, ზედმეტად ვინებები წვრილმანებში. მამა უფრო „შეკრულია“, არ უყვარს ზედმეტი საუბრები, ზედმეტი გარჩევები, მოითხოვს, რომ მისი აზრი იყოს ყოველთვის გადამწყვეტი, მაჩნია, რომ თუ მისგან განსხვავებულად აზროვნებ, ე.ი. არასწორად ფიქრობ. მე ბუნებით დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და ამიტომ, ასეთი მიდგომა ჩემთვის მიუღებელია. მე ჩემი ხედვა მაქვს, ჩემბურად ვფიქრობ, სხვა სიღრმეები, სხვა მიმართულებები მაინტერესებს.

**— კამათობთ ხოლმე?**

— კამათი არ მოგვლის — აზრი არა აქვს...

**— მის ფილმებს როგორ აფასებთ?**

— არ ვიცი, როგორ მაფასებს თვითონ, მაგრამ მე საკმაოდ დადებითად ვაფასებ მის შემოქმედებას. რეზო ჩხეიძის ფილმებში რომანტიკული რეალიზმის და გმირული რომანტიზმის პათოსია. ახლა მამაჩემს ხელთ აქვს ძალიან საინტერესო სცენარი — „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“. სცენარის ავტორები არიან სულიკო ჟღენტა, ანზორ ჯუღელი, რეზო ჩხეიძე. ჩემი აზრით, ამ ფილმმა „ჯვარისკაცის მამაზე“ მეტი წარმატებაც კი უნდა მოიპოვოს — იმდენად საინტერესო სცენარია.

**— თქვენ თუ მიიღებთ ამ ფილმში მონაწილეობას?**

— შეიძლება, მივიღო მონაწილეობა, როგორც მეორე რეჟისორმა. როგორც მსახიობმა — გამორიცხვულია, რადგან მე სცენარი გულდასმით წავაკითხე და დავრწმუნდი, რომ იქ არაფერია საჩემო.

**— რა პროფესიისაა რეზო ჩხეიძის მეუღლე — დედათქვენნი?**

— დედა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო (ამ თეატრში ბავშვობა გავატარე), მერე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. სხვათა შორის, ჩემი მშობლები სკოლაშიც და ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ.

**— რეზო ჩხეიძეს თუ გადა-**

თინათინ, რეზო და ნინო ჩხეიძეები



რუს კოლეგასთან ერთად კინოფესტივალზე ვოლგისპირეთში. 2001 წ.

**ულია თავის ფილმებში მეუღლე?**

— დედა მხოლოდ რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის რამდენიმე ფილმშია გადაღებული. რეზომ რამდენჯერმე დააპირა მისი გადაღება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხვა უკეთესი იყო.

**— თქვენი დის — თამარიკო ჩხეიძის სახელი პოლიტიკას უკავშირდება. მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ზუსტად ისეთი, როგორც მამაჩემთან. თამარიკო ფიქრობს, რომ ყოველთვის მართალია, სხვა კი, თუ მის აზრს არ იზიარებს, ცდება. მისი გადარწმუნება შეუძლებელია. მე არც მას ვეკამათები ხოლმე, რადგან, რაც არ უნდა მოხდეს, ის მაინც თავის აზრზე დარჩება, მე — ჩემსაზე.

**— თამარიკოს პოლიტიკურ შეხედულებებს თუ იზიარებთ?**

— არასდროს ვიზიარებდი, რადგან არ მაქვს მგლის ხახაში თავის შეყოფის სურვილი. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის — მე უფრო მშვიდი ბუნების ადამიანი ვარ. თამარიკოს სულ სხვა ბუნება აქვს — მას შეუძლია თავდამსხმელს გაუმკლავდეს. ის ხალხის იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც მოსწონს ბრძოლა და ამას მომზადებული ხვდება.

**— როგორც ვიცი, თქვენ კიდევ ერთი და გყავთ...**

— კი, მამის მხრიდან. ხათუნას ისეთივე ხასიათი აქვს, როგორიც მამას. მას აქვს თავისი მუზეუმი და მხატვრების გამოფენებს აწყობს. საბოლოოდ, შემიძლია ვთქვა, რომ მამაჩემს რომანტიკული სული აქვს, ჩემში შეიძლება, უფრო ლირიკოსი იჯდეს, თამარიკოში კი, ხმლების ჭანჭუნე იხმის.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საკითხზე სხვადასხვა აზრი და მიდგომა გვაქვს, და ბევრ რამეში არ ვეთანხმებით ერთმანეთს, ყველა ძალიან მიყვარს და ეს სულაც არ გვიშლის ხელს პირად ურთიერთობებში. ■

ჩემს პრაქტიკაში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა რესპონდენტთან პირისპირ კი არ ვიჯექი, არამედ ზურგშეცვეთის ფეხზე იდგა ჩემ ზურგს უკან და ერთმანეთს დიდ სარკეში ვუყურებდით. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ერთფეროვანი ცხოვრებისაგან თავმოხვევით, გადაწყვეტილებით, ვარცხნილობის სტილი და თმის ფერი შემიცვალა. მეგობრებში გავიკითხე-გამოვიკითხე და მიშიკო გასიტაშვილთან მისვლა მირჩიეს: ის ჯერ თითქმის ბავშვია, მაგრამ კარგი სტილისტია და საკუთარი სოლამაზის სალონიც აქვსო. არ დავმალავ — საქმე წინასწარ „ჩანყობილი“ რომ არ მქონოდა, სალონი მისვლისთანავე უკან გამოვბრუნდებოდი, — ამ ბავშვს ჩემი თავი როგორ ვანდომეთქი, მაგრამ მეუხერხულა.

სავარძელში მოკალათებულმა, პირველი რამდენიმე შეკითხვა, როგორც კლიენტმა ხელოსანს, ისე დავუთხარი, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ მიუხედავად მისი პატარა ასაკისა, ძალიან დიდი გულსტუკივლის ატარებდა ტვირთად და გადავწყვიტე, მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი და ტვივილი თქვენს სამსჯავროზე გამომეტანა.

**მარი ჭაჭარიძე**

— მიშიკო, რამდენი წლის ხარ?

— თვრამეტი სულ ახლახან შემიხსურულა — 7 ნოემბერს!

— რამდენი ხანია, რაც სტილისტად მუშაობ?

— უკვე სამი წელია. ბავშვობიდან დედას საპარიკმახეროში დავყავდი. 6 წლის ვიყავი, საპარიკმახეროში თმას რომ ვიწესრიგებდი მანიკურს და პედიკურსაც იქ ვიკეთებდი. ვაკვირდებოდი ხელოსნებს და მიკვირდა, როგორ ახერხებდნენ შავი თმისგან ჩალისფერის ან წითლის მიღებას. რომ წამოვიზარდე, ამ საქმით სერიოზულად დავინტერესდი. 14 წლიდან მოსწავლედ ამიყვანა სტილისტმა ვაჟამ. ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ ძირითადად, ხელობა სიზმარში ვისწავლე. რომ დავიძინებდი, სულ ახალი ვარცხნილობები მესიზმრებოდა, მეორე დღეს კი, ძილში ნანახს ვახორ-



**მამარხეშისგან  
ახალგაზრდა  
მხატვრის  
სტილისტის  
მეგობრებთან...**

ცილებდი და კარგადაც გამომდიოდა. 17 წლისამ საკუთარი სალონი გავხსენი და „მოკი“ დავარქვი.

— მშობლები დაგესმარნენ?

— მხოლოდ დედა. სამწუხაროდ, დაბადებიდანვე მამისგან უარყოფილი შვილი ვარ.

— ვინ არის მამაშენი?

— მამაჩემი წლების მანძილზე 5 დეკემბრის ქუჩაზე მღებარე სუპერმარკეტის დირექტორია.

— დაწვრილებით მომიყვები შენი ამბავი.

— უკვე ვითხარით, რომ მამაჩემი მალაზიის დირექტორია. მასთან მუშაობდა ჩემი დედა. დედამ და მამამ სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიპარნენ და საქორწინო მოგზაურობაში სოჭში წავიდნენ. იქიდან დაბრუნებულმა ბინა იქირავეს და საკმაოდ შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, ვიდრე მე მოვევლინებოდი ქვეყანას. მამა გადამეტებულადაც კი ზრუნავდა

დედაზე. ორსულად რომ იყო, ხილსა და ვიტამინებიან საკვებს არ აკლებდა თურმე: ჩემი ბიჭი (დარწმუნებული იყო, რომ ვაჟი შეეძინებოდა) ჯანმრთელი და მაგარი უნდა დაიბადოსო. დედამ მშობიარობა სავარაუდოდ 1 კვირით გადააცილა. მშობიარობის ხარჯები მამამ გაიღო, გახარებული ყოფილა — ვაჟი შემეძინაო, მაგრამ ჩემი გამოყვანის დღეს არ მოვიდა, თანაც, აღმოჩნდა, რომ არც გვარს მძღვედა. რატომ? — არავინ არაფერი იცოდა. დედა დეპრესიაში ჩავარდნილა, იმდენად განერვიულდა, რომ დიღმის საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში გადაუყვანიათ, სადაც ერთი თვე დასჭირდა მის გამოჯანმრთელებას, მე კი ამ დროს დედაჩემის დედასთან ვიყავი და ის მივლიდა. დედაჩემს დედაჩემისთვის უთქვამს, რომ მამამ იეჭვიანა, რადგან ბავშვი ერთი კვირით გვიან დაიბადა — და მის მამობაზე უარს ამიტომ ამბობსო.

— როგორ მიაღწიე იმას, რომ ახლა მამის გვარს ატარებ?

— სასამართლო წესით. როდესაც დედა ნევროლოგიური განყოფილებიდან გაწერილა, მამასთვის დაურეკავს და შეხვედრა უთხოვია. შეხვედრისას უთქვამს — შენი არაფერი მინდა, არც გვარი, არც ალიმენტი, მხოლოდ ბავშვისთვის საკვები მომეცი, ცოტა მაინც წამეშველება მატერიალურად, დამეხმარე, რომ ამხელა სტრესის შემდეგ, ფეხზე დავდე და მერე მაგაზეც აღარ შეგაწუხებო... მე თქვენთვის მკვლარი ვარო — უპასუხია მამას. დედას რამდენჯერმე კიდევ უცდია მასთან დაკავშირება, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ლეულობდა. მერე გადაუწყვეტია, ებრძოლა იმისთვის, რომ ჩემთვის კანონიერი მამის გვარი მოეცა. სასამართლომ გვარი მომცა და მამაჩემს ალიმენტის გადახდაც დააკისრა. მას დედასთან მოლაპარაკება უცდია — ოღონდ საბუთებში ნუ ჩააწერინებ, რომ ალიმენტი დამეკისრა და ყოველთვის უარს მანეთს გადაგიხდით. დედას უპასუხია: არა, იყოს სამი მანეთი და კანონიერი!..

— რომ წამოიზარდე, არ გიცდია მამასთან დაკავშირე-

ბა?

— კი. დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ მამაჩემი ძალიან კარგი კაცია — რაღაც გაუგებრობის გამო ჩვენი დაშორება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცუდი ადამიანიაო. მე ყოველთვის მიყვარდა მამა. არ ვიცნობდი, არასოდეს მენახა, მაგრამ მაინც მიყვარდა. პირველად მასთან რომ დავრეკე, 12 წლის ვიყავი. რომ ვუთხარი, შენი შვილი ვარმეთქი, ყურმილი დამივიდა. მას მერე ხშირად ვრეკავდი, მაგრამ არასოდეს მელაპარაკებოდა. რომ გავიზარდე, ჩემი თავმოყვარეობა აღარ მაძლევდა უფლებას, მისი მხრიდან ასეთი დამცირება ამეტანა. მალულად, მაგრამ მაინც ვცნებობდი მასზე. მინდოდა, ჩემი მეგობრებივით, მამით შემეშინებინა ვინმე, ან ოცი თეთრი მოცვა, რომ ფუნთუშა მეყიდა შესვენებაზე... დედა არაფერს მაკლებდა, არც სულიერად და არც ფიზიკურად, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი, როგორ მაკლდა მამის მზრუნველობა და ალერსი. შარშან მარტში მე და მამა ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით დეიდის დაბადების დღეზე. ის ჩემს პირდაპირ იჯდა სუფრასთან. მე არ ვიცოდი, ვინ იყო ეს კაცი, თვალეში რომ არ მიყურებდა. თურმე მას სცოდნია, წინ ღვიძლი შვილი რომ ევდა. თუ მარილს ან რაიმე კერძს მივაწვდიდი, არ მართებდა... მერე მითხრეს — ეს კაცი მამაშენიაო. თვალეზანთებული შევეყურებდი, მომწონდა, კარგი მამა მყოლია-მეთქი. სტუმრები დაიშალნენ. რამდენიმე ადამიანილა შემორჩა სუფრას. მათ შორის ჩვეიც. დეიდაჩემმა



დედა-შვილი

მიმართა — აი, ეს არის შენი შვილიო. მას არ უნდოდა ჩემი გაცნობა. მე მივედი, გადავეხვიე, ხელი ჩამოვართვი, თან ვტიროდი, ამხელა ბიჭს ცრემლი ღვარად ჩამომდიოდა სახეზე. სლუკუნით ველაპარაკებოდი, — მე რა შუაში ვარ, რატომ გეჯავრები, მე ხომ არ ვარ თქვენი გაუგებრობის მიზეზი-მეთქი?... მაშინ მითხრა — არა, შვილო, შენ რა შუაში ხარო. მისი ეს ნათქვამი — „შვილო“, გულზე მაღამოდ მომეცხო. ვიფიქრე, ეტყობა, გული მოუღება-მეთქი. მას იქვე, დივანზე მიწოლილს ჩაეძინა. ძალიან გვიანი იყო და რამდენიმე ახლობელი დეიდაჩემთან დავრჩით. ყველა დაწვა. მე კი მას არ ვტოვებდი. მეხვეწებოდნენ — წამოდი, იქით დაიძინეო. მე კი არ მეშვებოდა მამა მისატოვებლად. მინდოდა, რაც შეიძლება დიდხანს მეცქირა მისთვის. მთელი ღამე ლუმელთან გავატარე. შუაღამოსას, რომ მივხვდი, ღრმად ეძინა, მივედი, თმაზე ფრთხილად შევეხე, ხელზე ხელი დავადე და მისი სითბო შევიგრძენი. ხელები გაჰყინვოდა. გამოვიტანე საბანი და დავაფარე. ფეხსაცმელზე საღებავი რეზინა მიჰკვროდა — ის მოვაცილე, ისევ შორს დავჯექი და ვუყურებდი. აი, თურმე როგორი ყოფილა მამაჩემი-მეთქი — მსიამოვნებდა მასთან ახლოს ყოფნა და იმ ჰერის სუნთქვა, რომლითაც ის სუნთქავდა... დილით ადრე გაიღვიძა, შემომხედა, დილა მშვიდობისაო — მითხრა და სამზარეულოში გავიდა. მესმოდა, რომ ჩაის სვამდა. მე კი ველოდებოდი, რომ იქიდან გამოსული რამეს მეტყვოდა, მაგრამ სამზარეულოდან დერეფანში გავილილსა მოვკარი თვალი და

კარის ჯახუნით მივხვდი, რომ ისე წავიდა, არც კი დამემშვიდობა. ისევ ავტირდი. თან, ჩემს თავზე ვბრაზობდი — რა მატირებს ამხელა ბიჭს-მეთქი, — მაგრამ თავს ვერ ვიკავებდი...

ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ ვნახე მამაჩემი. ჩვენი ნათესავის ქორწილში წავედით რაიონში და მე, დეიდაჩემმა და რამდენიმე ადამიანმა მისი მანქანით ვიმგზავრეთ. გზაში ვცდილობდი, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ პასუხს არაფერზე მცემდა. ქორწილის შემდეგ, მამაჩემმა გადაწყვიტა, მანქანაში დარჩენილიყო დასაძინებლად. მეც მასთან ერთად ვიჯექი და დარჩენა მინდოდა, მაგრამ არ გამაჩერა. მეორე დღეს თბილისში დავბრუნდით, დეიდაჩემი სახლში მივიყვანეთ, მე ბარგის ატანაში მივეხმარე და ეზოში დავბრუნდი. მანქანასთან მარტო მე და მამაჩემი ვიდექით. ვიფიქრე, რომ სახლში წამიყვანდა ან დამემშვიდობებოდა მაინც, მაგრამ გამოალო მანქანის კარი, ჩაჯდა, დაქოქა და უსიტყვოდ წავიდა. მას შემდეგ აღარც დამირეკავს, აღარც მინახავს.

— დედას თუ აქვს რაიმე ურთიერთობა მასთან?

— არა, არავითარი. ის ყოველთვის ამბობს, რომ მასზე შური იმ დიდი სიყვარულის გამო ვერ იძია, რომელსაც მის მიმართ განიცდიდა... მე და დედა მეგობრები ვართ. სიხარულიც საერთო გვაქვს და გასაჭირიც. მე პატარა ვყოფილვარ, როდესაც დედა მოსკოვში გამგზავრებულა ოპერაციის გასაკეთებლად (ნალვლის ბუშტიდან უამრავი კენჭი ამოუღეს). ოპერაციის წინ მას დიდი

**ბაროს კარბით**  
**ენიანსარმეფველება**  
 მათთვის, ვისაც  
 ანუხებს საქმიანი,  
 ჰიხადი თუ სხვადასხვა  
 სახის ჰიხობემები,  
 საქიხოებს მომავლის  
 ყოიქციას და  
 სასახებლო  
 ჩრევა-დაიიგებებს,  
 აგხეთვე სუიხ დამცავი  
 თიღისმის შექენა,  
 მიაიითხეთ ქ-ნ მაიიამს.  
 ☎ 95 28 37; 899 91 43 25

წერილი დაუწერია ჩემთვის. რომ გავი-  
ზარდე, ეს წერილი წავიკითხე. იქ მამა-  
ჩემის ტელეფონის ნომერი, მისამართი,  
სახელი, გვარი და მისი უსაზღვრო ქე-  
ბის სიტყვები წერია.

**— მამაშენის ოჯახური მდგო-  
მარეობა ახლა როგორია?**

— მიუხედავად იმისა, რომ ის 50  
წელს გადაცილებულია, არც ცოლი, არც  
შვილი არ ჰყავს.

**— რას ეტყობი მამას, ამის  
საშუალებად რომ გქონდეს?**

— მისგან არაფერი მინდა — არც  
ფული, არც რაიმე დახმარება, მხოლოდ  
მისი სიტბო მჭირდება. ვიცი, რომ მყავს  
ძალიან კარგი მამიდა. ჩემი ერთადერთი  
სურვილია, მქონდეს უფლება მათთან  
ურთიერთობის, სტუმრად მისვლისა და  
მოკითხვისა. მიუხედავად ჩემი დიდი  
სურვილისა, რომ მამასთან და მამიდასთან  
ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდე, ამაზე პრე-  
ტენზია არ მაქვს. მინდა, ჩემს შვილებს  
ვახე — მამა, როგორ ხარ? — პასუხად  
წყვეტილი ზუმერი კი არა, — კარგად,  
მიშვი, შენ როგორ ხარ? — ანდა რაიმე  
მსგავსი მოვისმინო...

**— შენი შემოსავალი გყოფ-  
ნის?**

— საკვებით ვიკმაყოფილებ ჩემს ნებ-  
ისმიერ „კაპრიზს“. 18 წლის ბიჭისთვის  
კი ეს „კაპრიზები“ კოლოსალურ თანხ-  
ებთან არ არის დაკავშირებული.

**— გამორჩეულად საყვარე-  
ლი კლიენტები თუ გყავს?**

— მომსახურებით ნებისმიერ კლი-  
ენტს ერთნაირი მზრუნველობით ვეპყ-  
რობი, მაგრამ დიდი სიამოვნებით ვემ-  
სახურები შალვა რამიშვილის მეუღლეს  
და ჯგუფ „სახის“ სოლისტის — გოგა  
ხაჩიძის მეუღლეს. ისინი დები არიან,  
მეგობრებადაც ვთვლი და როგორც  
კლიენტები, საკმაოდ უპრეტენზიოებიც  
ბრძანდებიან.

კარცხნილობასთან ერთად ჩვენი გუ-  
ლანდილი საუბარი დასასრულს მიუახ-  
ლოვდა. მისი შემოქმედებით კმაყოფილ-  
მა, სარკეში ჩემი თავი შევათვალიერე  
და პატარა სტილისტს დავემშვიდობე.  
მეორე დღეს კი დაგურეკე და მისი  
მონათხრობის გამოქვეყნების ნებართვა  
ვთხოვე. ნებართვა მხოლოდ დედასთან  
მოთათხრობის შემდეგ მივიღე და იმედი  
მაქვს, მიშვიკოს მამა გაგებით მოეკიდება  
შვილის გულისტკივილს.

# „გზის“ კუბლიკასიის შედეგ დედა-შვილი ერთმანეთს შეხვდა

რამდენიმე ხნის წინ ჩვენს ჟურნალში („გზა“, №38) დაიბეჭდა  
სტატია „შემიბრალე“. მკითხველს შევახსენებთ, რომ საუბარია ექიმი  
ქალის ცხოვრების ტრაგიკულ ამბავზე: შეყვარებულისგან უარყოფილმა  
ქალბატონმა წინა, იმერეთის ერთ-ერთ სოფელში გახიზნულმა შვა  
სიყვარულის ნაყოფი, პატარა თამრი. სტუმრად მისულ მშობლებს  
ბავშვი თივის ზვინში დაუმალა და პატარა, მეზობლის ძაღლმა  
დაგლიჯა. ბავშვისთვის ოპერაციის გაკეთებამ (საავადმყოფოში მიყვან-  
ამდე) დედას თავად მოუწია. შემდეგ ქალბატონი წინა ბავშვის კვალს  
ვეღარსად აგნებს. საკუთარი შვილი დედამ 28 წლის შემდეგ შემთხ-  
ვევით იპოვა. მასთან 8 წელი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა,  
მაგრამ თამრისთვის უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ის თავის ნამდვილ  
დედასთან მეგობრობდა. როგორ მოხდა თამრი თავისი ნამდვილი  
მამის, ნუგზარ ძეგნიაურის ოჯახში და რატომ არ უშეხლდნენ მას  
თავისი ბიოგრაფიის დეტალებს? აი, კითხვები, რომელიც წინა  
ანვალეებში მან გადაწყვიტა, ჩვენი ჟურნალის საშუალებით მიემართა  
ყოფილი შეყვარებულისთვის და ამოეხსნა ეს საიდუმლო. ხოლო თუ  
როგორ განვითარდა მოვლენები სტატიის გამოქვეყნების შემდეგ,  
ამაზე თავად ქალბატონი წინა მოგვითხრობს.

## მარი ჯაფარიძე

**— ქალბატონო წინა, როგორ  
განვითარდა მოვლენები სტატიის  
გამოქვეყნების შემდეგ?**

— სტატია რომ წავიკითხე, სიმარ-  
თლე ვითხრათ, ვინაზე — არ უნდა  
გამეკეთებინა ასე-მეთქი, მაგრამ ახლა  
მიმანია, რომ სწორი გადაწყვეტილება  
მივიღე. თავიდან თავს თითქოს დამნა-  
შავედ ვგრძნობდი, თამრისთან აღარ  
დამირეკავს, მეგონა, ჩემს ხმას რომ  
გაიგონებდა, ყურმილს დამიკიდებდა. მისი  
მხრიდანაც საკმაოდ დიდი პაუზა იყო.  
ჩვენი ურთიერთობის მანძილზე ამდენი  
დრო არასოდეს გასულა, რომ არ შემხმი-  
ანებოდა. მთელი ათი დღე იყო გასული  
და თამრისგან არაფერი ისმოდა. თითქოს  
გაბუტულები ვიყავით. მივხვდი, რომ ამ  
ამბავმა მის ყურამდე მიაღწია. ვიჯექი  
და ველოდი. რამდენად მტანჯველი იყო  
ეს მოლოდინი, ამას ვერ აღვწერ. მე-  
თერთმეტე დღეს, საღამო ხანს, კარზე  
კაკუნი გაისმა. გავადე. თამრი და ვიღაც  
უცნობი ქალი იდგნენ კართან. ქალი  
შემოვიდა, თამრი კი კართან იდგა და  
მიყურებდა. მერე მიტრიალდა და კიბეზე  
ტირილით დაეშვა. მისი სლუკუნის ხმა  
კარგა ხანს მესმოდა, მაგრამ გახევებული  
ვიდექი. არ ვიცოდი, ეს ყველაფერი ავის  
მომასწავლებელი იყო თუ კარგის. კითხ-  
ვით სავსე თვალები უცნობ ქალს მივაპ-

ყარი. მან კარი მიხურა, ხელი ჩამკიდა,  
ოთახში შემეყვანა და მითხრა — არაფე-  
რია, დაწყენარდება და თვითონ ამობრუნ-  
დებაო. თავადაც თვალები ცრემლით ჰქონ-  
და სავსე. ვგრძნობდი, სადაცაა ატირლე-  
ბოდა, მე კი ამასაც ვერ ვახერხებდი. მე  
თამრის დედა ვარ, — მითხრა ქალმა.  
გაეღიმა და დაამატა, — გამზრდელი დედა.  
ამას კი აღარ მოველოდი. კარზე ისევ  
გაისმა კაკუნი. ლიზა (ასე ჰქვია ამ ქალ-  
ბატონს) წამოვლა. უკან მობრუნებულს  
თამრი მოჰყვებოდა. არა, როგორც ფილმებ-  
ში ხდება, ისე არ მომხდარა, ის არ გამო-  
ქცეულა „დედას“ ძახილით და არ ჩამხ-  
უტებია. „წინა, შე უბედურო“, — ამოთქვა  
თამრიმ და ისევ ატირდა. ლიზა ეფერე-  
ბოდა და ამშვიდებდა. მე კი ხმის ამოლე-  
ბასაც ვერ ვებედადი. ბოლოს მივედი, ჩემკენ  
მოვატრიალე, თვალებში ჩავხედე და ვკითხე:  
„ისევ ისე თუ გიყვარს წინა?“ პატარა  
ბავშვივით ხელის ზურვით მოიწმინდა  
ცხვირი და თავი დააქნია. აი, ეს იყო  
ჩვენი პირველი შეხვედრის სცენა.

**— მაინც, როგორ მოხდა  
თამრი საკუთარი მამის ოჯახ-  
ში?**

— ამაზე უკვე ლიზამ ისაუბრა. თურ-  
მე ნუგზარს ჩემი მშობლებისთვის წერ-  
ილი გაუგზავნია მოსკოვში და ჩემი  
ასავალ-დასავალი უკითხავს. მათ უთქ-  
ვამთ, წინა საქართველოში ცხოვრობს და  
ქუთაისში მუშაობსო. ბევრი ვუტყებნივარ

პატარა თამრი



ნინო ახალგაზრდობაში

ჩემს შეყვარებულს და ვერ მოუგნია ჩემთვის. ჩემს მშობლებს ჩემს ზუსტ მისამართს სთხოვდა. ისინი კი, რაც არ იცოდნენ, რას ეტყოდნენ? მერე ნუგზარი მოსკოვში ჩასულა და ყველაფერი უამბუნია მათთვის. მამაჩემი განრისხებულა და სახლიდან გამოუგდია. ნუგზარს თავისი მშობლებისთვის გაუმხელია ყველაფერი. მამამისს ჩემი მოძებნა არ გასჭირვებია. ის ქალი და კაცი, რომელსაც ჩემი დედობილისგან ბავშვი წამოუყვანიათ, ნუგზარის მშობლები ყოფილან. პატარა თამრი ოჯახში მიუყვანიათ და ნუგზარის დედას თავის დისშვილიშვილად გაუცნია ახლობლებისთვის. შემდეგ ნუგზარმა ცოლი მოიყვანა. ლიზას თავიდანვე სცოდნია, რომ მას ოჯახში პატარა გერი დახვდებოდა. ორი წლის თამრი საკუთარ შვილად მიუღია და მზრუნველობაც არ დაუკლია. მალე საკუთარი შვილიც შესძე-

ნიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დებს ერთმანეთისგან არ არჩევდა, ნამდვილი დედასავით ზრუნავდა გერზეც.

— სტატის შესახებ როგორ გაიგეს?

— სტატია პირველად ლიზას წაუკითხავს. მეუღლისთვის უჩვენებია და მაშინ მიმხვდარან, მიუხედავად ჩემი და თამრის მეგობრული ურთიერთობისა და ოჯახში გულთბილი დაპატივებისა, რატომ ვარიდებდი თავს მათთან სტუმრობას. მოულაპარაკაით, რომ თამრისთვის ყველაფერი ეთქვათ. ამის გაკეთება კი ლიზას უთავია. სტუმრად მისული თამრისთვის ჟურნალი დაუდვია წინ და — წაიკითხე, რას უღლისშემძვერელი ამბავიაო, უთქვამს. თამრი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ თავისი ცხოვრების უცნობ ფურცლებს კითხულობდა და აღელვებულს, მამისთვის ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა უთხოვია. ამის შემდეგ ყველაფერი გაირკვა და ის რამდენიმე დღეც საკუთარ თავთან ბრძოლაში გაუტარებია. უმძიმდა ჩემთან, როგორც დედასთან შეხვედრა. ბოლოს, დახმარება ისევ ლიზასთვის უთხოვია და დანარჩენი უკვე

თქვენც იცით.

— ნუგზარი არ გამოგვხმაურათ?

— კი, ოღონდ კარგა ხნის შემდეგ. თამრიმ დამირეკა და მთხოვა, რაღაც საქმეზე გაყოლა მჭირდება და სამ საათზე სასტუმრო „საქართველოსთან“ გელოდებიო. მივედი. ცოტა ხანში თამრი და მამამისი დავინახე, ჩემკენ მოდიოდნენ. მუხლები მომეკვითა. დამალვა მინდოდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მომიხლოვდნენ. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და უხერხულობისგან უცნაური შეკითხვები დავსვით. „სად მიდიხარ?“ — მეკითხება. „არსად, თბილა და მზეს ვეფიცხები“ — ესლა მოვასერხე. თამრის გაელიმა. მე მეჩქარება და აბა, თქვენ იცით, არ იჩხუბოთო, — დავგვიბარა და ერთმანეთს შეგვატოვა... მერე დიდხანს ვისხედით კაფეში და წარსულს ვიხსენებდით. მივხ-

ვდი, რომ ეს ადამიანი ჩემს ცხოვრებაში უკვე გავლილ წამად იქცა. აქამდე ვთვლიდი, რომ ის ისევ მიყვარდა. ახლა მივხვდი, რომ ვცდებოდი. ჩვენმა შეხვედრამ დამარწმუნა იმაში, რომ დიდი გრძობაც უკვალოდ ქრება, თუ უფრო მნიშვნელოვანი რამ ხდება: ჩემთვის მთავარია, რომ თამრი დავიბრუნე. ის დღესაც, მე ნინოს მეძახის, ლიზას კი — დედას, მაგრამ სრულებითაც არ მწყინს. მთავარი ის არ არის, რას დამიძახებს, როგორ მომმართავს, მთავარია, რომ ის ჩემი განუყოფელი ნაწილია და ველარავინ წამართმევს.

— ლიზა ხომ არ ეჭვიანობს?

— არ ვიცი. ქმართან დაკავშირებით, საეჭვიანო ნამდვილად არაფერი აქვს. ის კი არა და, ვნანობ, ჩემი ცხოვრება ამ ადამიანის სიყვარულს რომ შეეწირე და უამრავ თავყვანისმცემელს მხოლოდ იმიტომ ვუუბნებოდი უარს, რომ მეგონა, მას ვერავინ შეედრებოდა. რაც შეეხება თამრის, მის სიყვარულს ორი დედა ვეცილებით ერთმანეთს და თამრის ლიზა არანაკლებად და შეიძლება, უფრო მეტადაც უყვარს.

ლიზა ხშირად მირეკავს, ჩემს ამბავს კითხულობს, ვფიქრობ, ჩვენ კარგი მეგობრები გავხდებით.

— ახლა ნამდვილად ბედნიერი ხართ?

— უბედნიერესი. მინდა, თქვენს ჟურნალს დიდი მადლობა გადავუხადო. ლომის წილი მიგიძღვით ჩემს ბედნიერებაში. რედაქციასაც და მკითხველსაც კი ბოდიშს ვუხდი იმისათვის, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის სურათის გამოქვეყნებაზე უარს ვამბობ. ვფიქრობ, გამოგებთ და სწორად შეაფასებთ ჩემს პოზიციას ამასთან დაკავშირებით. ■

**საყოფასწოვკაბო-საოჯანო მომსახურების ფირმა „დიასახლისი მარია“**

**დაბახმარებათ ბინებისა და ოფისების დალაგებაში. ვალაგებთ სწრაფად და იაფად.**

☎ 899 17 33 42;  
71 77 19

ამ რამდენიმე ხნის წინ დიდუბის საგამოფენო დარბაზში ჯიშიანი ძაღლების საერთაშორისო გამოფენაზე დიდხანს ვეძებე ქართული ნაგაზი სიმბა, შარშან იტალიაში მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა. სამაგიეროდ, „ვიპოვე“ სიმბას პატრონი — ბატონი მერაბ ჭკუასელი, ამჯერად აზიურ ძუსთან ერთად. აღისა იმ დღეს ჩემპიონი გახდა...

სიმბას კვალმა ჩიქოვანის ქუჩაზე, საერთაშორისო ასოციაცია „ქართული ნაგაზის“ პრეზიდენტის მერაბ ჭკუასელის „სამფლობელოში“ მიგვიყვანა, სადაც ჩემპიონი მშვენიერ აპარტამენტში ვიხილეთ დედასთან ერთად, ხოლო მათ გარშემო ეზოში მოწყობილი ვოლიერებიდან კიდევ სხუთი ჯიშიანი ძაღლი შემოგვცქეროდა ეჭვიანი თვალებით...

კითხვაზე, რატომ არ მონაწილეობდა სიმბა აღნიშნულ კონკურსში, ბატონმა მერაბმა სრულიად მოულოდნელი პასუხი გამცა.

**ელენე სალარიძე**

— სიმბას ყველა უმაღლესი საფეხური აქვს დაპყრობილი... ისე კი, ორგანიზატორებს ოდნავ მეტი ყურადღება და პროფესიონალიზმი რომ გამოეჩინათ და უკონკურსოდ მიეწვიათ, რა თქმა უნდა, მივიყვანდი, მაყურებელსაც გავახარებდი (გამოფენაზე არაერთი დამთვალიერებელი სწორედ სიმბას კითხულობდა. — ავტ.).

— რატომ გაუსვით ხაზი პროფესიონალიზმს?

— უფრო სწორად, არაპროფესიონალიზმს: გამოფენა თბილისში ეწყობა და ოფიციალურ კატალოგს ამშვენებს ბათიანი მინიატურული ძაღლის ფოტო. ნუ გაგეცინებათ და, ამ ძაღლს პროფესიონალი კინოლოგები ხუმრობით „კისლოვოდსკის ტურფას“ ვეძახით. მეტსაც გეტყვით: კატალოგის ბოლო გვერდზე 7 ჯიშის ძაღლს შორის არც ერთი ჩვენი ძაღლი არ არის!.. უცხოური ჯიშის ძაღლებს კი ისეთი ქვეყნები და საერთაშორისო საზოგადოებები ჰპატრონობენ, რომლებსაც ჩვენი დახმარება სულ არ სჭირდებათ.

— რატომ ხდება ასე?

— ანგარიშიშეუცვლად, ანუ უაზროდ. ამ კატალოგის შემდგენელს არად მიანია ქართული ნაგაზის ფენომენი, ანდა წარმოადგენა არა აქვს ისეთ ცნებაზე, რომელსაც რეკლამა ჰქვია და რაც დღეს ასე მნიშვნელოვანია. თუმცა, კატალოგში ერთი



**რით დაჯაბნა ქართული ნაგაზი «კისლოვოდსკის ტურფამ»?**

ჩვენებური ნაგაზიცაა. მაგრამ როცა ქვეყანას მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს სიმბას სახით, უბრალოდ წარმოუდგენელია მისი იგნორირება...

— ყოველთვის ასეთი უკომპრომისო ხართ?

— ყოველთვის! მით უმეტეს, სამამულო კინოლოგიამ ბევრი თავსატეხი გამიჩინა.

— ალბათ ყველაფერს გვეტყვით...

— ცოტას ჩემთვისაც დაველოცებ. მით უმეტეს, სწორედ თქვენს ჟურნალში იწერებოდა ამ ცოტა ხნის წინ...

— დიას, ინერებოდა, რომ ქართულ ნაგაზს ბევრი ქომაგი ჰყავს...

— ჩვეულებრივი მკითხველი მართლაც ასე იფიქრებს...

— როგორც ჩანს, თქვენ იმან გაგანაწყენათ, ინტერვიუერი სიმბას რომ არ აქებს...

— საქმე ის არის, რომ კავკასიური ნაგაზის კლუბ „ბომბორას“ პრეზიდენტის, გაა გიორგაძისთვის სიმბას უპრეცედენტო ჩემპიონობა არაფერს ნიშნავს!

— რატომ უპრეცედენტო? წელს ასლან აბაშიძის ბასმაჩიც ხომ გახდა მსოფლიო ჩემპიონი?

— ო, ბასმაჩის დიდ წარმატებას ვუსურვებ. მაგრამ ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონობამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. როგორც ვხედავ, არც თქვენ იცით, რომ ბასმაჩი წელს იენისში პორ-

მერაბ ჭკუასელი აზიურ ძუსთან — აღისასთან ერთად, რომელიც თბილისის ბოლო საერთაშორისო გამოფენის ჩემპიონი გახდა.

ტუგალიაში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე საუკეთესო მოზარდის წოდება მოიპოვა. ეს იმას ჰყავს, ჭადრაკში 12 წლამდე ასაკის მოთამაშეთა შორის პირველ ადგილზე გასული ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონად რომ გამოვაცხადოთ...

— ეს კი მართლაც არ ვიცოდი.

— და ასე არ იცის ბევრმა... ამას კიდევ შეიძლება ეშველოს. ღმერთმა ქნას, ბასმაჩი ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. მაგრამ მე იმაზე მწყდება გული, რომ ქართული ნაგაზის პატრონების ქვეყანაში ოფიციალურ კლუბს „კავკასიური ნაგაზის“ კლუბი ჰქვია. რუსებმა კი არ წავგართვეს ქართული ნაგაზი, არამედ სწორედ ჩვენივე უნიათობით, ჩვენივე ნებით დავეუბნეთ რუსებს ჩვენი სიმდიდრე (თუმცა კი, ბ-ნი მერაბ ჭკუასელი ყოველმხრივ ცდილობს, რომ ქართულ ნაგაზს თავისი პატრონი და სახელი დაუბრუნოს. — ავტ.).

— გაა გიორგაძე თავის ლეგას ანიჭებს უპირატესობას.

— კანდიდებებში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ წელს, მაისში თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენაზე, გიორგაძისავე მოწვეულმა ქალბატონმა გალინა კირიციკაიამ (რუსეთის კინოლოგიური ფედერაციის „კავკასიური ნაგაზის“ კლუბის პრეზიდენტი, საერთაშორისო ექსპერტი) თქვა — ხათრით ვუწერ ლეგას „ოჩ. ხორ.“-სო (очень хорошо — „ძალიან კარგი“), რომლის შემდეგაც კიდევ არის შეფასება ფრიადი და ჩემპიონი სამ ფრიადოსანს შორის ვლინდება.

— ხშირად ასხენებთ თბილისში მონყობილ გამოფენებს.

— საქართველო კინოლოგიური ფედერაცია მსოფლიო ფედერაციის წევრია და საერთაშორისო გამოფენებს, როგორც წესი, სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ასეთი გამოფენა ლეკემბრის დასაწყისში უნდა გაიმართოს.

— მართალია, კინოლოგიაში არცთუ ისე ბევრი რამ გამეგება, მაგრამ ვიცი, რომ მრავალი სახელოვანი მეცნიერი გვყოლია ამ დარგში.

— ასეა. ჯერ მარტო ცხონებული პაჭუ ჟორდანიას სახელი რად ღირს. დღეს კი კლუბ „ფაუნას“ დირექტორს, 85 წლის ფანატიკოს კინოლოგს, ბატონ პავლე მალაკელიძეს როგორ უნდა დავუკარგოთ ამაგი, ან ბატონ ირაკლი ელიაგას, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ან კიდევ გარდაბნის სახელმწიფო ნა-

კრძალის ღირეტიორს, ბატონ ტარიელ კაპანაძეს. ესენი ამტკიცებენ, ქართულ ნაგაზს ვერაფერი შეედრებაო, ზოგიერთები კი გაკვირიან – გინდა თუ არა, ქართული კი არა, საქართველოში კავკასიური ნაგაზი გვყავსო.

— ძალიან განანყენებულხართ...

— ეს მსუბუქად ნათქვამია. რამდენიმე ასეული ვეგეტარიანი შემოგვრჩენია ქართული ნაგაზის და მათ გადაჯიშებას ნამდვილად ვერ ვუყურებ მშვიდად. როგორ მოვიტმინო, როცა „ახალი მოღვაწეები“ წარამარა აჯვარებენ თავიანთ ძაღლებს, რასაც უნდათ, იმას უწერენ საგვარეულო ნუსხაში... და მერე, ვინც მათ ლეკვში ფული გადაუხადა და არცთუ ისე იშვიათად, ხელში ჩგვუღებრივი მაწანწალა ძაღლი შერჩა, წარმოიდგენთ ალბათ, როგორ მიეჭრება და რა კონტექსტში უხსენებს კეთილებს...

— ძაღლსაშენზე რას იტყვი?

— ადრე ყოფილა საქართველოში არაერთი ძაღლსაშენი – სიღნაღში, ბოლბეში, ახალქალაქში, ბოგდანოვკაში, ლილოშიც... ახლა კი აღარსადაა. თითო ათეული ძაღლი კი გვყავს აქა-იქ, მაგრამ ეს ამინდს ვერ შექმნის.

ფანჯრიდან ვიყურები. ქვემოთ სიმბა დაბრძანდება – დინჯი, გაწონასწორებული, ჩემპიონის ნაბიჯებით. ალბათ ძალიან ჰკავს იმ ნაგაზს, სულხან-საბას რომ მოჰყვებოდა იტალიიდან თუ კონსტანტინოპოლიდან, რომელიც მერე ახალციხის ფაშას წაურთმევია. სხვათა შორის, ბატონი მერაბი გამომიტყდა, „ვეფხისტყაოსანში“ ძაღლი სამჯერ არის ნახსენები, ორჯერ ნადირობისას, აი, მესამედ ნახსენები ძაღლის ამბავმა კი ძალიან დამაეჭვა, ვიდრე ვიქტორ ნოზაძის „ვარ-

სკლავთმეტყველება“ არ ჩამივარდა ხელშიო. „მესამე ძაღლი“ თურმე ძაღლის თანავარსკლავედისა ყოფილაო...

— რას შეადარებდით სიმბას?

— ლომსაც კი არ შევადარებდი. სიმბა ქართული ნაგაზია და ეს საკმარისია.

— თქვენ ჯიშის ძაღლები გყავთ. ალბათ, აჯვარებით კიდევ ლეკვებს თუ...

— (არ დამამთავრებინა) ლეკვი არასოდეს გამიყიდა, მხოლოდ გამიჩუქებია... და თუ გავყიდი, მხოლოდ მაშინ, როცა ძაღლსაშენი მექნება და არა 50 ლარად, როგორც ამას „ახალი მოღვაწეები“ აკეთებენ... ძაღლი ჩემთვის მარტო მეგობარი როდია. რამდენჯერ ცხოვრებისგან განწირულს (ბატონ მერაბს ვაჭიშვილი დაეღუპა ტრაგიკულად. – ავტ.) ძაღლი მომფერებია, ჩემი სატკივარი გაუყვია და ამით საშველი მოუცია...

— ისევ ძაღლსაშენს დაუბრუნდეთ.

— საბედნიეროდ, შეგქელი, მომემზადებინა „ქართული ნაგაზის აღდგენისა და გადარჩენის“ სახელმწიფო პროგრამა. წოდორეთში მინდა საერთაშორისო დონის ძაღლსაშენი მოვაწყო. იმედი მაქვს, სპონსორი გამოჩნდება და ქართულ ნაგაზს თავის ისტორიულ სამშობლოში „დავაბრუნებთ“. ალბათ თქვენც მოგეხსენებათ იმის შესახებ, რომ 50-იან წლებში საქართველოდან ემულონებით წაიყვანეს რუსებმა საჯიშე ნაგაზები...

— ახლა ლირიკული გადახვევა... სიმბას რჩეულიც ეყოლება.

— საგარეჯოში, უდაბნოში, ნამდვილი ქართული ტიპი მოვუძებნეთ. რუხია, სიმბასავით გრძელბეწვიანი (თავად სიმბა წითურია, ოქროსფერი გადაჰკრავს და გრძე-

პაგარა სიმბა (მარცხნივ) და „კისლოვოლსკის გურფა“ – საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის ოფიციალური კაგალოგის „სახე“...



მერაბ ჰკუასელი სიმბას ძმებთან. ნელსონა (მარცხნივ) ახლა გურიის პოლიციის მეფს იცავს, მეორე ლეკვი კი – თურქეთის ელჩს აჩუქა ქართველმა კინოლოგმა და იქ რა დაარქვეს, არ იცის...

ლი ბეწვი უბრწყინავს. – ავტ.). ამ დღეებში „პაემანზე“ უნდა წავიყვანოთ. საპატარძლოს ქალა ჰქვია.

ქალას შვილი – ბოლვერა შარშანდელ გამოფენაზე მეორე ადგილზე ვავიდა – როგორც ბატონი მერაბი ამბობს, ტენდენციურობის გამო. ბოლვერა სიმბას დედის – ბაჩის რჩეულია და ბაჩი თვენახევარში მისგან ლეკვებს ელოდება. ქალას ახლა სიმბასთან შეაჯვარებენ. მოკლედ, რომ იტყვიან, დაუთარი ამერია – ლათინურამერიკული კინოსერიალის გმირებით, ეს ნაგაზები სულ ერთმანეთში ირევიან...

— თუ ძაღლსაშენის პროექტი განხორციელდა, ხომ დიდი მოგება გექნებათ, რადგან საზღვარგარეთ ბოლო პერიოდში ბევრი გულშემატკივარი გასჩენია ქართულ ნაგაზს...

— ჰო, მირეკვენ გერმანიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ლეკვები უნდათ... დიდი მოგება არა, მაგრამ ძაღლსაშენი თავის თავს მშვენივრად შეინახავს, ხალხსაც დავასაქმებთ და, რაც მთავარია, ქართული ნაგაზი არ გადაშენდება. ისევე, როგორც დიდი კლასიკოსის ნაწარმოები არ უნდა დაიკარგოს, ქართული ნაგაზიც როგორმე უნდა შევინარჩუნოთ და გავამრავლოთ...



მურაღ გარნაძე

გალაკტიონი... პროფესიულმა ჩვევამ მძლია და ფიქრებში ეპითეტს დავუწყე ტენა.

არადა, პოეტის სიცოცხლეშივე ეს სახელი ახალი, ჩვენთვის უცხო და შორეული სამყაროს სინონიმად იქცა. ამიტომაც, შეუძლებლად მიმაჩნია შესატყვისი ეპითეტის პოვნა.

გალაკტიონი ჩვენნაირი არ იყო...

ვფიქრობ, კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა ყველაზე ზუსტად ჩამოაყალიბა პოეტისა და თანადროული საზოგადოების – სინამდვილის ტრაგიკული თანაარსებობა: „საოცარი ბედი ხვდა წილად ამ კაცს, მას ვეღარ ცნობდნენ თვით უახლოესი ადამიანებიც, რადგან იგი მიუწვდომელი იყო მათი ჩვეულებრივი მხედველობისათვის.

მხოლოდ სიკვდილმა დაუბრუნა მას თავისი სახე და ვიდრე მიწას მიაბარებდნენ, ადამიანებმა კვლავ იცნეს იგი“ („საუკუნის პოეტები“).

ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვლავთათვის პოეტს ერთი თბილი და სხეულში ჩამღრელი სიტყვა ჰქონდა შერჩეული – ძამიკო. ამ სიტყვით გვითამამებდა და ახლოს გვიშვებდა.

ჩვენც გვისწაროდა...

მოდით, პოეტის მძისწულთან – პროფესორ ნოდარ ტაბიძისთან ერთად, კიდევ ერთხელ გავისწავლოთ უცნაური ხილვების რაინდი.

— ბატონო ნოდარ, გალაკტიონი 110 წლის გახდა. დრომ მეტი ელვარება შემატა მის პოეზიას. ახალ თაობებსაც სხვა დამოკიდებულება გაუჩნდათ გალაკტიონის შემოქმედებისადმი...

— არიან პოეტები, რომელთა შემოქმედება მხოლოდ ისტორიულ ფაქტად რჩება. მათი ლექსები აწმყოში ნაკლებ ან თითქმის არ ხმიანობს. გალაკტიონი სულ სხვაა, იგი საუკუნეთა მარადიული სულით, მფეთქავი მარღვია მისი პოეზიით, გლობალურზე გლობალურით, ღრმა და ტევადი, სასვე „გაუმზერავი კოდებით“, მრავლისმთქმელი ქვეტექსტებით, პოლინიფორმაციული წინადადებებით. გალაკტიონს ძალუქს სიტყვათა იმგვარი მიმოსრა-შერწყმა, როცა ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ფრაზა რომანტიკულ იერსა და ცისარტყელას აფერადებს იძენს.

ახლა მუსიკას არ იკითხავ...

ზოგიერთი კლასიკოსის ლექსი ორი წაკითხვის შემდეგ შეცნობილ-ამოწუ-



# უცნაური სიღვაძის რაინდი

რულია. გალაკტიონთან კი... კითხულობ, კითხულობ და სრულად გათავისება მანც გიჭირს, ვიპყრობს ჟინი მოუხელთებელი „პლასტების“ მოხელთებისა. გაიხსენეთ „ლურჯა ცხენები“, „დომინო“, „სასაფლაონი“ და სხვ. ეს მხოლოდ სიმბოლისტური ხედვით როდი აიხსნება.

... თერგდალეულებთან მძლავრობს სულა იდეიდან განწყობა-ქმედებისაკენ. გალაკტიონთან კი პირუკუა – განწყობიდან იდეა-ქმედებისაკენ. ეს ძალზე რთული რამაა და ამ გზით მიზნის მიღწევა ყველას როდი ხელეწიფება.

თქვენ ბრძანებთ: „ახალ თაობებსაც სხვა დამოკიდებულება გაუჩნდათ გალაკტიონის შემოქმედებისადმი“.

გეთანხმებით. ახალი თაობა სამართლიანად ასხვავებს გენიალურ გალაკტიონს დიდი გალაკტიონისაგან. „ეფემერების“ ციკლისა და რევოლუციური საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისადმი დამოკიდებულება ერთგვარი როდია. გალაკტიონი მეორე შემთხვევაში დიდია, მაგრამ არა გენიალური.

ღირებულებათა გადაფასება ლოგიკურია.

და მანც: არსებითი სწორედ ისაა, რომ არა მხოლოდ თაობები, არამედ ცალკეუ-

ლი პიროვნებებიც კი ორიგინალურად კითხულობენ გენიოსებს. თქვენ თქვენი შექსპირი, თქვენი გალაკტიონი გვაფთ, მე – ჩემი. ნიველირება შეუძლებელია.

— გალაკტიონი გრძნობდა თავის სიდიადეს. საინტერესოა, რომელი ქართველი პოეტის შემოქმედება უფვარდა მას გამორჩეულად, — ვის ლექსებს აქებდა ხმამაღლა...

— აღმერთებდა აკაკის. არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი, მაგალითად, „აკაკის გარდაცვალების გამო“, „აკაკის ლანდი“. ვრცელი პოემაც მიუძღვნა („აკაკი წერეთელი“), რომელი ერთი გავისწერო... მართო ეს შეფასება რად ღირს: „ციური ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი პოეტი“ ანდა „აკაკი საქართველოს ბედის ნატენია“.

პირველ ხანებში ძლიერ ბაძავდა. მხედველობაში მაქვს არა იმდენად ზოგიერთი სიუჟეტური ლექსი და ცალკეული პოეტური სახეები, არამედ ცხოვრების წესი, მანერები. სხვათა შორის, კაბინეტში ყველაზე გამორჩეულ ადგილას გაკრული ჰქონდა ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახულნი იყვნენ აკაკი და გალაკტიონი გვერდიგვერდ. ეს მონტაჟი იყო, სპე-



ციალურად გააკეთებინა ფოტოგრაფს.

თავს უხრიდა ილიასა და ვაჟას.

თანამედროვეთაგან არავის წყალობდა. რამდენადაც დადებითად იყო განწყობილი კლასიკოსებისადმი, იმდენად ცინიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა საბჭოთა პოეტებისადმი. ეს არსებითად, თორემ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ერთი-ორი თბილი სიტყვაც წამოსცდნოდა. სხვათა შორის, სიმონ ჩიქოვანის ერთი ლექსის ტაეპი გაუხანავს და მიუწერია: კარგია! (სიმონ ჩიქოვანი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი).

მოდით, ამგვარ პოზიციას ჰაიპრად ნუ განვიხილავთ.

დროა, კვლევის ახალ და მაღალ საფეხურზე გადავიდეთ; რა მაქვს მხედველობაში? უპირველეს ყოვლისა, მგოსნის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, ხასიათის ანალიზი, „ახირებათა“ გაშიფვრა, ამ მხრივ თითქმის არაფერია გაკეთებული.

— პროზისათვის გალაკტიონს თითქმის არასოდეს მიუმართავს. ალბათ, მიაჩნდა, რომ ლექსით უფრო ადვილი იყო სათქმელის გამოხატვა, — პროზა ხომ მაინც „პროზაულია“...

— გალაკტიონს აქვს ძალზე საინტერესო პროზაული ნაწარმოებები, მინიატურები. ზოგიერთი მათგანი გამოვაქვეყნე კიდევ და მაინც, როგორც თავად ამბობს:

**„ჩაბეც აზრი ჰქონიათ, მხოლოდ ლექსი ყოფილა უამისოდ ყოველი უხუტგულო მგონია.“**



ლექსით ნამდვილად უადვილდება ჩანაფიქრის გამოხატვა. ეს, ალბათ, მისი ლირიკული ბუნებითაც აიხსნება.

გავისხენებ საგულისხმო ფაქტს. ერთ-ერთ პრესტიჟულ შეკრებაზე ცნობილმა კრიტიკოსმა (გვარის ფიქსირება საჭირო არ არის) ეროვნული ლიტერატურის დახასიათება პროზით დაიწყო და ხაზგასმით აღნიშნა — ქართულ მწერლობაში ბელეტრისტიკა წარმმართველობსო.

ამან უკიდურესად გააღიზიანა გალაკტიონი. „მეტყველი“ ებითებებით შეამკო მომხსენებელი. მაგრამ ეს როდია მთავარი. არსებითი ისაა, რომ კრიტიკოსს გემოვნება დაუწუნა და უვიცობა დასწამა. მერე მთელი ლექცია წამიკითხა რუსთაველზე, თეიმურაზზე, გურამიშვილზე, ბესიკზე... წამით შეჩერდა... გამჭოლი მზერა და... — როგორ ფიქრობ, „ვისრამიანი“ პროზაა? — რა თქმა უნდა, მან ძალიან კარგად იცოდა, თუ რომელ გვარს განეკუთვნებოდა „ვისრამიანი“. ამ შემთხვევაში მას სურდა, კიდევ ერთი დამატებითი საბუთი წარმოეჩინა, რომ ჩვენი პროზაც კი პოეზიით იყო გაჯერებული; რომ ქართველი კაცი თავისი ბუნებით პოეტია და არა პროზაიკოსი, რომ მოვლენების აღქმა-შეფასებისას ლირიკულ-ემოციური მუხტი მძლავრობდა.

— „თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ“, — აკაკის სიტყვები გაიმეორა გალაკტიონმა. თქვენ, როგორც პოეტის ეკერმანი, შეძლებთ გალაკტიონის სულის ზოგიერთი უხილავი მხარის ჩვენთვის წარმოჩენას?..

— ახლა ეს უთუოდ გამიჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ჩავღრმავებე ვარ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ოთხი წიგნიც მივუძღვენი და ისევ ვაგრძელებ კვლევას, მაგრამ ბევრი რამ, ჯერ კიდევ გაუხსნელი მრჩება. გენიოსი ადვილშესაცნობი როდია.

— შეგიძლიათ ჩვენი სინამდვილე გალაკტიონის თვალთ დაგვანახვოთ?

— უპირანი იქნება, ამ კითხვაზე გალაკტიონისავე ლექსით გიპასუხოთ:

**„ჩაა მასზე გუტდამხვევცა, მეცხხო და ღატმის ველთ, მიღიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო, არის ხლართი რუხინგბენის, არის ავცო-მოცო-ველო, არის ოჯახენი, მავრამ ეს არ არის საქართველო“.**



ცოცხალი გონების ნიშანი ისაა, რომ საკმარისია ცოტა ნახოს, ცოტა მოისმინოს, რათა შემდეგ დიდხანს იფიქროს, ბევრი გაიგოს და შექმნას.

**ჯორდანო ბრუნო**

ვის ჩათვლი ნამდვილ მეგობრად? ვინც დაგიდგება მხარდამხარ

და უმეგობრებს შენს სახელს იქაც, შენ სადაც არა ხარ!

**ფრიდრიხ ლოგაუ**

ბაქიობს სუსტი, დიდ საქმეთა მოქმელს შეუძლია ენას კბილი დააჭიროს. **მარკუს ტულიუს ციცერონი**

გონებას ძალას ანიჭებს ვარჯიში და არა სიმშვიდე.

**ალექსანდრ პოპი**

ადამიანები, რომელთაც მეტად ბევრი ხინჯი აქვთ, უწინარეს ყოვლისა მათ სხვებში ამჩნევენ.

**ფრენსის ბეკონი**

რომ მოვისმენ ბოროტ სიტყვას, აღარ ვიწყებ გამოკითხვას, იქვე ვაძლევი დავიწყებას, ვერიდები გაფიცვებას, სიკეთის ხმა გიჯობს რისხვას და დუმილი — ბრიყვთა კიცხვას. **ფრედერიკე კემპნარი**


ურწმუნო და უგუნური თავს აენებს და სხვას კი — ვერა. **ივან კრილოვი**

შიშის მონობა — ყველაზე უარესი მონობაა.

**ჯორჯ ბერნარდ შოუ**

# პური

კაცობრიობისთვის პური შეუცვლელი საკვებია. მასთან ერთად საჭმელი – ხორცი, ქათამი, თევზი თითქოს სხვა გემოს იძენს. ასეთია გასტრონომიული ტრადიცია. ტრადიციის წინააღმდეგ გალაშქრება ჯი შეუძლებელია, მით უმეტეს, როცა ეს ტრადიცია ათას წელზე მეტს ითვლის.




პურის ცხოვის პიონერებად ეგვიპტელები ითვლებიან. მათ ეს საქმიანობა ჩვ.წ.აღ-მდე V-IV საუკუნეებში დაიწყო. თავიდან ისინი პურს მხოლოდ წყლით და ფქვილით აცხობდნენ, ამიტომ იმდროინდელი პური გამორჩეულ გემოს ვერ დაიკვებინდა, მაგრამ ფინიკების ჭამას დაჩვეულ ეგვიპტელებს ესეც აკმაყოფილებდათ.

ერთხელ კი, რომელიღაც მცხოვრებელმა ახალ ცომს წინა დღის ამჟავებული ცომი შეურია. იმ დროისთვის ეს დიდი რისკი იყო, რადგან უხარისხო პროდუქციისთვის პურის მცხოვრებელს სასტიკი სასჯელი ელოდა: დამნაშავეს ცხვირის ნესტოებს უხვრეტდნენ, ზედ უხარისხოდ გა-

მომცხვარ პურის ლავაშებს კიდებდნენ და ქუჩაში დაატარებდნენ. ამასთანავე, ყველა შემხვედრს შეეძლო მისი მუკლუგუნებით გამასპინძლება და ამგვარად თავისი, როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი კარგად დასრულდა – პური შესანიშნავი გამოვიდა. ასე უბრალოდ იქნა გამოგონებული საფურციათი ცომი.



შემდგომში ცომს უფრო შემოქმედებითად უდგებოდნენ: უმატებდნენ რძეს, კარაქს, კვერცხს, თაფლს, ნიგოზს და ქაფურსაც კი. ბერძნებს და რომაელებს ასეთი პური ძალიან მოსწონდათ. ძვირფასი კადრების დასაცავად რომაელებმა მეფუნთუშეთა პროფკავშირის მსგავსი ორგანიზაციაც კი შექმნეს. მართლაც და ხუმრობა ხომ არ იყო, რომ მონა-მცხოვრებელს ძველ რომში ათობით გლადატორის ფასი ედო.

ჩვენს დროში ყველაზე პოპულარულად ჩვეულებრივი თეთრი ან შავი პური ითვლება, თუმცა გასტრონომიული მიდრეკილებები იხვეწება და ხალხი სიამოვნებით მიირთმევს ფრანგულ ფუნთუშებს, ჭვავის პურს, სომხურ ლავაშსა და ინდურ პარატასაც კი. ამავედროულად, საკმაოდ დიდია იმ ადამიანთა არმია, რომელიც საკუთარი ფორმების სრულყოფისთვის იბრძვის და საერთოდ უარს აცხადებს პურის ჭამაზე. თურმე, სრულიად ტყუილად აღმოჩნდა, რომ პური არც ისე კალორიულია – 100 გრამი თეთრი პური 260 კალორიას შეიცავს, იგივე რაოდენობის ჭვავის პური კი – 237 კალორიას. დაახლოებით, ასეთივე შემადგენლობისაა ორი ვაშლი. თანაც პური სხვა პროდუქტებთან შედარებით გაცილებით დიდი რაოდენობით შეიცავს იმ ნივთიერებებს, რომელიც გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს. და კიდევ, პური ჩვენთვის B, PP და E ვიტამინების მიღების ძირითადი წყაროა. სწორედ ეს ვიტამინები განაპირობებს ლამაზ, ახალგაზრდულ კანს და ხშირ, მბრწყინავ თმას. ასე რომ, მიირთვიოთ პური –



ქიმიური რეაქციის დამაჩქარებელი	... გე-ვარა	უნგრელი კომპოზიტორი	... მასკარადი	მორზე ერთი ნიშანი	„მილის წინ“ პერსონაჟი	სუსტი ქარი	კი...
კ ა მ ა დ ი ნ ე	ქ მ ო ხ ი ნ დ ს ი ს ე ი ნ ა ნ დ ი ს ი	ნ ე გ ი ო ს ი	ს ვ ი ს	მ ი ნ ი	ს ვ ი ს	მ ი ნ ი	ს ვ ი ს
შინაური ცხოველი	ჯოკონდა, მონა ...	მინის მიღში, სიბის თავე არის ... სიტარიელე	ეინ მოკლა რომეომ ღუქში	გერბორიული ერთეული	აბუ ალი		

# ნი რობისა



უფრო ლამაზი და გონიერი გახდებოთ.

მაგრამ პურის ჭამასაც გარკვეული ცოდნა სჭირდება. სასურველია, დღის პირველ ნახევარში, თქვენი საყვარელი სახეობის და ოდნავ გამომშრალი პური მიირთვათ. მათ ვისაც წონის პრობლემა აწუხებს, ყველაზე მეტად ჭვავის და მსხვილად დაფქული ხორბლისგან დამზადებული პური მოუხდებათ.

თუ წყლულოვანი დაავადებებისკენ გაქვთ მიდრეკილება – ზქვენთვის ყველაზე მარგებელი თეთრი ფერის ორცხობილა ან ტრადიციული ქართული ლავაშია.

ამჟამად გაყიდვაშია, როგორც ცელოფანში შეფუთული, ასევე შეუფუთავი პურიც. შეფუთული გაცილებით გვიან ძველდება – დაახ-

ლოებით 72 საათში – მაშინ, როცა ჩვეულებრივი პური 24 საათში ასწრებს დაძველებს. შეფუთული პურის კანი შებრაწული და კრაწუნა აღარ არის, სწორედ ასეთი კანი შეიცავს ბევრ B ვიტამინს. დიეტოლოგები კი მაინც „შიშველი“ პურის შეძენას და მის ხის საპურეში ან საყინულეში შენახვას გვირჩევენ, მაგრამ თუ პური დაძველდება, მისგან ადვილად შეიძლება მრავალი გემრიელი რამის მომზადება. ერთერთ სახელდახელო რეცეპტს აქვე შემოგთავაზებთ:

### საფირმო თაფლაკვერი

აღნიშნული რეცეპტი უნგრელი კონდიტრების მიერ არის შემოთავაზებული და იმით გამოირჩევა, რომ ამ რეცეპტით მომზადებული თაფ-

ლაკვერი მთელი კვირა ინახება და სწორედ მეშვიდე დღეს იძენს განსაკუთრებულ გემოსა და არომატს. მისი მომზადებაც ძალიან ადვილია: 4 კვერცხის გული ათქვიფეთ 1 ჭიქა შაქართან ერთად, დაამატეთ 40 გ შერბილებული კარაქი, 250 გ დაფქული ჭვავის პურის ორცხობილა, 100 გ დაჭრილი ნივრის და 100 გ ქიშმიში. ცალკე ათქვიფეთ 4 კვერცხის ცილა და ფრთხილად შეურიეთ მომზადებულ ცომს. ფორმას წაუსვით ცხიმო, მოაყარეთ ფქვილი და ცომი გამოაცხვეთ. მიღებულ ბისკვიტს ამოაჭერით გული, ჩაასხით შიგნით თაფლი და ზემოდან ისევ დააფარეთ ბისკვიტის ზედა ფენა. თაფლაკვერს მოაყარეთ შაქრის პულერი.

ხინჯი, შადე	მისს წაწვე- გაბული მწვერვალი	თოვლზე გადაადგილების საშუალება	მ/ფ „... უბნის მელოდიები“	... ქუგაძევა	საქართველოს მეფე ქალი	მწერალი ... იოსებლანი	მშის დმე- რთი
ნა	მუსიკალური ვიდეოკოლაჟი	... ბესნ- ჯერი	პანამინ ...	საქონლის შიგნეუ- ლის ძეხვი	დაჭრილი კვერცხი და კომიდორი	თბილისობაზე გახსნილი სასტუმრო „თბილისი-...“	თუთი- ყეში

სალომე მომიტაშვილი

- თუშური წმინდა გიორგის ხატი ქვის მშრალად ნაგები ნიშია...
- ხატობა ღამეს დელაკაცებისა და მამაკაცების სადგომი ცალ-ცალკე იყო. ვერავინ გაბედავდა დელაკაცების „ჯარში“ ღამით გადასვლას.
- ლაშარის კარზე არაფერი დაიკარგებოდა.
- „მაქალი“ (ხატობის ჭურჭლის მრეცხავი) ხატობის დღეებში თავის ცოლთანაც რომ წაესწროთ, იქვე ფეხით ჩამოჰკიდებდნენ და ოჯახს მისი დახსნა კაიძალი „ქვაბ-საკლავი“ უჯდებოდა...

წმინდა გიორგის სახელს იმდენი ხატი და ეკლესია უკავშირდება საქართველოში, თითები კი არა, წელიწადის დღეებიც არ გვეყოფა დასათვლელად. ისიც ნიშანდობლივია ალბათ, რომ ქართველები ყველაზე მეტად ნოემბრის გიორგობას დღესასწაულობენ – წმინდა გიორგის ბორბალზე წამების დღეს, როცა მოწამეს უფალი კვლავ აღადგენს და სიკეთისკენ მიმართულ სასწაულმოქმედ ძალას გაუთავებებს.

მოდით, თუშეთს ვეწვიოთ და ის ხატები გამოვყოთ, წმინდა გიორგის სახელობისა რომ ჰქვიათ, რომლის მადლითაც დეკანოზები მრევლს ამწყალობებენ და დალოცავენ თუნდაც აი, ამგვარი სიტყვებით: „გაუმარჯვე წმინდა გიორგის ლაშარისას, დიდად სადიდებელსა! წმინდა გიორგი, შენ შეგვეწიე... შორს მყოფი ახლოს დაუხვდიდი, დაიცავი, დაიფარე ზევისაგან, წყლიდან, სენიდან, სასჯლიდან, მწარე სიკვდილსა თავ თქვენ შეუქციდი-თა... ზამთარ მშვიდობითა წაგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა...“

და ასე აგრძელებდნენ ლოცვას ლაშარის გიორგის ყმებში...

მაგრამ თუშური წმინდა გიორგის ხატი თეთრ ცხენზე ამხედრებული, ურჩხულს შებმული რაინდი როდია, იგი ქვის მშრალად ნაგები ნიშია...

მართალია, წარმართული თუშეთი გაქრისტიანდა, მაგრამ ეკლესიები აქ მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩნდება, რითაც რუსები თავიანთ ბატონობას „განამტკიცებდნენ“... ერთი კია, ამ ეკლესიებთან რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ნაკლები რამ ჰქონდა საერთო.

აი, წმინდა გიორგი კი ისე „ჩაჯდა“ ძველთაძველ სალოცავებში, ძნელია გარჩიო, ეს ხატ-დღეობები ქართველთა მხსნელ თეთრ რაინდს უკავშირდება, თუ უბრალოდ, უშორესი წარსულიდან გადმოყოლილ წარმართულ კერპს...

# თუშეთში სამი მთავარი ხატ- სალოცავიდან სამივე წმინდა ბიორგისაა...



ლაშარის წმინდა გიორგის ნიშნ მობჰყვება ფარსმის, დიკლოს, ხითანის, სამების (წოვათა)... წმინდა გიორგის სალოცავები. არაერთი სალოცავია წმინდა მარიამისა და მაცხოვრის სახელობისა.

განსაკუთრებული პატივი წმინდა გიორგის მიეგება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თუშეთში სამი მთავარი ხატიდან სამივე წმინდა გიორგის სახელობისაა – ლაშარა, ხითანა და სამება.

ახლა კი იმ რიტუალის შესახებ, რომელიც ხატობის სახალხო დღესასწაულს უკავშირდება და საინტერესოდ აქვს მიმოხილული პროფესორ სერგი მაკალათიას.

... ხატს თავისი მსახური ჰყოლია – თუშები მას „ხელოსანს“ უწოდებდნენ

(იგივე დეკანოზი). სადეკანოზოდ გასამწესებელი, მთელი წელი ემზადებოდა, დიდ ხატობაში ხალხს რომ უარი არ ეთქვა მის არჩევანზე და მერე მთელი სიცოცხლე ხატის სამსახურში გაელია.

ხელოსანი დელაკაცს არ უნდა გაჰკარებოდა, არც ღორისა და ქათმის ხორცი ეჭამა, არც კვერცხი. ასეთი რწმენაც ყოფილა ხალხში – დეკანოზში სულიწმიდა დასადგურებული. თითქოს ამის დასტურად, ხატობას უბეში დამალულ მტრედებს ამოაფრენდა თურმე ხალხის რჩეული.

დეკანოზის თანამემწეს შულტა რქმეკია, ხატის ჭირნახულიდან ლუდის მოდუღება, საკლავის დაკვლა და მლოცველთა გამასპინძლება რომ ეკალე-ბოდა.

სოფელს თავისი ნათეც ჰყავდა – ცოლიანი კაცი, ხატის მამულს რომ უვლიდა. ნათე გიორგობას ძროხას დაკლავდა და დაამარილებდა, საახალწლოდ მოხარმაჰვდა, ლუდსაც გამოხდიდა, ხატის მამულში მოწეულ პროდუქტს სულ მისხალ-მისხალ გამოიტანდა... რაც დარჩებოდა (ქერი, ხორბალი, ფქვილი...) მოღვნის შემდეგ, ძველი ნათე ახალს გადააბარებდა.


ასლარჩეული ნათე ნათიების წელს (ნათეს თითო წლით ირჩევენ) ცოლს არ უნდა გაჰკარებოდა, თორემ ვაჟი თუ გაუჩნდებოდა, ვერ შეირჩენსო, ამბობდნენ. თუ მაინც „წასცდებოდა ხელი“ ნათეს ცოლისკენ, „ცოლვილი“ ლუდს მოადუღებდა, ხატს შეევედრებოდა, ეს ვაჟი გაგვიზარდო...

ასე რომ, ნათეს ასეთი არჩევანი ჰქონდა: ან ლუდის მოდუღება არ უნდა დაზარებოდა, ან დელაკაცის სარეცელს არ გაჰკარებოდა...

ნათეს დამხმარეც ჰყოლია – მაქალით, მასაც გვარი ირჩევდა თურმე. მაქალთის „მარხულობა“ ხატობის სამზადისისას უწევდა მხოლოდ. ეს ერთი კვირა გრძელდებოდა, მაგრამ ვაი მისი ბრალი, თუ ქალთან წაასწრებდნენ. დაიჭერდნენ, იქვე ფეხით ჩამოჰკიდებდნენ და მერე მის ოჯახს კაიძალი „ქვაბ-საკლავი“ უჯდებოდა მისი გამოხსნა...

ერთი სიტყვით, ჩვენთვის დათმობილ ერთ გვერდში ვერ დავტყუთ თუშების ხატობის დღესასწაული. მომავალ ნომერში სწორედ ამ ხატობა-დღეობების შესახებ მოგიხსნობთ უფრო სრულად.

**სურათში:** რადგან ჟურნალის ეს ნომერი გიორგობის დღესასწაულს ეთხვევა, ჩვენც თუშურ ხატ-ნიშნს ტრადიციული წმინდა გიორგის ხატი ვამჯობინეთ – XI საუკუნის ჭელური ნაკეთობა. ■



**ელენე სალარიძე**

23 წლიან ოდისეაში საფრანგეთს „შეფარებული“ საქართველოს საგანძურის „მთავარი მცველი“ თამარის ჯვარი ყოფილა. მისმა ძალამ დაიფარა საგანძურიც და სრულიად საქართველოცო, — განუცხადებია თავად ექვთიმე თაყაიშვილს...

ბედის უკუღმართობას მრავალგზის გადარჩენილი ვასაოცარი სინატიფის გულსაკიდი ჯვარი, დღესაც თვალს სტაცებს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მისულ მნახველს. არაერთმა უცხოელმა იგი „სადიდოფლო ჯვარად“ მონათლა მანამ, სანამ მისი პირვანდელი მფლობელის ვინაობას შეიტყობდა...

...  
ვესაუბრებით მუზეუმის დირექტორის მოადგილეს ბატონ **ზინა მარსაგიშვილს**.

— თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი ბავჯაღლო ოქროსია. ოთხ მოზრდილ, ნახევრად ოვალურ ფირუზის თლილ ქვას შუაში მრგვალი ლალი უზის. ზურმუხტებს ასევე ოთხი ლალის ქვა აბოლოებს. ოთხი დიდი ზომის მარგალიტი ჯვრის მკლავებს შორისაა დამაგრებული, ხოლო ორი მათზე ოდნავ დიდი მარგალიტი სახსრის გვერდებზეა მოთავსებული, რაც აერთებდა ჯვარს აფურულ მძივთან (თუმცა ამ მძივს ჩვენამდე არ მოუღწევია). ჯვრის ზურგზე მოთავსებული სეკადით შესრულებული ასომთავრული წარწერით კი მოხსენიებულია მეფეთ მეფე თამარი. მაგრამ არაფერია დაწერილი ოსტატზე, ვისაც ჯვარი შეუქმნია...

— **ეს ქართველ ოსტატთა რომანტიკულ? ბუნებასაც ხომ**

# თამარის ჯვარი საგანძურს მუხამუღი უოფოდა...

**არ მივანეროთ? ხელოვანმა თავი ღირსად არ ჩათვალა, საკუთარი გვარი ამოეტვიფრა თამარისადმი მიძღვნილ ჯვარზე...**

— გასათვალისწინებელი მოსაზრებაა... თუმცა, კარგი იქნებოდა, ოსტატს მოკრძალების გრძნობა დაეძლია: მაშინ კიდევ ერთი დიდებული ოქრომჭედლის სახელი გვეცოდინებოდა. მაგრამ ის კი არის დადასტურებული, რომ ჯვარი ქართველი ხელოვნის დამზადებულია.

— **როდის ატარებდა ამ ჯვარს მეფე-ქალი?**

— თითქმის ყოველთვის. და რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს, განუშორებლივ. თამარის ჯვარი იცავდა მეფესაც და საქართველოსაც...

— **დაბრუნებულ საგანძურში თამარის ჯვრის გარდა, კიდევ არაერთი ჯვარია...**

— ორი მათგანი მართლაც გამორჩეულია. ეს მღვდელმთავრების გულსაკიდი-საკეცი ჯვრებია. ერთი VIII-IX საუკუნეს განეკუთვნება, მეორე — X-ს. ორივე, ხელოვნების შედევრს წარმოადგენს. ტიხრული მინაქრით დამშვენებული ოქროს ნაკეთობანი წმინდანების დახვეწილი გამოსახულებებით, ამავე დროს ძვირფასი თვლებითაა შეძკული. სამწუხაროდ, არც ამ ორი ოქროს ჯვარი-საკეცის ავტორთა ვინაობა დასტურდება. თავს ამ შემთხვევაშიც იმით ვიმშვიდებთ, რომ ეს ნამღვილად ქართული ნაკეთობებია.

— **ერთი დეტალიც: როგორც ვიცი, თამარის ჯვარი ოქროს „ჯვრის სანაწილეში“ ინახებოდა...**

— დიახ, ასე იყო. და ეს ოქროს სანაწილე, თავის მხრივ, ხელოვნების ორიგინალური ნიმუშია. სანაწილე ორკარედია, ოქროსი (14X11 სმ), წმინდანების გამოსახულებით. კარედის შიგნით ერთ მხარეს თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის შესანახი ბუდეა მოთავსებული. ქართული წარწერის მიხედვით, კარედი თამარ მეფის შეკვეთით დაუმზადებიათ. XIII საუკუნეში იგი შერგილ დადიანს განუახლებია...

— **სად ინახებოდა ეს სასწაული „კიდობანი“?**

— თავდაპირველად, ხობის მონასტერში, მერე როგორც ვიცით, პარიზში „გაიხიზნა“, ახლა ჩვენთანაა, ხელოვნების მუზეუმში...

...  
ამოდ ვეძებე ვარძიისა და ბეთანიის ფრესკებზე თამარ მეფის „ნაცნობი“ ჯვარი. ეტყობა, ოსტატებს, უბრალოდ, დაავიწყდათ მისი დახატვა. ან იქნებ, გულსაკიდი ჯვრის ფუნქცია მდიდრულ მოსახლამზე ამოტვიფრულ ჯვრებს დააკისრეს...

- ფოტომბზმ (მარცხნიდან):
- თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი
  - თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის მურგი წარწერით
  - მეფე თამარი (ვარძიის ფრესკა) ■

# «პელადას» მოყვარული უიღბლო «დადაღო»



### დოსია:

**სრული სახელი:** რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმა  
**დაბადების თარიღი:** 1976 წლის 22 სექტემბერი  
**დაბადების ადგილი:** რიო-დე-ჟანეირო  
**სიმაღლე:** 183 სმ  
**წონა:** 75 კგ  
**გუნდები:** „სოსილ-რამოსი“ (1990-91), „სან-კრისტოვალ“ (1992), „კრუზეირო“ (1993), „ეინდჰოვენ“ (1994), „ბარსელონა“ (1996-97), „ინტერი“ (1997 წლიდან), ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს 1994 წლიდან.



2000 წლის 12 აპრილს, როდესაც რომის ოლიმპიურ სტადიონზე იტალიის თასის ფინალური მატჩის მეორე ტაიმში, „ინტერის“ შავ-ცისფერი მაისურით კვლავ გამოჩნდა მინდორზე რონალდო, მისი თავყვანისმცემლები აღტაცებას ვერ მალავდნენ... მაშინ მილანელები „ლაციოსთან“ ძალზედ საპასუხისმგებლო მატჩს ატარებდნენ, ხოლო ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დიდ ფეხბურთს უბრუნდებოდა „კიჭა“ (როგორც მას ჟურნალისტები და ფეხბურთის გულშემატკივრები უწოდებენ), რომლის თამაშსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივრისთვის უდიდესი სიამოვნება ისევ უნდა მიენიჭებინა... თუმცა მათი სხარული ნაადრევი აღმოჩნდა: რონალდოს მინდორზე გამოსვლიდან ექვსი წუთიც არ იყო გასული, რომ მან მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო. იმწამს, სტადიონზე მყოფ ათიათასობით და ტელეეკრანებთან მსხდომ მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივარს ბრაზილიელისადმი თანაგრძნობისა და სინანულის გამომხატველი გმინვა აღმოხდა, მათ შორის ბევრს კი, ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ეს უკვე რონალდოს საფეხბურთო კარიერის დასასრული იყო.

### „პელადა“ ვინრო, მტვრიან ქუჩებში

ბენტო რიბეირო – რიო-დე-ჟანეიროს ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონი – ქალაქის ცენტრიდან ერთი საათის სავალზეა. ეს ის ადგილია, სადაც 25 წლის წინ რონალდომ ფეხი აიდგა. უბანი, სადაც ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი ცხოვრობდა, სვესა ძველი, მზისგან გახუნებული, უფანჯრო სახლებით. მათ შორის ვიწრო, ოღორჩოდრო ქუჩებში, მტვერში ამოვანგლული ბიჭუნები თავდაუზოგავად დასდევენ ბურთს. სხვათა შორის, იქვე დაიბადა და ფეხბურთის თამაში დაიწყო კიდევ ერთმა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა – ზიკომ. ბრაზილიის დედაქალაქის იმ უბანში მოხვედრილი ადამიანი ხშირად შეხვდება ყვითელ ტაქსებში მსხდომ უცხოელ ჟურნალისტებს, რომლებიც დიდი ინტერესით კითხულობენ: „ნუთუ აქ ცხოვრობდა და იზრდებოდა რონალდო?“ ადგილობრივი მცხოვრებლები კი პასუხობენ: „ამდენ კითხვას ნუ გვისვამთ: ხალხს ეგონება, რომ პოლიციიდან ხართ“. იქვე ერთი ახალგაზრდა იღიმება, რომლის სახელია კარლოს პერიოტო. იგი სიამაყით აცხადებს: „მე რონალდოს მეგობარი ვარ, ჩვენ ერთად გვიოთამაშია „პელადა“ (ქუჩის ფეხბურთი). ჩვენთვის ყველა ცარიელი ადგილი საფეხბურთო მოედანი იყო“.

რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმა რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში დილის 8 საათსა და 30 წუთზე დაიბადა. დედამისი სონია, რომელსაც

ცისფერი თვალები და ნაზი ღიმილი აქვს, პატარა პიცერიის დამლაგებლად მუშაობდა და ენერჯის არ იმურებდა, რომ თავისი ღარიბი ოჯახისთვის რაიმე შეემატებინა. რონალდოს მამა, ნელინიო სატელეფონო კომპანიის თანამშრომელი იყო, თუმცა ლოთობდა, რის გამოც ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება მეუღლესთან. მათი სახლი, რომელიც სიღარიბის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდა, პატარ-პატარა ჭუჭყიანი ოთახების, ვიწრო სამზარეულოსა და ალაგ-ალაგ ჩამონგრეული კედლები-საგან შედგებოდა. რონალდოს მშობლებს დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ მათ პატარა ვაჟიშვილს კარგი განათლება მიეღო, თუმცა ტყავის ბურთის მომავალი ვარსკვლავი სწავლის მიმართ საკმაოდ გულგრილად იყო განწყობილი და მთელი დღე ქუჩაში ყოფნა ერჩივნა. მისი სახლის გარშემო მანგოს ხეები იზრდებოდა, რომელზეც რონალდოს ძალიან ჰყვარებია ცოცვა.

როდესაც რონი 4 წლის იყო, მამამისმა „საბედისწერო შეცდომა“ დაუშვა და ვაჟიშვილს პლასტმასის ბურთი უყიდა. იმ დღიდან რონალდო სახლში თითქმის აღარ შედიოდა. დღე დღეს მისდევდა, რონალდოს კი უფრო და უფრო იტაცებდა ფეხბურთი, ხოლო იმ დღეს, როცა მამამ თავისი რვა წლის ბიჭი „მარაკანას“ სტადიონზე წაიყვანა, მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი გახდა: რონის ფეხბურთის გარდა, სხვა არაფრის გაგონება აღარ სურდა. მას წიგნს ვერ დააჭერინებდი ხელში, სკოლიდანაც ხშირად

იპარებოდა, რის გამოც ყოველთვის კონფლიქტი ჰქონდა დედასთან. „სულაც არ მსურდა, რომ რონალდოს ფეხბურთი ეთამაშა. ხშირად შევსწრებივარ იმას, რომ ჩემი შვილი, სკოლაში წასვლის ნაცვლად, ფეხბურთს თამაშობდა. იმ დროს ვფიქრობდი – რა მომავალი უნდა ჰქონდეს-მეთქი? ვიცი, რომ მასთან ბრძოლა წავაგე, მაგრამ ამჟამად თავს ბენდინერად ვთვლი და ვერ ვიჯერებ იმას, რაც ჩემი ბიჭის ირგვლივ ხდება. ეს ყველაფერი კი ძალიან სწრაფად მოხდა“, – იხსენებდა შემდგომში სონია, რომლის სახლის კედლებზეც ოკეანის გაღმა მოთამაშე ვაჟიშვილის პლაკატებია გაკრული, რომელიც ოდნავ მაინც უამებს შვილის მონატრებით მოგვირდ სევდას.

ჯერ კიდევ პატარა იყო რონალდო, როდესაც საკუთარი ოთახის კარზე „ბარსელონას“ ცხრანომრიანი მაისური ჩამოკიდა, მისი საყვარელი ფეხბურთელი კი, ბავშვობიდან ზიკო გახლდათ. ცხადია, მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ რონალდო „ბარსელონაშიც“ ითამაშებდა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებშიც, ხოლო მისი ცხრანომრიანი მაისური მილიონობით პატარა ბიჭისთვის საოცნებო გახდებოდა. „მას ბურთთან ერთად ეძინა“, – იხსენებს რონალდოს მამა, ნელინიო. დედამისი სონია კი, ჰყვება, რომ მისი პატარა ბიჭი სიზმარშიც ფეხბურთს თამაშობდა და მძინარეს ხშირად ამგვარად აბოლებდა: „მოვატყუე, პასი და გოლი!!!!“ მშობლები იმასაც იხსენებენ, რომ მაშინ რონი საკუთარი გვარის დაწერისას რამდენიმე შეცდომას

უშვებდა, სამაგიეროდ, ქუჩის საფეხბურთო შეხვედრებში თავისზე უფროს ბიჭებს პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებდა. ნელინიოს ისღა დარჩენოდა, რომ ვაჟიშვილის მისწრაფებისთვის ხელი არ შეეშალა და საფეხბურთო სექციაში მიიყვანა. „რონალდო მუდამ უფულოდ იყო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტიაც ყოველთვის უბილეთოდ მგზავრობდა; ისევე სხარტად უსხლტებოდა ხოლმე კონტროლიორს, როგორც მცველებს ფეხბურთის მოედანზე“, – იხსენებენ ვარსკვლავის ახლობლები.

**შეხედეთ, მეორე პელები მოდის!**

ვაჟიშვილისთვის ხელი რომ შეეწყო, ნელინიო ხშირად დაჰყვებოდა მას ვარჯიშებზე და სამსახურს აცდენდა, რის გამოც დაითხოვეს და უმუშევარი დარჩა. მაშინ რონალდო 13 წლის იყო და „სოსიალ რამოსში“ თამაშობდა. „მე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდები. ვიქნები მდიდარი და ჩემს ოჯახს დავეხმარები“, – უთქვამს მაშინ მამისთვის. გავიდა წლები და რონალდომ აასრულა დანაპირები. დღეს რონის გაყრილი მშობლები და ახლობლები მის მიერ ნაყიდი ძვირფასი სახლებისა და მანქანების პატრონები არიან. ნელინიო კი, ნამდვილად აღარ ნანობს, რომ ერთ დროს რონალდოს გამო დაკარგა სამსახური, რადგან მას ამჟამად საკუთარი პიცერია აქვს.

1990 წლის 12 აგვისტოს რონალდომ პირველად ითამაშა კლუბ „სან კრისტოვას“ რიგებში. მაშინ მას სრულიად მიტოვებული ჰქონდა სკოლა და უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მალე მის შესახებ მთელი მსოფლიო აღაპარაკებოდა. „რონალდო კარგი ბავშვი იყო, – იხსენებს მისი მწვრთნელი „სან კრისტოვასში“, ალფრედო სამპაიო, – ის ყოველთვის ბერს ლაპარაკობდა და იცინოდა, თამაშის დროს კი, მისი სისუსტე დაცვისადმი გულგრილი დამოკიდებულება იყო. როდესაც გუნდი ცუდად თამაშობდა, მე ყოველთვის ვყვიროდი: „მიეცით ბურთი რონალდოს, მან იცის, რაც

**რონალდოს გასაჩერებლად ბარტემი აკრობატულ ილეთებს ასრულებდა**



უნდა მოიმოქმედოს“.

1994 წელს რონალდომ ეროვნული ნაკრების რიგებში პირველი მატჩი ჩაატარა. მაშინ ბრაზილიელები არგენტინის გუნდს ხვდებოდნენ. „ყურადღება მიაქციეთ ამ ბიჭუნას. მას გადაუწყვეტია, მეორე პელები გახდეს“, – უთქვამს მაშინ ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს მარიო ზაგალოს.

**ის ცრემორწმუნეც არის და მორწმუნეც**

რონალდო ბავშვობაში ძალიან ცრუმორწმუნე და მშობარა ყოფილა. მისი ახლობლები სიცილით კვდებიან, როდესაც მისი ცრუმორწმუნების შესახებ იხსენებენ. თურმე მას ჯადოქრობის ემინოდა და მიანდა, რომ მისგან დედა დაიცავდა. „როდესაც პატარა იყო, მაგიუებდა ხოლმე, – იხსენებს დედამისი, – დამდამობით დგებოდა და მივარეულივით დადიოდა ოთახებში. მაშინვე ვანთებდი ყველა ნათურას და მთელი ოჯახი უკან დავდევი, რომ რაიმე არ დაშავებოდა. ძალიან ემინოდა სიბნელის. როდესაც მთელი დღის ნათამაშევი და მოქანცული სახლში ბრუნდებოდა, ჭიშკართან შეჩერდებოდა და მეძახდა: „დედიკო, დედიკო!“ შინ მხოლოდ მას შემდეგ შემოვიდოდა, როცა პასუსს გავცემდი. უცნოთა გარემოცვაში რონალდო ყოველთვის მორიდებული იყო, მაგრამ სახლში ძალიან მკაცრი. დიდი ხნის განმავლობაში, დღე-ღამეში 12 საათს ვუმშობდი. რონალდოს ყოველთვის სჭირდებოდა ვინმე, ვინც მას მოუვლიდა. საბედნიეროდ, ამ მოვალეობას მისი 4 წლით უფროსი და – იონა ას-





რონალდო, პელე და რობერტო კარლოსი

რულედა“.

რონალდო საკუთარ თავს კათოლიკედ მიიჩნევს და ინტერვიუებშიც ხშირად აცხადებს, რომ ყველაფერი, რასაც მიაღწია, მხოლოდ ღმერთის წყალობაა: „მე რელიგიური ადამიანი ვარ, – ამბობს რონი, – თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ღრმად მორწმუნე, რადგან – უნდა გამოვიტყდეთ, – ყოველთვის ვერ ვესწრები მესას, მაგალითად, მაშინ, როდესაც ჩემი გუნდი გასვლაზე თამაშობს. ეს ალბათ იმიტომაც ხდება (მართალია, ჩემთვის უსიამოვნოა ამაზე ლაპარაკი და საკუთარ თავზე ღიდი წარმოდგენა არ მაქვს), რომ როდესაც ეკლესიაში შევდივარ, ყველა მე მიყურებს და არა მოძღვარს. ეს საშინელებაა. მაგრამ მე ხშირად დავდივარ სადილის შემდგომ მესაზე პინეტინში (სადაც „ინტერის“ საწვრთნელი ბაზა მდებარეობს), როდესაც შინ ვთამაშობთ“.

როდესაც რონალდო სათამაშოდ ვეროპაში გადავიდა, იგი ძალიან გაიტაცა სარეკლამო ბიზნესმა. მილანის „ინტერი“ მას წელიწადში 4 მლნ დოლარს უხდიდა, სარეკლამო კონტრაქტების წყალობით კი, ბრაზილიელი ვარსკვლავი კიდევ მთლიანად მდიდრდებოდა. ამის გამო რონის ბევრი აკრიტიკებდა: მიიჩნევენ, რომ „კიჭა“ „ვარსკვლავის სენით“ დაავადდა და სულ უფრო ცოტა დროს უთმობდა ვარჯიშს. სხვათა შორის, რონალდოს ოპონენტთა რიგებში თვით პელეც აღმოჩნდა, რომელიც თანამემამულის მიმართ წინათ არასოდეს იმუშრებდა საქებად სიტყვებს. „სარეკლამო რგოლებში გამუდმებით მონაწილეობას, უმჯობესია, რონალდომ მეტი იფიქროს თამაშზე! როგორც ჩანს, ის სულ მთლად გააგვიჟა

ფულმა“, – ამბობდა ფეხბურთის მეფე.

ერთხელ, სწორედ ტელერეკლამის გადაღებაში მონაწილეობის გამო რონალდოს მცირეწლოვანთა გარყვნა დასდეს ბრალად, შემდგომ კი, კვლავ რეკლამის მიზეზით, მას ვატიკანიც კი გაუნაწყენდა: „ინტერის“ გენერალური სპონსორის – კომპანია PIRELLI-ის პლაკატზე „კიჭა“ რიოდეჟანეიროს თავზე აღმართული ქრისტეს ცნობილი ქანდაკების ნაცვლად იყო გამოსახული. ამ სურათზე მუხლმოხრილ „რონის“ „ინტერ-

ის“ შავ-ცისფერი მაისური ეცვა, ხოლო ქუსლზე კომპანია PIRELLI-ს რეზინის საავტომობილო სალტე ჰქონდა შემოჭერილი. ამ ფაქტის გარშემო სკანდალი მაშინ ატყდა, როდესაც ორთოდოქსმა კათოლიკეებმა მილანში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაკრული პლაკატები მაცხოვრის შურაცხყოფად ჩათვალეს. რონალდოც და კომპანიაც იძულებულნი იყვნენ, არაერთხელ გაეკეთებინათ განცხადება იმის შესახებ, რომ პლაკატზე გამოსახული ბრაზილიელი ფორვარდი უბრალოდ, რიოდეჟანეიროს ეხვეოდა, რითაც დემონსტრირებას უკეთებდა „შვილის სიყვარულს მშობლიური ქალაქისადმი“ ... მიუხედავად ამ განცხადებებისა, ბრაზილიელ ვარსკვლავზე ზეწოლა მაინც არ შეწყვეტილა, რის გამოც რონალდო იძულებული გახდა, ღელამისთან ერთად ვატიკანში პირდაპირ პაპს – იოანე-პავლე მეორეს სწვეოდა. საინტერესოა, რომ პონტიფიკოსს მანამდე არც სცოდნია, „კიჭა“ ფეხბურთელი რომ იყო, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ ნაჩუქარმა „ინტერის“ მაისურმა ძალიან გაახარა. მხოლოდ ამ შეხვედრისა და პაპისაგან რონალდოს დალოცვის შემდეგ ჩაცხრა სარეკლამო პლაკატის გარშემო ატეხილი სკანდალი.

**მეგობარი გოგონები**

„პირველი მეგობარი გოგონა, რომლის სახელი ვერონიკა იყო, რონალდომ 13 წლის ასაკში გაიცნო. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და

რონალდო რონალდინიასთან ერთად

მშვენიერი წყვილიც იყო. ვერონიკა რონალდოს თამაშების საყურებლად დადიოდა. მაშინ რონალდო დაბალი და გამხდარი ბიჭი იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცოტას ჭამდა“, – იხსენებს რონალდოს დედა სონია.

როდესაც რონი ჰოლანდიაში თამაშობდა, მას ფლირტი ჰქონდა ვინმე ნადია ფრანკოსთან, რომელმაც შემდგომში განაცხადა, რომ ორსულად იყო ბრაზილიელი ფორვარდისგან. „კეთილი, – თქვა „კიჭამ“, – დავინიშნოთ, მაგრამ ჯერ გავარკვიოთ, მართლა მე ვარ თუ არა ამ ბავშვის მამა“. ამის შემდეგ ნადია რონის ცხოვრებაში აღარ გამოჩენილა.

ყველაზე ხმაურიანი რომანი კი, რონალდოს, გერმანული წარმოშობის ბრაზილიელ სუზანა ვერნერთან ჰქონდა. სუზანა ფოტომოდელიც იყო, მანეკენიც, მსახიობიცა და, წარმოიდგინეთ, ფეხბურთელიც. ის რონალდინიას სახელით, ქალთა გუნდ „ფლუმინენსეში“ თამაშობდა (სხვათა შორის, ამბობდნენ, რომ საკმაო წარმატებითაც). ბრაზილიელ ფორვარდს სუზანა დისკოთეკაზე გაუცნია და ერთი ნახვით მოხიბლულა მისით. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, რონალდომ თავის რჩეულს პარიზში ბინა დაუქირავა, რათა სუზანას მის მატჩებზე დასწრება შესძლებოდა. შემდგომში ამბობდნენ, რომ საფრანგეთის ნაკრებთან ბრაზილიელთა სამარცხვინო მარცხის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სუზანა ვერნერი იყო, რომელიც რონალდოს აეჭვიანებდა და ამის გამო, ყვითელმაისურიანთა ფორვარდმა ფინალურ მატჩში საერთოდ ვერ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. ბორო-





ტი ენები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ სუზანას რონისთან ყოფნა მხოლოდ მისი ფულისა და იმ მზარდი პოპულარობის გამო სურდა, რომელიც მან ფეხბურთის ვარსკვლავთან დაახლოების შემდეგ მოიპოვა.

### გატაცებები

ფეხბურთის ვარსკვლავს ძალიან უყვარს დისკოთეკა — თუმცა ამბობენ, რომ მამონტი უფრო გრაციოზულად იცეკვებდაო, ვიდრე ამას რონალდო ახერხებს. ბავშვობიდან რონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გატაცება ავტომობილები იყო. „რონალდო მანქანებისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა. როგორც კი „კრუსეიროში“ გადავიდა, მაშინვე იყიდა მანქანა და ერთი წლის განმავლობაში დააქროლებდა მართვის მოწმობის გარეშე. „ამ მხრივ იგი მართლაც გიჟია, — იხსენებენ რონის ახლობლები. ამჟამად ბრაზილიელ ვარსკვლავს ფერარი, „მერსედესი“, „ბე-ემ-ვე“ „აუდი“ და ერთ-ერთი მარკის ჯიპი ჰყავს. რონალდო კომპაქტ-დისკებსაც აგროვებს — უკვე 3000 ცალი აქვს. როდესაც ფეხბურთით არ არის დაკავებული, ჩოგბურთს ან კალათბურთს თამაშობს. ძალიან უყვარს „ბოეიკების“ ყურებაც, მისი საყვარელი მსახიობები კი, სილვესტერ სტალიონე და დემი მური არიან. „რონის“ ერთ-ერთი დიდი ჰობი კომპიუტერული თამაშებიც არის. ამბობენ, როცა ის კომპიუტერთან ზის, ყურითაც ვერაფერს ააყენებსო.

როდესაც რონალდო პატარა და ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი იყო, მას ყველა „დადალო“ ეძახდა. მისი ძმა, ნელიო ფუნიორი სამი წლის ასაკში სწორად ვერ წარმოთქვამდა მის სახელს და ამიტომ შეარქვეს „დადალო“. „დადალო, მოდი აქ“, „დადალო, ვითამაშოთ“, „დადალო, დედა გეძახის“... „კმარა მე უკვე პროფესიონალი ვარ, — მკაცრად განუცხადებია რონის მას შემდეგ, რაც „კრუსეიროში“ დაუწვია თამაში, — ძალიან ვთხოვთ, დაივიწყეთ „დადალო“. ეს სახელი ჩემთვის აღარაფერს ნიშნავს. მე ხომ უკვე 16 წლის ვარ!“ მაშინ რონალდოს უკვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ფეხბურთში მისი აღმასვლა იწყებოდა და დიდი მწვერვალები უნდა დაეპყრო. ცოტა ხნის წინ ტრავმებმომუშებული რონი კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს და მის წინაშე ისევ დგას დიდი ამოცანა: მან ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ დღესაც ისევე არის პლანეტის ნომერ პირველი ფეხბურთელი, როგორც რამდენიმე წლის წინ იყო. ■

## ნიკ ვან უსელი დაჯახბიმეს

„დენვერ ნაგეტსის“ მოთამაშე, ნიკ ვან უსელი NBA-მ 20 ათასი დოლარით დააჯარიმა. ასოციაციამ ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ეკსელმა თავს უფლება მისცა, რამდენიმე დღეში უკვე მეორედ, გაეკრიტიკებინა მსაჯები. მკითხველს ვაცნობთ, რომ „მილუოკისთან“ მარცხის შემდეგ, ცოტა ხნის წინ პრესაში არბიტრთა კრიტიკისთვის ეკსელი 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ამჯერად „დენვერ ნაგეტსმა“ „დალასთან“ წააგო, ვან უსელმა კი, ყველაფერი მსაჯებს დააბრალა და აღნიშნა, რომ მსაჯის დამცირების ატანა უკვე აღარ შეიძლება. მისი აზრით, მსაჯები „დენვერ ნაგეტსისა“ და მისი მოწინააღმდეგეების მოქმედებებს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ. ■



## გუმბანლომმა უკვე დაჯახბიმეს იაპონიისა და სამსრთო კბრის სასცდუმბბთთა ნბმბრბი

როგორც მკითხველისთვის არის ცნობილი, გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სამგზის მსოფლიო ჩემპიონებმა, პლეიოფის ორი მატჩის ჯამში,

უკრაინის ნაკრები დაამარცხა. ალბათ გასაკვირია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მეორე მატჩის წინ, როდესაც ყველაფერი გაურკვეველი იყო (წაგების შემთხვევაში, გერმანიის ნაკრები იაპონია-კორეაში ვეღარ გაემგზავრებოდა), ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა მე-17 მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნების სასტუმროთა ნომრები უკვე დაჯავშნა. „ჩემი სამუშაო უნდა დავგვემო და არა ვიჯდე და ვიმარჩიელო, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას კავშირის საორგანიზაციო დირექტორმა, ბერნდ პფაფმა, — თუ ჩვენ პლეიოფის თამაშების დასრულებას დაველოდებით, შეიძლება, პრობლემები შეგვექმნას. როგორც გერმანული პრესა იუწყება, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ნაკრებისთვის სპარინგ-პარტნიორების შერჩევაზეც უკვე იზრუნა. სამგზის მსოფლიო ჩემპიონები ტურნირის წინა მოსამზადებელ მატჩებს ავსტრიის, ისრაელის, აშშ-ის, იაპონიისა და არგენტინის ეროვნულ გუნდებთან გამართავენ. ■



## ინბბნგბიული მბკბბბუ ნბჯბრცბბ იბსსბურბპლბ

19 წლის ინდონეზიელი მოკრივე, დონი მარამისი ჯაკარტის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ახალგაზრდა სპორტსმენმა სტენლი კატალოსთან შეხვედრისას მარჯვენა ჰუკი გაუშვა. დარტყმა ძალიან ძლიერი აღმოჩნდა. მარამისმა რინგზე გრძობა დაკარგა, რის გამოც ის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც რამდენიმე დღის წინ, გონებაზე მოუსვლელოდ, გარდაიცვალა. საინტერესო და ამავე დროს დიდად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ბოლო 10 თვის მანძილზე მარამისი უკვე მეოთხე ინდონეზიელი მოკრივე აღმოჩნდა, რომელიც რინგზე მიღებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა. ■

# პატრისია კასმა

## მაფიოზი

## შეიყვანა

ცნობილი  
მომღერლის  
კინოდებიუტი



**მადმუაზელ კასაი არა მარტო მარლენ დიტრიხის დაუფინ-ყარი ეპოქის დროინდელ ნოსტალგიურ ბლუზებს მღერის, არამედ კინოშიც მონაწილეობს! მომღერალმა პატრისია კასმა ცნობილი რეჟისორის, კლოდ ლელუშის ახალ ფილმში მიიღო მონაწილეობა, რომლის ეკრანებზე გამოსვლაც საფრანგეთში მომავალი წლის თებერვალშია დაგეგმილი.**

ფილმის სახელწოდებაა „ახლა კი, ლედი და ჯენტლმენებო“, მისი ბიუჯეტი კი 15 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს. ფილმის სიუჟეტი ყველასთვის ნაცნობია და წარმატების გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს. უკვდავი ფილმის – „მამაკაცი და ქალის“ რეჟისორი ისევ მამაკაცისა და ქალის თემას დაუბრუნდა, თუმცა ამჯერად კლოდ ლელუშმა ფილმის გმირად დამნაშავე-რეციდივისტი შეარჩია, რომელიც ესტრადის მომღერალ ქალს შეუყვარდა. მამაკაცი – დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი, ცნობილი მაფიოზია, ქალი კი – ბარის მომღერალი, თანაც მას ისეთი ბუნება აქვს, რომ მოსაწყენი და ერთფეროვანი დღეების მიუხედავად, რომანტიკისკენ მიიღრმავება. კაცი ცდილობს, პატიოსან და კეთილშობილ ადამიანად იქცეს, ქალი კი, ნამდვილ, დიდ გრძნობაზე ოცნებობს.

თავდაპირველად კლოდ ლელუშს თავის ფილმში დასტინ ჰოფმანის მიწვევა სურდა, მაგრამ ამერიკელმა მსახიობმა,

რატომღაც უარი განუცხადა და ფრანგი რეჟისორი ჯონ მალკოვიჩს დაუკავშირდა, რომელსაც კინოში გენიალური არამზადის და მომხიბლავი გაიძვერის არაერთი სახე აქვს შექმნილი. მსახიობი დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი სხვა ფილმშიც იყო დაკავებული. მაშინ რეჟისორმა ახალი თაობის საუკეთესო ფრანგ მსახიობს დანიელ ოტეის მიმართა, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო და ბოლოს, ფრანგმა მაესტრომ საშველად ჯერემი აირონსს უხმო. შესანიშნავი ინგლისელი მსახიობი ხალისით დაეთანხმა ლელუშის წინადადებას, ახლა მხოლოდ ქალის მთავარი როლის შემსრულებლის მოძებნა იყო საჭირო.

„არ დავმალავ, თავიდან ჩემი გმირი ქალის როლში კანადელ ლარა ფაბიანის ვხედავდი, – ჰყვება კლოდ ლელუში, – მაგრამ შესანიშნავი მომღერალი და ულამაზესი ქალი სინჯების დროს მეტი-მეტად ლალი და ხალისიანი მეჩვენა. მე კი ქალის ის ტიპი მჭირდებოდა, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ტრაგიკული ბედი, დამალული ტკივილი, ამოუცნობი საიდუმლო და ფსიქოლოგიური დაღლილობა. სწორედ მაშინ მომაგონდა პატრისია კასაი. მის სახეზე ყველაფერი იკითხება, რაც კი, ჩემი აზრით, ამ როლის შემსრულებელ ქალს ესაჭიროება.“


**კლოდ ლელუში და პატრისია კასაი**

ლელუშის აზრით, ოცდაათობეტი წლის კასმა, რომელიც კინოში პირველად მონაწილეობდა, პრაქტიკულად საკუთარი თავი განასახიერა. მან საკმაოდ ნიჭიერად ითამაშა, თუმცა სხვანაირად იგი ვერც კი შეძლებდა გადასაღებ მოედანზე მუშაობას, სადაც მისი მასწავლებელი და ძირითადი პარტნიორი თავად ჯერემი აირონსი იყო, რომელმაც კინოს შესახებ ყველაფერი იცის.

„მე ადრეც მთავაზობდნენ კინოში დიდ და პატარა როლებს, – ამბობს პატრისია კასაი. – თავის დროზე მივიღე წინადადება, მეთამაშა ემილ ზოლას რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში „ჟერმინალი“, მაგრამ მაშინ გასტროლებით და მორიგი ფირფიტის ჩაწერით ვიყავი დაკავებული, ამიტომ უარის თქმა მომიხდა. ბოლოს კი, ამ ფილმში ჟერარ დეპარდიესა და ფრანგ მომღერალ რენო სეშანთან ერთად, მშვენიერმა მსახიობმა მიუ-ბიუმ ითამაშა. როცა კლოდ ლელუშმა დამირეკა, სწორედ გზისგასაყარზე ვიმყოფებოდი. ჩემი კონცერტების სერია საფრანგეთსა და ევროპაში დასრულდა, ახალ ფირფიტაზე და ახალ ალბომზე მუშაობა ჯერ არ მქონდა დაწყებული. ბოლო წლების მანძილზე პირველად მოვახერხე ოჯახში, ახლობლების წრეში დასვენება – ვუყურებდი ტელევიზორს, ვათვალიერებდი ჟურნალებს, ვხვდებოდი მეგობრებს... მოკლედ, დროს ისე ვკლავდი, როგორც შექმედლო.



უცებ კი ისეთი გამორჩენილი და ორიგინალური რეჟისორის შემოთავაზება მივიღე, როგორც კლოდ ლელუშია. ვიფიქრე – რატომაც არა? დიდი ხანია მსურს, სიმღერის გარდა, თავი სხვა ასპარეზზეც წარმოვაჩინო.



კაასის გმირი – ბარის მომღერალი – სიუჟეტის მიხედვით მაფიოზს (ჯერემი აირონსი) შეიყვარებს

მართლაც, კლოდ ლელუში კინოს სამყაროში გამორჩეულ ფიგურად ითვლება. როგორც წესი, იგი მუშაობის დროს „მსუბუქი სცენარის“ სტილს იყენებს: გადაღებების წინ მსახიობებს ფილმის ფაბულა ეძლევათ, გმირებს შორის დიალოგები კი ძირითადად, იმპროვიზაციის შედეგად იბადება. სხვაგვარად რომ ეთქვათ, მსახიობებს ამ დროს ვითვამოვლენის მაქსიმალური საშუალება ეძლევათ და პერსონაჟებში მათი ინდივიდუალობა გადადის. ასე მოხდა ახალ ფილმზე მუშაობის დროსაც.

როგორი აღმოჩნდა პატრისია კაასის დებიუტი კინოში? ამას მაყურებლები და დრო განსჯის. ჯერჯერობით კი ერთი რამ შეიძლება ითქვას: გერმანიის მოსაზღვრე პატარა ფორბახის მკვიდრ მომღერალს თოთხმეტი წლის უწყვეტი კარიერის მანძილზე ბევრი სათქმელი დაუგროვდა და ამის გამოხატვას ის ეკრანის მეშვეობით ცდილობს. ფიქრობს თუ არა „მადმუა-

ზელ ბლუზი“ კინოში მუშაობის გაგრძელებას? „არ ვიცი – ამბობს პატრისია კაასი. – თავს ილუზიებით არ ვიმშვიდებ: ჩემი ჭეშმარიტი ადგილი სცენაზეა, ორკესტრის გვერდით, თუმიცა, ცხოვრება გვინფუნებს“.



# ტესტი ერუდიციაზე

1. სად გაატარა ბავშვობა ელენე ახვლედიანმა?



- ა) ქუთაისში;
- ბ) პარიზში;
- გ) თელავში.

2. ქართული მხ/ფ „უპინარ-თა მზის“ რეჟისორია:



- ა) თემურ ჩხეიძე;
- ბ) თემურ ბაბლუანი;
- გ) თემურ ფალავანდიშვილი.

3. „თუ ძალა შეგმევს, მიჰყვე შენებას, მე თვით მოგაწვდი გრძნობის აფურცებს, თუ – არა, შენს თავს ნუ მისცემ ნებას, ნანგრევებს ნულარი აურ-ლაურევ“.  
ვის მიუძღვნა ეს სიტყვები პარლამენტის ყველაზე პოპულარმა წევრმა ვახტანგ პოქორიშვილმა?



- ა) ზოგადად სიყვარულს;
- ბ) ხათუნა გოგორიშვილს;
- გ) მეუღლეს – ლიდა ვორობიოვას.

4. დეპრესია არის:



- ა) ადამიანის დათრგუნვილი მდგომარეობა;
- ბ) ნებისყოფის სისუსტე;
- გ) ღავაღება.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დასაწყისი იხ. გზა № 44-46

თვეზე მეტი იყო, კოლა არ ენახა. მხოლოდ ქრისტინე ამოდიოდა მასთან. ყოველდღე ამოდიოდა... კედლები ქრისტინეს პორტრეტებით გაავსო. თითქმის ყოველდღე ხატავდა მას. ქრისტინესაც ძალიან მოსწონდა მისი ნახატები. ყოველი ახალი სურათის დახატვის შემდეგ ბავშვებით ხარობდა, ეხვეოდა, კოცნიდა... სიგარეტის მოწვევას თავი დაანება. ხშირად ღამითაც მასთან რჩებოდა, რამდენჯერმე სადილის მომზადებაც სცადა – მართალია, უგემური გამოუვიდა, მაგრამ რეზოს მაინც ესაიამოვნა.

ქრისტინემ დაიკავა თითქმის მთლიანად მისი გონება. ღამით, როცა იგი მასთან არ იყო, ვეღარ იძინებდა. უკვე ხშირად იცინოდა, ხუმრობდა კიდევ წარსულზე აღარ ფიქრობდა, მომავალზეც არ იჭყლეტდა ტვინს. მას ჰქონდა აწმყო – ქრისტინე და როცა ამ უკანასკნელმა განუცხადა – შენგან ბავშვი მინდა გავაჩინო, სიხარულისგან ცას ეწია, ქვეყნად მასზე ბედნიერი თუ ვინმე იყო, არ ეგონა. აღარ იცოდა, რა ექნა, უზარმაზარი თავიგული უყიდა და კიდევ – ოქროს ბეჭედი... სწორედ ისეთი, დედას რომ უყიდა პირველი სტიპენდიებით... ქრისტინეს ხელზე ამ ბეჭდის დანახვა სულ დედას ანსენებდა და ცუდ გუნებაზე აყენებდა.

ბოლო დროს თითქმის ყოველ ღამით ესიზმრებოდა დედა. ბევრჯერ მიუჯდა მაგიდას წერილის დასაწერად, მაგრამ რამდენიმე სიტყვაზე მეტის დაწერა ვერაფრით მოახერხა...

კოლამ დაბადების დღეზე დაპატიჟა. ის და ქრისტინე ცოტა მოგვიანებით მივიდნენ. ხალხი უკვე სუფრას უსხდა. რაღაცაზე საუბრობდნენ.

– პირადად მე ლექსები მაინცდამაინც არ მიყვარს, – ამბობდა ერთი მალალი, გამხდარი ახალგაზრდა. თოვლივით თეთრი იყო და ქერა წვერი მკერდზე ეფინა.

– რატომ?

– ნუ, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი არაბუნებრივად მეჩვენება, ადამიანები ცხოვრებაში ერთმანეთთან გართიმულად ხომ არ საუბრობენ. არ მომწონს ის, რაც ხელოვნურია, მით უმეტეს, ლექსით ვრცელი, სერიოზული ამბის მოყოლა უაზრობაა, გართიმვის აუცილებლობა იმდენ ზედმეტობას იწვევს... სისულელე!.. საშუალო დონის პროზაიკოსი მირჩევნია გენიალურ პოეტს. კარგი პოეტი წერა-კითხვის უცოდინარიც შეი-



ნუბო ბაშელი

# სწრაფება

ძლება იყოს, კარგი პროზაიკოსი კი, გაუნათლებელი ვერ იქნება...

– აბა, თან საქმე! დავლით ცოტა, თორემ ფხიზელი თვალით ამ ჩაბანძუბულ ცხოვრებაში რა გამამხიარულებს?! – კოლა შემოვიდა, შემდეგ რეზოს მიუბრუნდა და ჩაუღაპარაკა: ეს „ფილოსოფოსი“ მწერლობს, ლოლამ მოათრია. უკვე ტვინი გამომიღაყა. ცოტას კიდევ ვა-ცლი და თუ არ გაჩერდა, აი, ამ შამპანურის ბოთლზე დავსვამ.

იქიფიფეს, იცეკვეს, იცინეს...

შუალამე გადავიდა, თანდათან დაიშალნენ. რეზომ წასვლა დააპირა. კოლამ – შენთან საქმე მაქვსო, გვერდით ოთახში გაიყვანა. მცირე ხანს ღუმდნენ, მერე კოლამ დაიწყო:

– ქრისტინეზე მინდა გელაპარაკო...

შენ ჯერ კიდევ გამოუცდელი ხარ... ნუ ექცევი ასე კარგად, მთელი საღამო თავს ევლებოდი... არ შეიძლება ქალთან ასე მოქცევა, თორემ თავზე დავაჯდება!

რეზოს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა. ყველაფერს ელოდა, მაგრამ ასეთ საუბარს, არა. ხმა არ ამოუღია...

– ადამიანებს არ უყვართ თავიანთი სწორეები, – განაგრძო კოლამ, – მხოლოდ მას სცემენ პატივს, ვისაც საკუთარ თავზე მაღლა მდგომად მიიჩნევენ. ნუ ექცევი ქრისტინეს მასე, ნუ უსრულებ ყველა სურვილს, თავზე ნუ დაისვამ, თორემ მიგატოვებს, მობურღები და მიგატოვებს. როცა დაინახავს, რომ მისი მონა ხარ, დაკარგავს შენდამი ყოველგვარ ინტერ-

ეს და სხვასთან წავა!

რეზოს სახეში სისხლი მოაწვა.

– არ გაბელო ქრისტინეზე ასეთი ლაპარაკი! – კბილებში გამოსცრა.

– გიყვარს?... ცოლად ხომ არ უპირებ მოყვანას? – კოლას ჩაეცინა.

– ვუპირებ!

– შენ კარგად დავისტვენია! შენი მარტო დატოვება არ შეიძლება, როგორც ვატყობ... მომისმინე, ბოზს არ უნდა ენლო, გაიგე?..

რეზო საყელოში სწვდა. კოლამ ხელი ჰკრა და კედელს მიანარცხა. რეზოს საყელოს ნაგლეჯი შერჩა ხელში.

– რა ჭკვიანი ხარ... – ცივად ჩაიცინა რეზომ, – ყველაფერი იცი... რამდენჯერ უნდა მიუაღერსო ქალს, რამდენჯერ გაუბრაზდე... მაგრამ ეს ხომ სიყვარული აღარაა! სიყვარული გულთანაა დაკავშირებული და არა ტვინთან, თუ წინასწარ დაგეგმე შენი მოქმედება, მაშინ რაღა აზრი აქვს ვინმესთან ყოფნას! მაგრამ ამას შენ ვერ გაიგებ, იმიტომ, რომ ეგოისტი ხარ, საკუთარ თავზე შეყვარებული...

– ეგოისტი?! – კოლას თვალები ჩაუსისხლიანდა, – შენ რა, შენი თავი ნაკლები ეგოისტი გგონია?! გახსოვს, ლოლა როგორ გალახე, ჰა! მხეცურად სცემე! რატომ სცემე? მან ხომ სიმართლე თქვა! ის ხომ მართლაც პირველი ქალი იყო შენს ცხოვრებაში! სიმართლისთვის სცემე... წელან რომ გითხარი, ბოზს არ უნდა ენლო-მეთქი, ეს შენც მშვენივრად იცი, მაგრამ ადამიანი ისეა

მოწყობილი, უნდა, რომ ყველაფერი თავის თავზე გამოსცადოს, ავიც და კარგიც. ასე ჰგონია, ეს ბოზი სხვას რომ დალატობდა, მას არ უღალატებს. ყველას საკუთარი თავი გამორჩეული ჰგონია. სხვათა გამოცდილებას რომ ითვალისწინებდეს, აქამდე კაცობრიობა სამოთხეში იქნებოდა. თუმცა, ვის რაში სჭირდება სამოთხე! მუდმივად ბედნიერად ყოფნა ალბათ მაგარი უბედურებაა...

მცირე ხნით გაჩერდა, მძიმედ სუნთქავდა, შემდეგ განაგრძო:

– შეხედე ქალებს, რას ჰკვანან, ათასნაირად ითხიპნიან ფიზიონომიას და ჰგონიან, რომ ლამაზები ხდებიან. რცხვენიათ ალბათ თავიანთი ნამდვილი სახის... მხოლოდ დილით ადრე, ნაბახუსევზე, ვნებიანი ღამის შემდეგ სძვრებათ ნიღბები... ოხ, რა საზიზღრები არიან ამ დროს!.. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ქალებს უყვართ, როცა უხეშად ეპყრობიან, ეს ალბათ მათ ფსიქიკაში ღვეს... თუმცა, რა ნოტაციებს ვიკითხავ... აი, შენი ანგელოზი ირმის რქებს რომ დაგადგამს თავზე, მაშინ მოხვალ ჭკუაზე!..

რეზო ოთახიდან ბარბაცით გავიდა. ქრისტინე არსად ჩანდა. იკითხა. მწერალს გაეცილებინა...

კოლას ბაგეზე ირონიული ღიმილი შენიშნა...

გარეთ გამოვარდა. ბნელოდა. ფეხით გაუყვა ქუჩას. აი, ბავშვთა სახლიც. დღისით მის ეზოში მუდამ ბავშვები თამაშობდნენ. ბევრჯერ უცქერია მათი თამაშისთვის... ერთი პაწია გოგონა კი სულ ღობესთან იდგა და ტროტუარს გასცქეროდა. ხმას არ იღებდა, არც არავის ეთამაშებოდა, ყურადღებასაც არავინ აქცევდა. ერთხელ, გამოლაპარაკება სცადა, გოგონამ პასუხი არ გასცა... მოაგონდა მისი სახე: დიდი, შავი თვალები, ციცქნა ცხვირი, მკაცრად მოკუმული ტუჩები, საფეთქლებთან ლურჯი ძარღვები და საოცარი ნაღველი თვალებში... გამხდარი, ციცქნა ხელები მუდამ რკინის რიკულებზე ჰქონდა ჩაბლაუჭებული, თითქოს ეშინოდა, ამ ადგილიდან არავის წაეყვანა.

თანდათან ინათა. უკვე სულ გამოფხიზლდა.

შინ ავიდა. ტანთ არც გაუხდია, ისე დაწვა. საშინელ დაღლილობას გრძნობდა. მალევე ჩაიძინა.

ზარის ხმამ გამოავიძია. საათს დახედა. უკვე საღამოს შვიდი საათი იყო. ზანტად წამოდგა. კარი გააღო. ზღურბლთან ქრისტინე იდგა. გრძელი, შავი კაბა

ეცვა და ყელზე წითელი ყელსაბამი ეკიდა.

ოთახში გაბრაზებული შემოვიდა და უკმეხად მიახალა:

– წუხელ რატომ არ გამაცვილე?!

რეზომ გაცხებით შეხედა. იმის ნაცვლად, რომ ქრისტინეს თავი გაემართლებინა, აქეთ ედავებოდა. „საუკეთესო დაცვა, თავდასხმა“, – გაიფიქრა და რატომღაც გაეღიმა.

– რატომ არ დამელოდე?

– ცოტა ხანს გელოდე?! ხელს ხომ არ შეგიშლიდი გულითად საუბარში!

– გავიგე, მარტო არ წასულხარ.

– კი, ვაჟამ გამაცილა. ჭკვიანი ბიჭია. ისეთი კარგი ლექსები აქვს და რომ ჰკითხო, პოეზია არ მიყვარს...

– დამეგობრებულხარო. აბა, აწი რაღა გიჭირს, უთუოდ შენზეც დაწერს ლექსს!..

– ეჭვიანობ?... სულელო!.. არა გრცხვენია?! – ქრისტინე ყელზე ჩამოეკიდა, ყურის ძირში ნახად აკოცა და წასწურჩულა:

– ხომ იცი, ვერ ვიტან თოვლივით თეთრ მამაკაცებს, მით უმეტეს, ქერა წვერიანს.

– რას მეუბნები?! აბა, როგორებს იტან?

– შავგვრემანებს. აი, როგორიც შენა ხარ, – ქრისტინე უფრო მაგრად ჩაეხუტა, – ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ, – თვალებზე ცრემლი აუკიფდა.

რეზოს შერცხვა. საკუთარ თავზე გაბრაზდა – როგორ ვიკადრე, გულში ეჭვი როგორ გავივლეო და ყველაფერი კოლას დააბრალა. გოგონას სახე ხელებში მოიქცია, თვალებში ღრმად ჩახედა და ხარბად დაეწაფა მის ტუჩებს.

დაზამთრდა. აცივდა. ხან თოვლა, ხან წვიმიდა. კოლას ნახვა გადაწყვიტა.

ქუჩას ნელი ნაბიჯით გაუყვა. თავი სტკიოდა. ჰაერი ოდნავადაც არ იძროდა. ირგვლივ გაძარცული ხეები საწყალობლად გასცქეროდნენ მიდამოს. ცას ნაცრისფერი ელო. ქუჩაში მოსიარულენი ზანტად მიიზღაზნებოდნენ. არავინ არსად მიჩქაროდა. არავის არაფერი უხაროდა. არც ერთს სახეზე ღიმილის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ყველა მოღუშული და დაღვრემილი ჩანდა, საყელო აეწიათ და თავი შიგ ღრმად ჩაერგოთ. ორი დღის წინ მოსული თოვლი, უკვე სულ გაშავებულიყო. უქულოდ მიდიოდა. სუსხი ყურებს და ცხვირს უწვავდა.

შეაჟროლა. იგრძნო, სიცხე ჰქონდა.

საყელო მანაც აიწია. საფეთქლები ძალუძამდ უცემდა, კანკალმაც აიტანა. სიარული უჭირდა, მაგრამ რატომღაც მაინც ფეხით მიდიოდა. ჩასუქებული, ცხვირწითელა, კარგად ჩაფუთული მეეზოვე ზანტად ფხეკდა ტროტუარიდან გაშავებულ თოვლს. იქვე კოცონი ენთო, კვამლის იისფერი ზოლიც ზანტად მიიწვედა ზევით. ნერვებს უკაწრავდა მეეზოვის ფხაკუნი, კვამლსაც საშინელი სუნის ჰქონდა...

პატარების ჟრიაბული შემოესმა. უკვე ბავშვთა სახლს მიახლოვებოდა. დიდი შავი თვალები მოაგონდა, ძარღვების ლურჯი ზოლები საფეთქლებზე და გამხდარი, რიკულებს ჩაბლაუჭებული ხელები...

ნაბიჯს აუჩქარა. აი, ისიც გამოჩნდა, კვლავ ძველ ადგილას იდგა და ისევ ისე უძრავად გასცქეროდა ტროტუარს.

– გამარჯობა.

ბავშვი არც განძრეულა.

ჩაცუცქდა, ხელით მის ციცქნა ხელს შეეხო. პატარამ მაშინვე გასწია სიცივისგან გათოშილი ხელი.

– შენ რა გქვია?

გოგონამ გაცხებული თვალები შეანათა. არაფერი უპასუხა.

ჯიბეში ხელი ჩაიყო, საღვჯი რეზინი ამოიღო. ბავშვმა გამოართვა, მაგრამ კვლავ უნდობლად შესცქეროდა.

– ნინიკო! – გაისმა ძახილი. პაწიამ შეშინებული თვალებით უკან გაიხედა. აღმზრდელი ეძახდა. ახალგაზრდა ქალი იყო, მოკლე პალტოდან გრძელი თეთრი ხალათი მოუჩანდა. ნინიკო ორივე ხელით ჩაებლაუჭა რიკულებს, თან რეზოს მუდარით აღსავსე თვალები მიაპყრო. რეზო გაქვავდა.

აღმზრდელი ბავშვს მიაუხლოვდა, ხელი მხარზე ნახად დაადო და ალერსიანი ხმით უთხრა:

– ნინიკო, წადი, ჭამის დროა.

– არ მინდა! – შეშინებული ხმით უპასუხა პაწიამ.

– აბა, როგორ შეიძლება! უჭმელობით ავად გახდები, ხომ ხედავ, როგორი გამხდარი ხარ!

ქალი გოგონას აყვანას შეეცადა, გოგონა კი თავგანწირვით ჩაჰფრენოდა რიკულებს და ხელის გაშვებას არც აპირებდა, სახე წამოსწითლებოდა და თვალები უელავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ააგლიჯა ღობეს და ხელში აყვანილი წაიყვანა. ბავშვი აწვივდა, ხელფეხი წაუშინა აღმზრდელს. სიბრაზისგან გაფთვრებულმა ქალმა გოგონა ძირს ჩამოაგდო, ხელები დაუჭირა და კბილებში

გამოსცრა:

– რით ვერ გაიგე, რომ დედაშენი აღარასოდეს მოვა! მოკვდა, გაიგე, მოკვდა! აღარ არის ამქვეყნად! როდემდე უნდა გელოლიავო! მეც ადამიანი ვარ და ნერვები მაქვს! მარტო შენ ხომ არა ხარ ამ სახლში?! რამდენია შენნაირი, ყველას თან ხომ არ გადავყვები?!

– მოვა! – მტკიცედ უპასუხა ნინიკომ, ციცქნა ტუჩები მკაცრად მოეკუმა და ნამტირალევი თვალები დასწითლებოდა. შემოტრიალდა და კვლავ ღობისკენ წამოვიდა.

მომთმინებადკარგულმა აღმზრდელმა უხეშად ჩაავლო ხელი მკლავში და შენობისკენ წაათრია. გოგონამ კბილები ჩაასო აღმზრდელს ხელში. ქალმა განწირული ხმით შეჰკივლა და ხელი გაუშვა. ერთხანს ორივენი გამტყერებულები მისჩერებოდნენ ერთმანეთს, ქალს ნაკბენი ხელი წითლად შეღებოდა, შემდეგ აღმზრდელი ეცა და რამდენჯერმე მაგრად მოსცხო უკანალზე. გოგონა აქვითინდა.

რეზო ლობეს ეცა, ელვის სისწრაფით ზედ გადაეკლო.

– ბავშვს თავი გაანებე, შე ძუენა, შენა! ნაბიჭვარო, თუკი ბავშვების მოვლა არ შეგიძლია, აქ რაღას მუშაობ!

ქალს ხელი ჰკრა, ბავშვი აიყვანა და გულში ჩაიკრა.

აღმზრდელი იქვე ჩაჯდა. ცრემლები დაპაღუპით ჩამოსდიოდა. სისხლიანი ხელით ცრემლების მოწმენდას ლამობდა. მთელი სახე სისხლით და ტუშით მოეთხვარა.

– ახლავე გაეთრიეთ აქედან, თორემ პოლიციას გამოვუძახებ! – რეზოს ჭადარა ქალი მიუახლოვდა, ბავშვი ხელიდან გამოსტაცა, – სადაც გაიღეშეთ, იქვე მონიელო! აქ ბავშვთა სახლია და არა საროსკიპო, უშუერი სიტყვებით თქვენი მეგობრები გალანძღოთ! გაეთრიეთ!

რეზო უსიტყვოდ გამოიძურწა. სახე გაჰფითრებოდა, მართლა მთვრალივით ბარბაცებდა. ტანში კვლავ შეაფრჟოლა. ნიავემა დაქროლა, სუსხმა ძვალსა და რბილში დაუარა. კვლავ კანკალმა აიტანა.

კოლამ კარი გაუღო.

– ვა! ამ დილაადრიან სად დათვერი?!

– მთვრალი არა ვარ... სიცხე მაქვს...

კოლამ სიცხის წამალი უშოვა და ორი საბანი დაახურა.

როგორც იქნა, ჩათბა. ოფლად გაიღვარა და ნელ-ნელა ბურანში გაეხვია.

გაზაფხულდა. ხეები ხასხასა მწვანით შეიმოსა. ქრისტინეს დაბადების დღე ახლოვდებოდა. რეზომ წინასწარ უყიდა პროდუქტები, სასმელი, ქრისტინეს სახლში აპირებდნენ ქეიფს.

აი, დადგა ის დღეც. დილიდანვე აღარ იცოდა, რა ეკეთებინა. დრო საოცრად ნელა მიიზღაზნებოდა.

მოსაღამოვდა, როგორც იქნა. უცებ, მოაგონდა, რომ ქრისტინესთვის არაფერი ეყიდა საჩუქრად. თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა სახლიდან. ბაზარში გაიქცა ყვავილებისთვის. იქ აღარავინ დახვდა. ყვავილების ჯიხურებს დაუწყო ძებნა, ისინიც გამოცარიელებული იყო. კერძო ბინებს ჩამოუარა, ზოგან ყვავილების სათბურები ეგულებოდა. მიაგნო. პატარა ეზო იყო. თითქმის მთლიანად სათბურს ეკავა, სათბურში კი, სისხლისფერი ვარდები ეღვარებდნენ. გაეხარდა. არც შევაჭრებია, მოზრდილი კალათა გაავსებინა მთლიანად.

რეზომ ნაბიჯი წადგა. ალბათ, სურდა ვაჟის მისაღებოდა, მაგრამ, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ადგილზე გაიყინა...

გოგონამ სათვალე მოიხსნა და... რეზომ ქრისტინეს სახე შეიცნო...

„თმა შეუღებავს... კაბაც ახალი აცვია“,

– გაუელვა თავში.

ვაჟა და ქრისტინე მისკენ არ იხედებოდნენ და ალბათ, ვერც ამჩნევდნენ გამკვლელ-გამომკვლელთ, აღერსიანად ბაასობდნენ. ბოლოს ვაჟამ წელზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და მის ტუჩებს დაეწაფა. ქრისტინე არც გასძალიანებია, პირიქით, კოცნითვე პასუხობდა და მკერდზე ძალუმად ეხუტებოდა.

რეზოს ძარღვებში სისხლი გაეყინა, შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა, ხელები აუკანკალდა.

კალათიდან ჩამონადენმა წყალმა სულ



უკვე შვიდი ზდებოდა. სტუმრები რვისთვის ჰყავდა დაპატიჟებული, კოლაც უნდა მოსულიყო.

ქრისტინეს სახლი შორიახლოს იდგა. ფეხით გაუყვა. წყლის წვეთები მარგალიტებივით ბრწყინავდა ვარდების ფურცლებზე. სველი კალათა საკმაოდ მოუხერხებელი სატარებელი აღმოჩნდა, წყალი წვეთავდა და ფეხებს უსველებდა.

ქრისტინეს სახლს მიუახლოვდა. მანქანა გაჩერდა მის შორიახლოს. მანქანიდან ვაჟა და ქერათმიანი გოგონა გადმოვიდნენ. ქალს მზის სათვალე ეკეთა. ნაცნობი ეჩვენა მისი მიხრა-მოხრა, ვერაფრით მოიგონა, სად შეეძლო ენახა იგი.

დაუბო ფესსაცმელები. პირი გაშრობოდა, მიძიმედ სუნთქავდა. მიტრიალდა და ნელ-ნელა წალასლასდა. ცრემლები ყელში აწვებოდა...

ყველაფერი გაქრა! ყველაფერს ისევ ფერფლისფერი დაედო...

მწარედ ჩაიცინა.

– გეგონა რომ ვიღაცას უყვარდი?! განა შეიძლება, შენი შეყვარება?! რას ჰგავხარ, სარკეში მაინც ჩაიხედე! ტარაკანა... – კბილებში გამოსცრა. იქვე მდგომმა ბიჭებმა მისკენ გაიხედეს.

ახლალა შეამჩნია, რომ კალათა ისევ ხელში ეჭირა. გული მტკივნეულად შეეკუმშა, მიიხედ-მოიხედა, იქვე ნავის უზარმაზარი ყუთი შენიშნა, მივიდა და კალათა შიგ გადაუძახა...

სისხლისფრად შეილება მომწვანო-  
მოყავისფრო ნაგავი...

ბიჭებს გაოცებისგან თვალები გა-  
უფართოვდათ. ერთმა მათგანმა დაუსტე-  
ინა და საჩვენებელი თითი საფეთქელზე  
მიიკაკუნა.

უკვე თენდებოდა, შინ რომ მივიდა.  
მთელი ღამე სასაფლაოზე იხეტილა...  
რამდენი უპატრონო ძაღლი ყოფილა  
სასაფლაოზე! არასდროს უნახავს ამ-  
დენი ძაღლი ერთად...

ბავშვობისას ძალიან ეშინოდა სიბ-  
ნელეში სასაფლაოზე გავლა. სოფელში  
ბიჭები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს – ვინ  
გაბედავდა ღამით კინოდან სახლში მარ-  
ტო წასვლას: გზა სასაფლაოს გვერდით  
გადიოდა... ვერც ერთხელ ვერ გაბედა...  
ახლა კი... ახლა არც უფიქრია  
შიშზე...

მოცელილივით მიეგლო ლოგინზე...  
დიდხანს ეძინა წყნარი, უშფოთველი  
ძილით. სიზმარიც კი არ უნახავს...

კაკუნმა გამოაღვიძა. დაეზარა თვა-  
ლის გახელა, იწვა ასე, გაუნძრევლად,  
არაფერზე ფიქრობდა... კაკუნი არ წყ-  
დებოდა.

„ნეტავ, რატომ აკაკუნებენ? ხარი  
გადაიწვა, თუ ღენი გამოირთო?“ –  
გაიფიქრა რატომღაც.

კაკუნი ბრახუნმა შეცვალა. როგორც  
იქნა, გაახილა თვალი. უკვე საღამო  
იყო. ახლალა შეამჩნია, რომ გაუხდელად  
იწვა. ჭუჭყიანი ფეხსაცმელები საგულ-  
დაგულოდ შეეწმინდა თეთრეულზე.  
ხანტად წამოდგა. კარი გააღო.

ზღურბლთან ქრისტინე იდგა.  
გონებაში გაისრიალა მოგონებათა ჯაჭვმა:  
ქერა თმა, მზის სათვალე, ახალი კაბა,  
ქერაწვერიანი სახე... გააჟრჟოლა...

ზღურბლთან კი... ზღურბლთან ისევ  
ის ქრისტინე იდგა წაბლისფერი თმით  
და ნაცნობი შავი კაბით. შეშფოთებუ-  
ლი, ფართოდ გახელილი თვალებით  
მოსჩერებოდა.

– რა მოგივიდა?!

რეზო გახევებული იდგა.

– კარს რატომ არ აღებდი?!

– მეძინა, – ამოღერდა, როგორც იქნა.

– ავად ხომ არ ხარ? – ერთი  
ხელი ყელზე მოხვია, მეორე შუბლზე  
დაადო, – რა არის, ადამიანის სახე არ  
გაქვს?!

ქრისტინე... ისევ ძველებური... ისევ  
თბილი, ტკბილი, ალერსიანი... იქნებ, დაე-  
სიზმრა ყოველივე გუშინდელი, იქნებ, მარ-  
თლა ავად არის და ის კოშმარი მისი

ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია?!  
აბა, საიდან მოიგონა ქერა თმა? ქრის-  
ტინეს ხომ ისევ ისეთივე წაბლისფერი  
თმა ჰქონდა! ხელით შეეხო მის თმას.  
ქრისტინემ თვალები მილულა.

– გუშინ რატომ არ მოხვედი?

– ავად ვიყავი, ლოგინიდან ვერ ავდ-  
ექი.

– დიდხანს გელოდეთ.

– მელოდეთ?!

– ჰო, ვაჟა და მისი მეგობრები იყვნენ,  
კოლაც იყო, მაგრამ მალე წავიდა, რაღაც  
საქმე მაქვსო.

რეზო, თითქოს თავში ურო ჩაარ-  
ტყესო, გაფითრდა, ტუნებზე ზიზღნარე-  
ვი ღიმილი დაეხატა.

– ძალიან გიხდებოდა ქერა თმა!

ქრისტინე შეკრთა. თვალებში შიში  
ჩაუდგა და ენა ჩაუვარდა.

რეზოს გაეცინა. ჯერ წყვეტილად  
იციხოდა, შემდეგ ასარხარდა. ქრისტინემ  
გაკვირებისგან პირი დააღო. ამაზე რეზო  
კიდევ უფრო ძლიერ ასარხარდა, მი-  
უახლოვდა, ხელი გადახვია და კარისკენ  
წაიყვანა. ქრისტინე გვერდზე აეკრა და  
უაზროდ გაუღიმა.

ბაქანზე გავიდნენ, რეზო მობრუნდა,  
ბინაში შემოვიდა და კარი შიგნიდან  
ჩაეკეტა... კედელს მიეყრდნო ზურგით,  
შემდეგ ნელ-ნელა ჩასრიალდა და  
იატაკზე დაჯდა...

კარზე კვლავ კაკუნი გაისმა, შემდეგ  
ხარიც აწკრიალდა.

– რეზო, რა მოგივიდა, გააღე!

პასუხად ისევ გიჟური სიცილი გა-  
ისმა... ქრისტინეს თვალებში ნაპერ-  
წკლებმა გაკვესა, კარს წიხლი ჰკრა.

– ვირი! – ჩაილაპარაკა და კიბე  
ჩაირბინა.

რეზო იატაკზე იწვა მოკრუნჩხული.  
ლოყა ცივი პარკეტისათვის მიედო და  
უაზროდ გასცქეროდა დახეულ  
ფლოსტებს. თვალსაც კი არ ახამხამებ-  
და. კარგა ხანს იწვა ასე, შემდეგ წამოდ-  
გა, კედლიდან ჩამოსხნა ქრისტინეს პორ-  
ტრეტები და აბაზანაში შეიტანა. ძლივს  
მოძებნა ასანთი, გაჰკრა და სურათებს  
მოუკიდა. სურათები ძნელად იწვოდა.  
მთელი აბაზანა სქელი, ნაცრისფერი კვამ-  
ლით გაიბუღა. თვალები ეწვოდა, ცრემ-  
ლები სდიოდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ  
მაინც არ გადიოდა. ბოლოს, დაიფერ-  
ფლა სურათებიც, კვამლიც შეთხელდა.  
შვება იგრძნო. მოხვეტა ფერფლი, უნი-  
ტაზში ჩაყარა და ჩარეცხა...

კიბეზე ნელ-ნელა ავიდა. ხარის  
ღილაკს გაუბედავად მიაჭირა თითი.

კარის უკან ნაცნობი ფრთხილი ნაბიჯე-  
ბის ხმა მოესმა. ვიღაც მოიპარა და  
საჭვრეტში გამოიხედა. კარი გაიღო.  
კართან კოლა იდგა. ორ თვეზე მეტი  
იყო, რაც არ ენახა. ძლიერ გამოცვ-  
ლილიყო, თვალები ჩასცვენოდა, უფრო  
გამხდარიყო, ისედაც ამობურცული  
ყვრიმალები, კიდევ უფრო ამობურცოდა,  
ლოყები კი თითქმის ერთმანეთზე მიჰ-  
კვროდა.

– ო, რეზო, შენა ხარ?! სად დაიკარგე,  
რატომ არსად ჩანხარ?! ზუსტად დროზე  
მოხვედი! ახლავე კარგ გუნებაზე დაგაყ-  
ენებ, – გულღიად გაუღიმა.

ოთახში, როგორც ყოველთვის, მო-  
საწვევის სქელი ბოლი იდგა, „ბაიანებს“  
ატრიალებდნენ.

– არ გაიკეთებ?

– არა, თავი მტკივა, გვერდით ოთახ-  
ში წამოვწვები.

– როგორც გენებოს, – კოლამ კვ-  
ლავ გაიღიმა.

„დამცინის!“ – გაუელვა თავში. ქრის-  
ტინე მოაგონდა, სახეში სისხლი მოაწვა,  
მაგრამ არა... კოლა ალალი ბავშვივით  
იღიმებოდა.

– იქ ლაშაა თავისი გოგონათი, აქეთ  
გამოაგდე.

„გოგონას“ გაგონებაზე გული გადა-  
უქანდა, ეგონა, კოლა ქრისტინეს შესახ-  
ებაც ჰკითხავდა რამეს, მაგრამ არაფერი  
უკითხავს, ისევ უაზროდ იღრინებო-  
და.

გვერდით ოთახში ბნელოდა. შუქი  
ანთო. საწოლზე ქალ-ვაჟი იწვა, წელს  
ქვევით ორივე შიშველი იყო. ტუნები  
ზიზღმა დაუძანჭა, რატომღაც მოუნდა,  
წიხლით შესდგომოდა მათ. მიუახ-  
ლოვდა. მოსიყვარულე წყვილი კვ-  
ლავ განაგრძობდა ნებივრობას და ვერც  
ამჩნევდა, რომ ოთახში უკვე შუქი ენთო.

რეზომ მოურიდებლად მოუტყაპუნა  
ხელი მხარზე ვაჟს. იგი ახლალა გამო-  
ერკვა და დაწითლებული თვალებით, დაბ-  
ნეულად შეხედა.

– შენ ლაშა ხარ?

– ჰო-ო...

– მერე, ლაშა, სხვის საწოლში რომ  
ფეხსაცმელებით არ უნდა ჩაწვე, არ იცი?!  
ლაშამ პირი დააღო. იგი რეზოს  
ცხოვრებაში პირველად ხედავდა.

– ეს შენი საწოლია?

– ჰო! – კბილებში გამოსცრა რე-  
ზომ, უკვე ადამიანის სახე აღარ ედო.

– ბოდიში, – უშნოდ გაწვლა ლაშამ  
და ზღაზვნით წამოდგა.

გაგრძელება იქნება


# ტოიოს ავტოსადონი: ევროპა აზიის წინააღმდეგ

ტოიო-2001 (შოუ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება) იაპონელ მწარმოებელთა ბენეფისად იქცა. ჯერ მარტო „ტოიოტამ“ თავის შვილობილ კომპანია „დაიჰაცუსთან“ ერთად, 10-ზე მეტი სერიულად სულ ცოტა, 29 კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინა, მათ შორის სრულიად გამორჩეულად მიიჩნევენ როდსტერ FSX-ს. 6 პრემიერა ჰქონდა კომპანია „ნისანს“; ავტოსალონზე ფართოდ იყო წარმოდგენილი აგრეთვე „მიცუბიშის“, „სუბუკის“, „ჰონდას“ და „მაზდას“ პროდუქცია.

მათთან შედარებით, ევროპული და ამერიკული კომპანიების სტენდები ოდნავ უფრო ღარიბულად გამოიყურებოდა: მათი მთავარი პრემიერები უკვე შედგა ფენიკსში, ტურინსა და ფრანკფურტში.

და მაინც, ისეთმა გიგანტებმა, როგორებიც არიან „დაიმლერ კრაისლერი“ და „ფოლკსვაგენი“, მაინც მოახდინეს ტოიოში რამდენიმე სენსაცია. ამერიკულ-გერმანულმა კორპორაციამ ფუტურისტული MERCEDES F 400 CARVING-ი, VW-მ კი – 600 ცხ. ძალიანი სპორტული კუპე W12 წარმოადგინა: ამ უკანასკნელმა სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიო რეკორდი დაამყარა: იტალიაში მოწყობილი ცდებისას ამ „ფოლკსვაგენმა“ 7085,7 კმ მანძილი, 24 საათში, 295,24 კმ/სთ

იაპონიის დედაქალაქის საგამოფენო კომპლექს „მაჯუხარიში“ ამ ცოტა ხნის წინ გამართული საავტომობილო დათვალიერება მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ავტომოუდ არის მიჩნეული. დამთვალიერებელთა სიუხვით ტოიოს ავტოსალონი ევროპის უმსხვილეს – ფრანკფურტის ავტოსალონს უახლოვდება და მხოლოდ მონაწილე ფირმების რაოდენობით თუ ჩამორჩება.



Mercedes F400 Larving

საშუალო სიჩქარით დაფარა. „ფოლკსვაგენის“ მეგვეურები აცხადებენ, რომ სწორედ აზიას განიხილავენ, როგორც ყველაზე პერსპექტიულ ბაზარს: მხოლოდ შარშან ამ რეგიონში გერმანულმა კონცერნმა 350 ათასი ავტომობილი

გაყიდა. საინტერესოა, რომ იაპონური ფირმების კონკურენციის მიუხედავად, „ფოლკსვაგენმა“ მყარად დაიკავა შესამჩნევი ადგილი ამომავალი მზის ქვეყანაში: იაპონიაში გაყიდული ყოველი მეოთხე ავტომობილი კონცერნის ჯგუფის ქარხნების მიერ არის გამოშვებული.

საერთოდ კი, ტოიოში, დღევანდელ მსოფლიო ავტომრეწველობაში არსებული ორი ტენდენცია გამოძვლავნდა. ევროპელ და ამერიკელ მწარმოებელთა მთავარი მიმართულება სისწრაფე და სიმძლავრეა, რომელიც უსაფრთხოებასთან არის შერწყმული. მაგალითად, სპორტული OPEL ASTRA OPC X-TREME-ის ძრავა 444 ცხ.ძ-მდე, VOLKSWAGEN W12 COUPE კი – 600 ცხ.ძ-მდეა ფორსირებული. იაპონელები ახლა აქცენტს არა სისწრაფეზე, არამედ ეკოლოგიასა და ეკონომიაზე აკეთებენ: ამ ქვეყნის ყველა მთავარ ავტომწარმოებელს გეზი პრინციპულად ახალი – წყალბადისა და ე.წ.



46 №47 22.11.2001 **გზა** Toyota Rugged Sport Coupe RSC



პიბრიდული ძრავებისკენ აქვს აღებული, რომელშიც ტრადიციული ბენზინის ძრავა ელექტროამძრავთან არის შერწყმული. „ტოიოტამ“ უკვე გამოაცხადა, რომ 2 წელიწადში მზად იქნება, გამოუშვას წყალბადის სერიული ავტომობილი.

ამ თვალსაზრისით, ევროპელებიცა და ამერიკელებიც ჩამორჩებიან იაპონელებს: ამგვარი მანქანები ძველ და ახალ სამყაროში მხოლოდ 2010 წლისთვის თუ გამოვა.

სულ ცოტა ხანში იაპონურ ბაზარზე „ტოიოტას“ მიერ წარმოებული ყველაზე ეკონომიური ავტომობილი – ES3 გამოვა, რომელიც 100 კმ-ზე 3 ლ-ს დახარჯავს. იაპონელებმა ფუნქციურობისა და დიზაინის სფეროში განხორციელებული ექსპერიმენტებითაც გამოიჩინეს თავი. „ნისანის“ მიერ ტოკიოში ნაჩვენები მსოფლიო პრემიერებიდან სპეციალისტები განსაკუთრებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ კონცეპტკარ NAILS-ს, ექსპლადგილიან ვენ KINO-სა და IDEO-ს. ეს უკანასკნელი ჟურნალისტებმა უკვე მონათლეს მომავლის მანქანად: ხელსაწყოთა ტრადიციული პანელის ნაცვლად, ეს ავტომობილი 117 სმ სიგრძისა და 2 სმ სიმაღლის დისპლეით არის აღჭურვილი.

ექსპოზიციის მწვერვალად კი მაინც „სუბარუს“ კონცეპტ-კარი WX-01 იქცა. ეს 7 ადგილიანი ავტომობილი (სავარძლები მას სამ რიგად აქვს მოწყობილი) სრულამძრავიანია, სანათები კი ელექტრონიკით იმართება.

„ისუძუმ“ მრავალფუნქციური ვენი ZEN-ი წარმოადგინა, რომლის სალონი როგორც მობილურ




Volkswagen W12 Coupe

ოფისად, ასევე მეგობრების თავშეყრის ადგილად შეიძლება გამოიყენოს კაცმა. „მიცუბის“ ახალი მოდელი SPACE LINER-ი, მომავლის უნივერსალის ტიპური ნიმუშია. საინტერესოა, რომ მისი დიზაინი – ევროპელი ოლივიე ბიულის შექმნილია. ეს ფაქტი ყველაზე მეტყველად გამოხატავს იაპონურ ავტომრეწველობაში დღეს არსებულ სიტუაციას: „მიცუბისში“ ხომ, ფაქტობრივად, „დაიძლიერ კრაისლერის“ შვილობილი ფირმაა. გარდა ამისა, ქვეყნის 10 უმსხვილესი ავტომწარმოებელიდან, იაპონურ კაპიტალს მთლიანად მხოლოდ 2 კომპანია – „ტოიოტა“ და „ჰონდა“ ეკუთვნის, დანარჩენები კი იძულებულნი იყვნენ, თავიანთი აქციების პაკეტები უცხოელი კონკურენტებისთვის მიეყიდათ. ასე რომ, ის დრო, როდესაც იაპონური მანქანების ექსპანსია თვით ევროპულ და ამერიკულ კომპანიას ყოფნა-არყოფნის საფრთხესაც კი უქმნიდა, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა. თუ, ვთქვათ, 1991 წელს იაპონელებმა გერმა-

ნიაში 578 ათასი ავტომობილი გაყიდეს, 2000 წელს ეს მაჩვენებელი 244 ათასამდე შემცირდა. „გულხელდაკრეფილები მაინც ვერ ვისხდებით, – ამბობს გერმანიის საავტომობილო მრეწველობის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი რაინერ ტიმე, – ვფიქრობ, იაპონელთა კონტრდარტყმა დიდხანს არ დააყოვნებს“.

მართლაც, სიძნელების მიუხედავად, ბოლო წლებში იაპონელები თითოეულ იენას საზღვარგარეთ არსებული საწარმოების განვითარებას ახმარდნენ. „ტოიოტას“ პოპულარულ მოდელს – YARIS-ს 2001 წლის იანვრიდან საფრანგეთში აწარმოებენ. ამავე სტრატეგიას სხვა იაპონური ფირმებიც მისდევენ: მხოლოდ ევროპაში, მათ 14 ქარხანა აქვთ 10 ქვეყანაში და 1,35 მლნ ავტომობილს აწარმოებენ ე.ი. ორჯერ მეტს, ვიდრე ხუთიოდე წლის წინ. იაპონური მანქანების რეალიზაციით ე.წ. ძველ სამყაროში 2200 ავტორიზებული დილერია დაკავებული.



Subaru Wx-01



Mitsubishi Space Liner



# ბრძანებებს მისცა ქვეყნის სამთავროს გაერო

ქართველი მსმენელი უკვე კარგად იცნობს რუსიკო ბახტაძის შემოქმედებას. ერთ-ერთი მისი ბოლო ნამუშევარი – სიმღერა „ჯეირანი“ (თიკა ჯამბურის შესრულებით) განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი ბლიც-ინტერვიუც ამ კლიპზე საუბრით დავიწყეთ.

— „ჯეირანი“ იდეა ბაკურ ბაკურაძეს ეკუთვნის. კლიპი ძალიან ლამაზად არის გადაღებული, თვითონ სიმღერა კი, ასე ვთქვათ, ჩემთვის ნაკლებად დამახასიათებელი, ახალ სტილშია დაწერილი. ეს არ არის ჩემი შემოქმედების გამეორება.

— რამდენადაც ვიცი, თიკასთვის ახალ სიმღერებზეც მუშაობთ...

— უფრო სწორად – ალბომზე. ვაპირებ სიმღერის – „ვინ გაიგებს“ თიკას რეპერტუარისთვის გარემიქსებას. ეს ამ სიმღერის ჩემი მეორე რემიქსული ვარიანტი იქნება, საერთოდ კი – უკვე მეოთხე. სიმღერამ – „ვინ გაიგებს“ უკვე სამი თაობა გამოიარა და ისევ პოპულარული რჩება. მისი ჩაწერის შემდეგ კლიპის გადაღებაზე დავიწყებთ მუშაობას.

— სხვა რაიმე სიახლაც იქნება თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში...

— ექსკლუზიურად გავიმხელთ: პირველი შემთხვევაა, როდესაც არა ჩემი მოსწავლისთვის, არამედ სხვა მომღერლებისთვის ვწერ სიმღერას: ესენი არიან მაია ჯაბუა და თემურ თათარაშვილი. გარდა ამისა, თიკას ვაშხალებ გადაცემისთვის – „ოქტაგონზე“, დათო ხუჯაძესთან შესახვედრად, რის შემდეგაც მათი ერთობლივი დუეტის ჩაწერა გვაქვს დაგეგმილი. ■

# ზუკა ხუციშვილი საცხატოების სელტუნემასაც ეუბლება

ზუკა ხუციშვილმა ქართულ ესტრადაზე საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. მის სასაბუთო ვოკალს უამრავი თავყვანისმცემელი ჰყავს. თვითონ ნორჩი მომღერალი კი, შესაშური შრომისმოყვარეობით განაგრძობს მუშაობას და თავყვანისმცემლებს უამრავ ახალ სიმღერას ჰპირდება.

— ზუკა, მართალია, რომ ერთდროულად ბევრ სიმღერაზე მუშაობ?

— დიახ. ძალიან ძალიან მსმენელებს რამდენიმე ახალ დუეტს წარვუდგენ – რომა რცხილაძესთან, დათო ფორჩხიძესა და სხვა მომღერლებთან ერთად. მაქვს ლილიკო ნემსაძისა და ირინა სანიკიძის სიმღერებაც. ერთი უკვე ჩაწერე რამდენიმე დღის წინ. მინდა, რომელმე მათგანზე კლიპიც გადავიღო.

— საკუთარი სიმღერებიდან, რომელს გამოარჩევდი?

— „ქუჩის ბიჭებთან“ და მამასთან ერთად ნამღერ დუეტებს. ქართველი მომღერლებიდან კი, ძალიან მიყვარს მერაბ სეფაშვილი.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— თავისუფალი დრო ცოტა მაქვს. ისე, მიყვარს ფეხბურთის თამაში და ბრაზილიის ნაკრებს ვქობავ. ფეხბურთელებიდან გამორჩეულად, რივალდო მიყვარს.

— მომავალში სპორტსმენობას ხომ არ აპირებ?

— ფეხბურთის ყოველთვის ვითამაშებ, მაგრამ მაინც მომღერალი მინდა ვიყო. პარალელურად, საქსოფონისტის ხელოვნებასაც ვეუფლებ.

— რაზე ოცნებობს ზუკა?

— ბავშვური ოცნებაა, მაგრამ მაინც ვიტყვი: მინდა, ადამიანებს, ავტომანქანების ნაცვლად, მესამე ათასწლეულში თვითმფრინავები ჰქონდეთ. ■

# დათო დთაშვილს ცხოვრების სელტუნემაც გადაეცემა

განმარტებული სპექტაკლის – „ჯინსების თაობის“ რეჟისორი დათო დთაშვილი ცოტა ხნის წინ მუსიკალური კლიპის ავტორად მოგვევლინა. ცნობილი გახდა, რომ ძალიან იგი მსმენელებსა და მსახივრობაზე ახალი მიუზიკლის წარდგენასაც აპირებს. დაგეგმილი აქვს აგრეთვე ახალ სპექტაკლზე მუშაობის დაწყება და უამრავი კლიპის გადაღებასაც სთავაზობენ.

— კონკრეტულად, რომელი პიესის დადგმას აპირებთ?

— ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს. არსებობს ოთხი ვარიანტი და იქიდან ერთს ავირჩევ.

— მაყურებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ჯინსების თაობით“ ახალი არაფერი თქმულა...

— მაყურებელთა აზრი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ მე პირადად მსგავსი არ მსმენია. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მინდოდა, მომეხდინა „თვითმფრინავის ბიჭების“ „რეაბილიტაცია“ და მიმჩნია, რომ ეს შეეძლებოდა.

— რამდენად ექსტრავაგანტურია თქვენი იმიჯი?

— ექსტრავაგანტური არ ვარ, უბრალოდ, ვარ ისეთი, როგორც ვარ. იმიჯი მაქვს, მაგრამ მასზე არ ვფიქრობ. ამასთან, მიჩნევიან, ჩემი საქმე ყოველთვის „მიწისქვეშეთში“ ვაკეთო...

— თქვენი ნამუშევრებიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სირთულეები გიზიდავთ...

— პირიქით – ცხოვრების გამარტივებას ვცდილობ. ამ მხრივ, არც ჩემი პროფესიული საქმიანობა გამონაკლისია.

— რას ჰპირდებით მაყურებლებს?

— საერთოდ, არასდროს, არავის, არაფერს ვპირდები. ახალი მიუზიკლი და მუსიკალური კლიპი იქნება.

— რას შეცვლიდით თანამედროვე ეპოქაში?

— ბუნდოვანი ვარ, რომ დღეს, ამ დროში ვცხოვრობ. მაქვს უამრავი ოცნება. ერთ-ერთი: გადავაქციო ცხოვრება ხელოვნებად. ■

— თქვენი ნამუშევრებიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სირთულეები გიზიდავთ...

— პირიქით – ცხოვრების გამარტივებას ვცდილობ. ამ მხრივ, არც ჩემი პროფესიული საქმიანობა გამონაკლისია.

— რას ჰპირდებით მაყურებლებს?

— საერთოდ, არასდროს, არავის, არაფერს ვპირდები. ახალი მიუზიკლი და მუსიკალური კლიპი იქნება.

— რას შეცვლიდით თანამედროვე ეპოქაში?

— ბუნდოვანი ვარ, რომ დღეს, ამ დროში ვცხოვრობ. მაქვს უამრავი ოცნება. ერთ-ერთი: გადავაქციო ცხოვრება ხელოვნებად. ■



# კიმ ბესინჯერმა ემინემი „შეამა“



ჰოლივუდის მსახიობმა კიმ ბესინჯერმა ახალ-გაზრდობის განსვენება გადაწყვიტა და თავისი მზერა მომღერალ მარშალ ბრიუს მატერსს მიაპყრო, რომელიც ემინემის ფსევდონიმით არის ცნობილი და თითქმის 20 წლით არის კიმზე უმცროსი. კოცნით გართული წყვილი რეპერის ცხოვრების ამსახველი ფილმის გადაღებების დროს ნახეს, სადაც ბესინჯერი ყმაწვილის დედის როლს ასრულებდა. როგორც გადაღებები ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, ვარსკვლავები ბედნიერად გამოიყურებოდნენ და კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, თუმცა, თავიდან 47

წლის ბესინჯერი თავს ცოტა უხერხულად გრძნობდა, რადგან 29 წლის მომღერალთან სასიყვარულო ურთიერთობისთვის თავი მეტიმეტად ასაკოვნად მიაჩნდა...

ჯერჯერობით ვარსკვლავები თავიანთი ურთიერთობის აფიშირებისგან თავს იკავებენ და ხალხში ერთად არ ჩნდებიან, მაგრამ ასაკის გარდა, მათ ბედნიერებას წინ არაფერი ელოდება. შარშან ბესინჯერი ქმარს – ალექ ბოლდუინს გამოორდა, ემინემი კი, სულ ცოტა ხნის წინ თავის ცოლს – კიმბერლის გაეყარა.

## მაიკლ ჯექსონი მელთეცი ყთფილა

შოუბიზნესის წრეებში დიდი ხანია დადის ჭორი იმის შესახებ, რომ მაიკლ ჯექსონი პარიკს ატარებს და სინამდვილეში თავზე ერთი ღერი თმაც არ აქვს და ამას „პეპსის“ აბრალევენ: ამბობენ, რომ ჯერ კიდევ 1984 წელს „პეპსის“ სარეკლამო რგოლის გადაღების დროს საშინელება დატრიალდა – მაიკლი გადასაღებ მოედანზე გაჩენილი ხანძრის მსხვერპლი გახდა, კანი დაეწვა და მას შემდეგ თურმე სრულიად გამელოტდა. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ჯექსონმა მანამდე შერჩენილი რამდენიმე ღერი თმა მაშინ ამოიგლიჯა, როცა მას პოპულარობით საგრძნობლად გაუსწრო ახალგაზრდა ბრიტნი სპირსმა. ჯექსონის ახალი ალბომი INVINCIBLE ბრიტანულ ჩატებში მე-5 ადგილს ვერ ასცდა, მაშინ, როცა ბრიტნის შემოქმედებამ ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.



## პოლიციამ ტომპერტ რე ნიტის თბერული დააპაფიმა



ამერიკულმა პოლიციამ დააკავა თაღლითი, რომელიც თავს რობერტ დე ნიროდ ასაღებდა. ცნობილი მსახიობის ორეული არა მარტო ავტოგრაფებს ურიგებდა ფანატებს, არამედ დე ნიროსთან მსგავსებას დანამაულებრივი მიზნითაც იყენებდა: როგორც გაზეთი NEW YORK POST-ი იტყობინება, მან საკრედიტო ბარათი გააყალბა და მაღაზიებში რობერტ დე ნიროს სახელით ახდენდა ანგარიშსწორებას.

თაღლითი შემთხვევით გამოავლინეს, როცა მსახიობს ხმა მიუვიდა, თითქოს ის ახალი ფილმის გადასაღებად ემზადებოდა. დე ნირომ პოლიციას მიმართა და დამნაშავე დააკავეს.

აღმოჩნდა, რომ დაკავებულის ნამდვილი სახელია ჯოზეფ მანუელა. საინტერესოა, რომ 51 წლის ყოფილი მეხანძრე დე ნიროს დუბლიორი იყო ფილმებში – „თავყანისმცემელი“ და „დიდი იმედები“. გამოძიების მონაცემებით, თაღლითმა დე ნიროდ თავის გასაღება ჯერ კიდევ 1999 წლიდან დაიწყო: ორი წლის წინ ამერიკული პრესა იტყობინებოდა თავაშვებული წვეულების შესახებ, რომელიც თითქოს დე ნირომ მოაწყო ქალაქ ჰემპტონსში, საიდანაც უცნობ ლამაზმანთან ერთად გაუჩინარდა. სწორედ ამ ქალის ჩვენების მეშვეობით შეძლო შემდგომში პოლიციამ დამნაშავის აღმოჩენა.



## პიტს მტისნანი პლანეტის ყვლაზე სეფსუალური მამაყაცი ყთფილა

ჟურნალმა PEOPLE ირლანდიელი პირს ბროსნანი მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელა. ყოველწლიურ სიაში, რომელსაც ჟურნალი უკვე რამდენიმე წლის მანძილზე აქვეყნებს, ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელმა საგრძნობლად გაუსწრო ისეთ პოპულარულ მამაკაცებს, როგორებიც არიან რიჩარდ გირი, ბრედ პიტი, ჯორჯ კლუნი და ჰარისონ ფორდი.

ჟურნალმა პლანეტის ყველაზე სასურველი მამაკაცების სია გარკვეული კატეგორიების და ნომინაციების მიხედვით გაანაწილა. ახალგაზრდა თაობის მამაკაცებს შორის ყველაზე სექსუალურად, მსახიობი ბენჯამინ ბრატი აღიარეს, კლასიკური ჟანრის მუსიკოსებს შორის – ვილონჩელისტი იო-იო მა.

ნომინაციაში – „ყველაზე სექსუალური მსოფლიო ლიდერი“, გამარჯვება მექსიკის 59 წლის პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა მოიპოვა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ბროსნანს ეს წოდება აგენტ 007-ის როლის შესრულებისთვის კი არა, „ხასიათის, ქარიზმისა და სახის უნაკლო ნაკვთების“ გამო მიანიჭეს. მსახიობმა კი აღნიშნა, რომ არასოდეს მიუძღროდა პლასტიკური ქირურგებისთვის და ერთადერთი, რაც მან გარეგნობაში შეიცვალა – ეს კბილებია.



იაპონიაში ოფიციალურად პროსტიტუცია აკრძალულია, ამიტომ გარყვნილების ბუდეებად ძირითადად, ზოგიერთ რაიონში განთავსებული სექს-კლუბებია ქცეული. ეს დაწესებულებები ოფიციალურად ფუნქციონირებს, გადასახადებსაც იხდის და იმ სახეობის მომსახურებას უწევს კლიენტს, რომელსაც ის ითხოვს. ამ „წერტილების“ მეპატრონენი კატეგორიულად უარყოფენ სიტყვას „ბორდელი“...

# ბეიშუა ჩვეულებრივი მუძავი რაიონია

## იუძო და გეიშა

პროსტიტუცია იაპონიაში უხსოვარი დროიდან არსებობს. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, ქვეყნის დედაქალაქ კიოტოსა და სავაჭრო, ცენტრ ოსაკაში „თავისუფალი სიყვარულის“ მთელი კვარტალები არსებობდა, რომელიც გარეგნულად, თითქმის არც შეცვლილა. ამ ადგილების მნახველი ძველი მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ „წითელი ფარნების“ იაპონური კვარტალები სულაც არ ჰგავდა ევროპულს: ისინი ყვავილების სიუხვით, ღამაზე ექსტერიერთა და მეპატრონეთათვის დამახასიათებელი არისტოკრატიული სინატ-იფით გამოირჩევაო...

ძველი იაპონიის მესაჯენი, რბილად რომ ვთქვათ, პროსტიტუციას ალმაცერად უყურებდნენ. არადა, სხვაგვარად, როგორ შეიძლებოდა „მარტოხელა მამაკაცის“ პრობლემის გადაჭრა?! სწორედ ამიტომ, ქალაქებში ყალიბდ-

ბოდა ცალკეული უბნები, სადაც მეძავები მიჰყავდათ და წესრიგის დამცველთა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ათავსებდნენ.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ტოკიოში შეიქმნა „მხიარული კვარტალი“ იოსი-ჰარა, სადაც ყველა საროსკიპო იყო თავმოყრილი. დაუწერელი ჯანონით, „გარყვნილების ბუდე“ გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან და ამის საზღაურად, საიდუმლო პოლიციასთან თანამშრომლობდა ქალაქისგან ეს უბანი მაღალი კედლითა და წყლის არხით იყო იზოლირებული. „ღამის ჰეპლებს“ უბნიდან გასვლა მხოლოდ სამ შემთხვევაში შეეძლოთ: სასამართლოში გამოძახებისას, ექიმთან მისასვლელად და „მეგობართან“ ერთად, საკურას (იაპონური ჯიშის ხე) ცქერით ტკობისთვის...

აკრძალული იყო, მხიარულ კვარტალში ცხენითა და იარაღით შესვლა. იქ გამოჩენა სამურაებსაც ალკვე-

თილი ჰქონდათ, თუმცა სწორედ ისინი იყვნენ იაპონელ მეძავთა ძირითადი კლიენტები, მაგრამ ამას მალულად სჩადიოდნენ. ღამით კვარტალის ალაყაფს ბოქლომს ადებდნენ, მაგრამ სტუმრებს იქ დილაამდე დარჩენის უფლება ეძლეოდათ.

მოხდენილად ჩაცმული გოგონები – იუძო, „მხიარული“ სახლების აივნებზე ისხდნენ. როგორც წესი, ისინი თავიანთი კლიენტების „მეორე ცოლები“ იყვნენ: არა მარტო საროსკიპოში, არამედ საჩაიებშიც ახლდნენ მათ, სადაც იაპონური საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი ატარებდა ხოლმე დროს. იქ სტუმარს ჯერ მწვანე ჩაის ან საკეს მიართმევდნენ, ამის შემდეგ კი, დელიკატურად ჰკითხავდნენ – „მხიარულ სახლში“ აპირებდა წასვლას თუ გოგონა საჩაიეში მოეყვანათ, სადაც საამისოდ მოწყობილი ოთახებიც ჰქონდათ?..

ასე გრძელდებოდა მეთვრამეტე

საუკუნის შუა პერიოდამდე, როცა იოსივარაში პირველი გეიშები გამოჩნდნენ. საოცარია, მაგრამ პირველი გეიშები... მამაკაცები ყოფილან. თვით ეს სიტყვა დაახლოებით, „გართობის ოსტატს“ ნიშნავს და ეს ოსტატები, მომღერლის, ხუმარის, თამადისა და კიდევ უამრავი სხვა თვისების მქონე ადამიანის თვისებებს აერთიანებდნენ. მხიარული კვარტალების სტუმრები სულაც არ მისდევდნენ „შიშველ“ სექსს – იქ გასართობად, საკეს დასალევად, საცეკვაოდ და სასაუბროდ დადიოდნენ.

მაგრამ პირველი გეიშა ქალის გამოჩენის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. მოულოდნელად, მხიარული კვარტალების გოგონამ მისთვის უჩვეულო ფუნქცია იტვირთა: მას სასიამოვნო თანამოსაუბრისა და დროს ტარების ორგანიზატორის მისია დაეკისრა. მამაკაცებს ეს მოეწონათ და სულ მალე, ოუძოს სხვა ქალებმაც მიჰბადეს – ისინი არა მარტო სარეცელში უძღვნიდნენ მამაკაცებს ნეტარების წუთებს, არამედ საინტერესო საუბრით, გონაბამაზვილობით, ენაკვიმატობით, ცეკვით, ლექსითა და სიმღერით აართობდნენ მათ. მამაკაცი გეიშაც მალე ჩაბარდა ისტორიას – დროს ტარებისას, მამაკაცებს მიმზიდველ ქალთან ურთიერთობა გაცილებით მეტად სიამოვნებდათ.

რაც შეეხება სექსს – გეიშისთვის ის სულაც არ წარმოადგენდა კლიენტთან ურთიერთობის ნორმას და ყველაფერი, მათ შორის წინასწარ მიღწეულ შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. საგულისხმოა, რომ გეიშებს მეძა-

ვისთვის საჭირო სამთავრობო ლიცენზიაც კი არ ჰქონდათ, ამიტომაც, ზოგიერთ მათგანს საზოგადოების უმადლეს ფენებშიც შეუღწევია, რადგან ისინი ცხოვრობდნენ პრინციპით: ვმუშაობ ისე, როგორც შემიძლია, მიყვარს ის, ვინც მინდა.

**ცვლილებების ხანა**

მიუხედავად იმისა, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში პროსტიტუცია ოფიციალურად მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აიკრძალა, ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, არ გამქრალა. უბრალოდ, „ღამის პეპლები“ იატაკქვეშეთში გადავიდნენ – აბანოებში, საჩაიებში, ბარებსა და სიყვარულის არალეგალურ ოტელებში გადაინაცვლეს. უცხოელებთან ურთიერთობის შედეგად, იაპონელმა კურტიზანმა ქალებმა, თავიანთი ამერიკელი და ევროპელი კოლეგების ყაიდ-აზეც ააწყვეს საქმე და ტრადიციული კოლორიტი და პეწიც შეინარჩუნეს.

სიყვარულის დღევანდელი იაპონური ოტელები საკმაოდ ექსტრაგავანტური დაწესებულებებია. ფართო საწოლიანი ტრადიციული ნომრის გარდა, იქ საკმაოდ უჩვეულო „გასართობსაც“ შემოგთავაზებენ. მაგალითად, ზოგიერთ დაწესებულებაში წყვილს შეუძლია, სპეციალური გორგოლაჭით პირდაპირ დიდ აბაზანაში ჩაცურდეს და იქ მიეცეს სასიყვარულო ნეტარებას; შემდეგ გორგოლაჭი მას სარკეებიან ოთახში გადაიყვანს, სადაც მბრუნავი წრე და წყლის მატრასი დახვდება... ასორტიმენტში ე.წ. „სასიყვარულო საქანელაც“ შედის, რომელიც ეროტიკულ სიამ-

ონებათა გასამძაფრებლად არის მოგონილი...

იაპონიის დიდ ქალაქებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს ორიგინალური მაღაზიები, რომელიც ერთი შეხედვით, არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი სავაჭრო ობიექტისაგან. იქ ქალის სხვადასხვაგვარი ტანისამოსი და საცვლები, მათ შორის, წარმოიდგინეთ, სასკოლო ფორმაც კი იყიდება... ამ მაღაზიებს უმეტესად, სოლიდური ბიძიები სტუმრობენ ხოლმე, რომლებიც საგულდაგულოდ იქექებიან თაროებზე დახვეწებულ, სკოლის ასაკის გოგონების ნახევრად შიშველ ფოტოსურათებში. ამ გოგონებს ჯომეკუსის ეძახიან – გოგონებს, რომლებიც თავიანთ ნახმარ საცვლებს ყიდიან: იმის ნაცვლად, რომ სარეცხ მანქანაში ჩაუძახონ, ეს ფხიანი მოზარდები სპეციალურ მაღაზიებში გარბიან, სადაც მათ „მსუბუქ“ პოზებში უღებენ სურათებს, შემდეგ კი, შესაბამის საფასურად, მათგან საცვლებს იძენენ. შემდეგ ეს „პროდუქცია“, გოგონას ნარნარი ხმის ჩანაწერიან აუდიოკასეტასთან ერთად, საკონსერვო ქილაში თავსდება და მომავალი მუშტრის მოლოდინში, მაღაზიის თაროზე იდება. სწორედ ასეთი ადამიანები – ე.წ. „ეროტომანი-მყნოსავები“ სტუმრობენ აღნიშნულ მაღაზიებს. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ჯომეკუსის სურნელის სიმძაფრის შენარჩუნების მიზნით, საცვლებს, ქილამდე, ცელოფანის პარკში ათავსებენ. ასეთ მაღაზიებში ნორჩი გოგონას ნერწყვის შექმნაც ყოფილა შესაძლებელი, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს – დაახლოებით 20 დოლარი 10 მგ-იანი „ულუფისთვის“...

თანამედროვე იაპონიის გასართობი ეროტიკული დაწესებულებები ბევრი რამით ჰგავს ტრადიციულ ევროპულს, მაგრამ რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი აქვს. უპირველესად, იაპონურ მენტალიტეტში გაუთვითცნობიერებელ ტურისტებს ძალიან ეუცხოებათ ის, რომ ზოგიერთ სასიყვარულო დაწესებულებაში კატეგორიულად არ უშვებენ უცხოელებს, – რაოდენ დიდი თანხაც არ უნდა გადაიხადონ. ამგვარი დისკრიმინაციის ერთ-ერთ მიზეზად, იმას ასახელებენ, რომ სურთ, ამგვარად თავი დაიცვან იმ ებიღემიური დაავადებებისგან, რომელიც საზღვარგარეთ არის გავრცელებული.

მეორე მიზეზი ის არის, რომ დაწესე-



ბულებებში, რომლის სტუმრობა ალკვეთილი აქვთ უცხოელებს, შოუ უფრო „კონსტრუქციულ“ ხასიათს ატარებს: არც ევროპაში და არც ამერიკაში, ჩვეულებრივ, მსგავსი დაწესებულებების შოუპროგრამებში მონაწილე გოგონების ხელის ხლება ნებადართული არ არის, იაპონურ შოუში კი, სტუმარს არა მარტო ობიექტის ყურების, არამედ მისი მოფერების უფლებაც ეძლევა.

იაპონიაში პოპულარულია ე.წ. სექს-ექსტრემის ვეტერანებისთვის გათვალისწინებული შოუპროგრამებიც, რომელსაც „ბოსტნეულის ბაზარსაც“ უწოდებენ. ამით ძირითადად, ხანში შესული ლოველასები ერთობიან ხოლმე, გართობა კი, აი, რაში მდგომარეობს: გოგონები სტუმრებს დაუვლიან და მეტ-ნაკლებად ფალოსისებრი ფორმის ბოსტნეულსა და ხილს – კიტრს, ბანანს, ვაშლსა და მცირე ზომის ნესვსაც კი – ურიგებენ. შემდეგ, ცეცხლოვანი სტრიპტიზის დასრულებისთანავე, გოგონები კვლავ ჩამოუვლიან მაგიდებს და რომ იტყვიან, სტუმრების განკარგულებაში არიან... თამაშის კიდევ ერთ პიკანტურ ნიუანსს ის წარმოადგენს, რომ ამ სასაცილო აქტამდე, გოგონა ხილ-ბოსტნეულს პრეზერვატივს აცვამს – იმის ხაზგასმელად, რომ ჰიგიენა – უპირველესი საზრუნავია...

დამაბი

ცოტა ხნის წინ, ევროპელი მება-



ჟეები გაკვირვებულნი იყვნენ ხოლმე, როცა იაპონიიდან დაბრუნებული ტურისტების ბარგში სხვადასხვა ფერის წვრილ ბაწრებს პოულობდნენ. როცა მის დანიშნულებაზე ეკითხებოდნენ, ამგვარი „სუვენირების“ დარცხვნილი პატრონი, ჩვეულებრივ, გაურკვევლად ამოილულულუღებდა ხოლმე რაღაცას... ბოლოს და ბოლოს, გონებაგახსნილმა მებაჟეებმა დაადგინეს, რაში იყო საქმე: თურმე ეს ბაწრები ეროტიკული თამაშის – შიბარიტო წოდებული იაპონური ხელოვნების აუცილებელი ატრიბუტია. მისი არსი თავისებური ეროვნული საღო-მაზო ყოფილა.

პრაქტიკოსმა იაპონელებმა მიიჩნიეს, რომ საღო-მაზოხისტური მიდრეკილებით შეპყრობილი ადამიანის წამება, წკპლით, ხელბორკილებითა და სხვა სატანჯველი საგნებით, ძალიან არაპუმანურია. ამ კატეგორიის ადამიანის სექსუალური დაკმაყოფილებაც, გაცილებით უკეთ, მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილის წვრილი ბაწრით მაგრად გადაჭერის საშუალებით შეიძლება. შიბარიტი ეროტიკული თამაშის უამრავ ელემენტს შეიცავს, მათ შორისაა: სექსუალური სიამოვნება, სანახაობის მხატვრული და ინტელექტუალური აღქმა, მედიტაცია.

„ღაბმისას“, წერტილოვანი მასაჟის – ე.წ. შიაცუს მეტოდებს იყენებენ. განსაკუთრებული ეფექტი იმით მიიღწევა, რომ გარკვეული წესით შეკრული ბაწრები და კვანძები, კანზე ხახუნისას, ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე მოქმედებს და ადამიანს იმისდა მიუხედავად

ალაგზნებს, უნდა თვითონ მას ეს თუ არა. ბევრი მამაკაცი სპეციალურ იაპონურ სალონებში მხოლოდ იმისთვის დადის, რომ გაბაწრული ქალის წვალეების ცქერით დატკბეს, თანაც, ამ სანახაობის „ასორტიმენტში“, გაბაწრის სხვადასხვაგვარი სახეობა და „ობიექტის“ ათასგვარი პოზა შედის, – თუ საკუთრივ რომელი უნდა იქნას გამოყენებული, ამის არჩევა უშუალოდ კლიენტის პრეროგატივაა.

დახვეწილი ეროტიკული შოუ ხშირად ისე ალაგზნებს ხოლმე ამგვარი გართობის ენთუზიასტებს, რომ ისინი უკვე თვითონ გადადიან ობიექტის ამპლუაში და საკუთარ თავს აყენებენ უტყვი მონის მდგომარეობაში. ზოგიერთ სალონში ბაწრებს სპეციალურ ნივთიერებებში ავლებენ, რომელიც კანში შეღწევისას, ადამიანზე ნარკოტიკულ ზემოქმედებას ახდენს და ამით, აძლიერებს ერთი შეხედვით ნაკლებად მიმზიდველი პროცედურის ეფექტს.

ნებაყოფლობითი „მონა“ მკაცრი კონტროლის ობიექტად იქცევა, რადგან ზოგი კლიენტი იმდენად სარისკო პოზებს ირჩევს ხოლმე, რომ შეიძლება, სისხლის მიმოქცევის დარღვევის მსხვერპლი გახდეს. იაპონელებისთვის ამგვარ პროცედურებში ყველაზე მთავარი, არა ცალკეული მონაწილის შეგრძნებები, არამედ წყვილის მიერ არჩეული სექსუალური თამაშის განვითარების პროცესია.

ბოლო დროს, იაპონურ შიბაცუს ევროპელებიც ეზიარნენ, რაშიც დიდი როლი თვით იაპონელმა ქალებმა შეასრულეს: ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ევროპული ტიპის მამაკაცებისადმი. ელიტურ კლუბში მიმზიდველი იაპონელი ქალის გაცნობის შემდეგ, ევროპელი ან ამერიკელი ტურისტი თავდაპირველად, საკმაოდ ქარაფ-



შუტულად ეკიდება მის თხოვნას, სკამზე ან საწოლზე მისი მიბმის უფლება მისცეს, შემდეგ კი თავადაც იჭრება როლში და უკვე ვედარც წარმოუდგენია სასიყვარულო თამაში, შიბარუს ელემენტების გარეშე...

**ტანსრული მეძავეები**

ბაწრების მოყვარულ იაპონელ მაკაკაცებს კიდევ ერთი სისუსტე ახასიათებთ: ტანსრული და, განსაკუთრებით, მკერდსავსე ქალები უყვართ. ისინი ჭკუას კარგავენ დიდ მკერდზე და აქტიურად ყიდულობენ ამგვარი ლამაზმანების მონაწილეობით გადაღებულ პორნოფილმებს. თვით იაპონიაში ამ „სიკეთის“ სიუხვე არ შეინიშნება, ამიტომ დიდი მოთხოვნილებაა უცხოური წარმოშობის მეძავეებზე, რომლებსაც ტოკიოელი მაკაკაცები რაპონგის კვარტალში აკითხავენ ხოლმე. იქ „მომთაბარე“ ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი თუ რუსი გოგონები იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობენ ადგილობრივ მოსახლეობაში, რომ ზოგჯერ, ერთ ღამეში 2-3.000 დოლარსაც კი გამოჰკრავენ ხოლმე ხელს!

თუმცა, რაპონგში წაუსვლელადაც – ტოკიოს სხვა კვარტალებშიც შეიძლება უამრავი სიამოვნების მიღება. იაპონური ქალაქის ერთ-ერთი სახასიათო ატრიბუტი, ეროტიკულ მარჩიელთა მიკროავტობუსებია, რომლის სალონები მყუდრო ოთახებივით არის მორთული. პატარა მაგიდას, რომელზეც „სარიტუალო“ ნივთებია დახვავებული,

ნიღბიანი მარჩიელი უზის, რომელსაც ხელში პატარა ჯოხი უჭირავს. ამ ჯოხის მეშვეობით, ის აიძულებს კლიენტს, გაიხადოს შარვალი, რადგან წინასწარმეტყველებისთვის მისი მაკაკაციური ღირსების ხილვაა საჭირო...

**სადო-მაზო გულმაგარი მაყურებლისთვის**

იაპონიაში ნებისმიერი სანახაობის მოყვარულის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს – მთავარია, იცოდეს, სად უნდა ეძებო შენი მიდრეკილების შესაფერისი სიამოვნება. მაგალითად, ტოკიოში არის დაზურული თეატრები, სადაც ადამიანს, ნატურალური წამების სცენებს შეუძლია ადვენოს თვალყური...

ტოგოში არსებობს სექსის თავისებური მუხეუმი, რომელშიც არა უბრალოდ სექსის, არამედ სწორედ მისი გაუკუღმართებული გამოვლინებების ამსახველი ექსპონატებია. იქ თვალნათლივ დაინახავ, თუ ზოგჯერ რა სიმახინჯეს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის მიდრეკილება. ექსპონატებს შორისაა სადისტური სცენების ამსახველი სურათები, სხვადასხვაგვარი მოწყობილობა, საწამებელი იარაღები. დამთვალიერებელს პრიზის მოგების შანსიც ეძლევა, რისთვისაც მან წყლის პისტოლეტიდან ქალის მულაჟს შესაბამის წერტილში უნდა მოარტყას, შემდეგ კი, შეუძლია, ფლეიბისთვის შესაფერის სავარძელ-ვიბრატორში მოისვენოს, მისთვის სასურველ მრავალგვარ პოზაში...

იაპონიის კიდევ ერთი, ფრიად ეგზოტიკური ადგილია ბარი-კარაოკე, სადაც მომღერალი გოგონები ფეხებით დაკიდებულ მღვომარეობაში მღერიან. ადგილობრივ პუბლიკას ძალიან მოსწონს „ხელოვნების“ ეს სახეობა.

**ჩუმი უკუღმართები**

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთმა ჯენტლმენმა გამოსცა წიგნი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ეტმასნებოდა ავტორი ქალებს ტოკიოს მეტროში. მისი დღიური ბესტსელერად იქცა. ამ სექს-რეციდივისტს 26 წლის მანძილზე მრავალი ათასი ქალი „უსრესია“... იაპონიაში სპეციალური სექს-სალონებიც არსებობს, რომელიც მეტროს ვაგონის იმიტაციას წარმოადგენს და სწორედ იმგვარი „ტიპებისთვის“ არის გათვალისწინებული, ვინც თავიანთ სექსუალურ ემოციებს, უცხო ქალის სხეულზე მიკვრით იოკებენ...

დიდი პოპულარობით სარგებლობს სექს-კლუბი „ცურიკავა“. იქ მისული კლიენტი ჯერ დიდი ალბომის მეშვეობით ირჩევს ქალს, შემდეგ კი, მომავალი დროს ტარების სცენარს უფიქრდება. მის ფანტაზიას არაფრით არ ზღუდავენ... ბოლოს, ე.წ. მომენტი X-ი დგება: „მისაღებიდან“ გამოსული კლიენტი თითების დეზინფექციის პროცედურას იტარებს, ვიდრე „მგზავრ ქლთან“ მიახლოების აქტს შეუდგება. ისმის მატარებლის გასვლის სიგნალი და „მგზავრი“ იმპროვიზებულ ვაგონში შედის. სავარძლებზე სასკოლო ფორმებში გამოწყობილი ნორჩი არსებები მოკალათებულან: იაპონელებს რატომღაც, განსაკუთრებით უყვართ სკოლის მოსწავლე გოგონები – როგორც ჩანს, სასკოლო ფორმიანი ქალიშვილი მათ გონებაში უმანკოების ასოციაციას აღძრავს... ისმის ბორბლების ხმა, ცხადდება სადგურების დასახელებები... კლიენტები თავიანთ ულევ ფანტაზიას ახორციელებენ... თუ კლიენტს საწოლიანი კუპე მოესურვება, ან კიდევ რაიმე სხვა ატრიბუტს მოითხოვს – კი ბატონო! იქნებ, „სტიუარდესას“ ბიუსტის „მოსინჯვა“ გსურთ? რა პრობლემა?! იქ ერზაც-საკონდიტროც არის, სადაც შეიძლება, „გამყიდველი“ ქალი ტკბილ კრემში ჩააგდოთ და შემდეგ, თავიდან ფეხებამდე ალოკოთ...



# რჩევები ქალებს

## რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

### მოვიდა ზამთარი

კანი განსაკუთრებით მგრძობიარეა სიცივის მიმართ. კანის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე მოთავსებულია საშუალოდ 15-23 რეცეპტორი, რომელიც სიცივეს შეიგრძნობს, – მაშინ, როცა ამავე ფართობზე სითბოს აღმქმელი მხოლოდ სამი რეცეპტორია. სიცივეში ხანგრძლივად ყოფნისას სახის კანის სისხლძარღვები ვიწროვდება, რის გამოც მათი სისხლით მომარაგება გაძნელებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახის კანის კვება არ ხდება ისე, როგორც საჭიროა. კანი შრება, იქერცლება და ჭკნობას იწყებს.

ზამთარი შედარებით ღარიბია ხილბოსტნეულით. ამიტომ წელიწადის ამ დროს აუცილებელია კანის დამატებითი კვება, მისი დაცვა ქარისა და თოვლისაგან. ზამთარში, უშუალოდ გარეთ გასვლის წინ, არ დაიბანოთ პირი და არ წაისვათ კრემი: რაც არ უნდა ცხიმიანი იყოს, ის მაინც შეიცავს 25%-მდე წყალს. სიცივეში სველი ან თუნდაც ოდნავ ნოტიო სახით გარეთ გასვლა კანს კარგს არაფერს უქადის. ზამთარში პირის დაბანასაც კი თავისებურება ახლავს: საღამოს მოიმზადეთ მსუბუქი ჩაის ნაყენი, რომელიც ოდნავ მარილიანიც უნდა იყოს. დილით პირი ამ ხსნარით დაიბანეთ. შეიძლება, საერთოდ უარი თქვათ პირის დაბანაზე: გაიწმინდეთ სახე კოსმეტიკური რძით (თუ კოსმეტიკური რძე არ გაქვთ, შეგიძლიათ ჩვეულებრივი რძე იხმაროთ), თხევადი კრემით. მკვებავი კრემის წასმი-



დან ხუთი წუთის გასვლის შემდეგ შეგიძლიათ წაისვათ პუდრი.

ზამთარში ნორმალური და მშრალი კანი (განსხვავებით ცხიმიანი-გან), კიდევ უფრო შრება, ამიტომ სახის კანი დღეში ორჯერ მაინც უნდა დავატენიანოთ. დატენიანება ხდება თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით. კარგ ეფექტს იძლევა სახის გაწმენდა მაწვნით. დღის მეორე ნახევარში უნდა გაიკეთოთ ორთქლის აბაზანა, რომლის ხანგრძლივობა 15-20 წუთია. კარგ შედეგს იძლევა, ფორთოხლით სახის გაწმენდა.

საღამოს კარგია მატონიზებული მასაჟის გაკეთება ყინულის ნაჭრით. ეს პროცედურა კანს ტემპერატურის ცვლილებისადმი მედეგობის გამოუმუშავებაში ეხმარება.

ტუჩის თხელი და ნაზი კანი განსაკუთრებით მგრძობიარეა სიცივისა და ქარის მიმართ. გადაეჩვიეთ ტუჩებ-

ის ენით დასველებას. სახლიდან გასვლის წინ გადაისვით ვაზელინი, კარაქი ან ცხიმიანი პომადო – ტუჩის საცხი. მათ კი, ვისაც ტუჩებზე კანი ხშირად უსკდებათ, უნდა იხმარონ A ვიტამინის ზეთოვანი ხსნარი. თუ სიცივისაგან ცხვირი ხშირად გიწითლდებათ, ასე მოიქცით: ცოტაოდენ წყალში ჩაყარეთ ერთი კოვზი მარილი, აადუღეთ და მიღებული ხსნარი პერიოდულად წაისვით ცხვირზე.

სიცივეში სახის კანი კარგავს ელასტიკურობას, იქერცლება. იმისათვის, რომ კანს ელასტიკურობა დაუბრუნოთ, აიღეთ ერთი კვერცხის გული, შეურიეთ ერთი ს/კ არაჟანი. მიღებული მასა დილით პირის დაბანამდე თხელ ფენად წაისვით სახეზე. ათი წუთის შემდეგ ზემოდან გადაისვით საპნის კრემი. კიდევ ათი წუთის შემდეგ სახე თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ძალიან მშრალი და დამაშრული კანი კი, ცხიმებით კარგად უნდა გავაჯეროთ. ამისათვის აიღეთ 25 გ ზეთუნის, სიმინდის ან ნუშის ზეთი, შეურიეთ ამავე რაოდენობის აბუსალათინის (კასტორკის) ზეთს და შეათბეთ. მიღებულ ნაზავში დაასველეთ დოლბანდი და დაიფინეთ სახესა და ყელზე. ოცი-ოცდაათი წუთის შემდეგ რომელიმე ჭარბცხიმიანი კრემი და ლიმონის რამდენიმე წვეთი თითების დარტყმითი მოძრაობებით შეიზილეთ კანში. თხუთმეტი წუთის შემდეგ სახე ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

ახლა კი გააცნობთ ზამთრისათვის განკუთვნილ კოსმეტიკურ ნიღბებს. უნდა აღინიშნოს, რომ ვისაც სახის სისხლძარღვები გაგანიერებული აქვს, თაფლის ხმარება მისთვის არ შეიძლება.

### ნიღაბი მშრალი კანისათვის:

- 1) ნახევარი კვერცხის გული, ნებისმიერი მცენარეული ზეთი (ერთი ჩ/კ) და ამდენივე სიმინდის ფქვილი.
- 2) ერთი ჩ/კ თაფლი, ერთი კვერცხის გული და ერთი ჩ/კ გლიცერინი.
- 3) ერთ ს/კ თბილ რძეში გავთქვიფოთ 20 გ საფუარი და დავამატოთ ერთი ს/კ მცენარეული ზეთი.

### ნიღაბი ცხიმიანი კანისათვის:

- 1) ავიღოთ ერთი ს/კ ხაჭო, ამდენივე მაწონი და ცოტა მარილი.
- 2) ოცი გ საფუარი გავთქვიფოთ ლიმონის წვენიში

არაჟნის კონსისტენციამდე.

- 3) ერთი კვერცხის ცილას შევათქვიფოთ ერთი ს/კ მოშუშული ვაშლის ფაფა.

### ნორმალური კანისთვის:

- 1) ერთი ს/კ გლიცერინი შეათქვიფოთ ერთი კვერცხის გულს.
- 2) ერთ ს/კ თაფლს შეურიეთ ათი წვეთი ლიმონის წვენი. აღწერილი ნიღბები სახეზე უნდა გაიჩეროთ 15-20 წუთი. შემდეგ პირი უნდა დაიბანოთ ჯერ თბილი და მერე ცივი წყლით. დაბანილ სახეზე უნდა გადაისვით მკვებავი კრემი.



### ცოცხალი კანის ქავილის შესახებ

ჟურნალის მკითხველები გვთხოვენ განმარტებას და რეკომენდაციებს ბოქვენისა და საზარდულის ნაოჭებში ქავილის მიზეზებისა და მისი მკურნალობის შესახებ.

ბოქვენის არეში, საზარდულისა და დუნდულებს შორის ნაოჭებში კანის დაზიანება და ქავილი ვითარდება ეგზემის, ლიქენის, ნეიროდერმიტის, სოკოვანი დაავადებების, ფსორიაზისა და სხვა ქრონიკული დერმატოზების დროს. ბოლო წლებში მათ შორის ყველაზე ხშირია აღნიშნული ლოკალიზაციის ნეიროდერმიტი და სოკოვანი დაავადება, კერძოდ ე.წ. რუბროფიტიის, ანუ წითელი ტრიქოფიტიონით გამოწვეული მიკოზის გენერალიზებული ფორმა. ეს სოკო-პარაზიტი ძალზედ გამძლეა და ადვილად ვრცელდება. გადადის ავადმყოფთან უშუალო კონტაქტით ან მის მიერ დაბინძურებული საგნების გამოყენებით (ღრუბელი, თასი, პირსახოცი და სხვა). სოკოების კანში შეჭრას და მის გამრავლებას ხელს უწყობს სინესტი, ოფლიანობა, სხვადასხვა მძიმე დაავადების შედეგად განვითარებული კანის წინააღმდეგობის უნარის დაქვეითება და სხვა.

სოკო-პარაზიტები, როგორც წესი, დასაწყისში აზიანებენ კანს ტერფებზე (ფეხის თითებს შორის და ფეხის გულებზე) და მოგვიანებით – ფრჩხილებს. კანი უხეშდება, სქელდება. ქატოსებური ქერცლით იფარება, თითებს შორის ნაპრალი ჩნდება და იქერცლება. ხანგრძლივი პროცესის შემთხვევაში სოკო-პარაზიტები კანში ღრმად იჭრებიან, ლიმფური სადინარებისა და სისხლის გზით შეიძლება მთელ ორგანიზმში მიმოიფანტონ და კანის ნებისმიერ ადგილას (დაწყებული წვივებიდან, დამთავრებული სახით და თავის თმიანი არით) მიკოზური კერა გაჩნდეს. ასეთი კერები ყველაზე ხშირად საზარდულის ნაოჭებში ჩნდება, საიდანაც პროცესი ბოქვენზე და ბარძაყის შიგნითა ზედაპირზე, შორისზე და დუნდულებზე ვრცელდება. კერებში კანი წითლდება, აქერცლილი ლაქები და მცირე ზომის კვანძები ჩნდება. კერის ნაპირები შემადლებული, უფრო მუქი ფერისაა, აქა-იქ სისხლიანი ქერქითა და ქერცლითაა დაფარული. ზოგჯერ ბოქვენის არეში თმაც ზიანდება. ძლიერი ქავილის შედეგად დაკარგულ კანში შეი-

ძლება ინფექცია შეიჭრას და მეორადი ჩირქოვანი ინფექცია განვითარდეს, ძირმაგარებისა და წვრილი ჩირქოვანი ბუშტუკების გაჩენით, რაც პროცესს კიდევ უფრო ამწვავებს. ნაოჭების რუბროფიტიას ქრონიკული მიმდინარეობა აქვს და პერიოდულად მწვავდება, განსაკუთრებით ზაფხულში, ორსულობისა და მელოგინეობის დროს, დიაბეტისა და ჩიყვის შემთხვევაში, ანტიბიოტიკებით, ჰორმონული და ციტოსტატიკური პრეპარატებით მკურნალობისას.

ქავილის გამო ავადმყოფები თვითმკურნალობას იწყებენ ქავილის საწინააღმდეგო მალამოებით – პრედნიზოლონით, ფლუცინარით, ფტოროკორდით, ლორინდენით და სხვა, რომელიც დროებით ამცირებს ქავილს, მაგრამ ეს მალამოები ჰორმონებს შეიცავს. ჰორმონები კი სოკო-პარაზიტებისათვის კარგი საკვები ნიადაგია და ხელს უწყობს მის გამრავლებასა და კიდევ უფრო გავრცელებას.

სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ დღეისათვის უამრავი ეფექტური პრეპარატი არსებობს არა მხოლოდ მალამოების, კრემებისა და ხსნარების (მიკოზოლინი, მიკოსეპტინი, კანესტენი, კლოტრიმასოლი, უნდეცინი, იოდიანი ხსნარები და სხვ), არამედ აბების სახითაც (გრიზოფლუვინი, ნიზორალი, ნისტატინი), მაგრამ მათი გამოყენება ექიმის დანიშნულებით უნდა ხდებოდეს, დიაგნოზისა და დაავადების კლინიკური ფორმის მიხედვით.

ნეიროდერმიტი ქრონიკული ქავანა დერმატოზია, ხშირი რეციდივებით საზარდულის ნაოჭებში, სასქესო ორგანოებზე, შორისისა და ანუსის ირგვლივ. ძლიერი ქავილის გამო კანი სქელდება. კერას მკაფიო საზღვრები და ქობა არა აქვს. კანი ოდნავ მოვარდისფრო და მშრალია, მისი ზედაპირი დაფარულია ქერცლით, ნაკაწრებით და სისხლიანი ქერქებით. ნეიროდერმიტით უფრო ხშირად ავადდებიან ქალები ნერვული სისტემის და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის მოშლის გამო. ნეიროდერმიტის სამკურნალოდ მხოლოდ მალამოების გამოყენება ნაკლებეფექტურია. ეს დაავადება გამომწვევი მიზეზის დადგენას და მიზეზობრივ მკურნალობას მოითხოვს, ამიტომ თვითმკურნალობა დაუშვებელია – საჭიროა, დროულად მიმართოთ ექიმს. შესაფერისი დანიშნულების გამოყენება და რეჟიმის დაცვა ავადმყოფის გაჯანსაღებას უზრუნველყოფს.

## ჭიპით ინვაზია



**ჭიებით ინვაზია ანუ ჰელმინთოზები სადღეისოდ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. იმის გასარკვევად, თუ რამ გამოიწვია ამ ჯგუფის დაავადებათა ამგვარი გავრცელება და როგორი უნდა იყოს მათთან ბრძოლის გზები, ვესაუბრებით პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის ნაწლავთა პარაზიტოზების განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა აკადემიისა და პროფილაქტიკური მედიცინის**

**სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ ლემა ზირაძის.**

— ბატონო ლემა, რამ გამოიწვია ჰელმინთოზების გავრცელება მოსახლეობაში?

— ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძირეულად შეიცვალა ჩვენი მუშაობის პირობები. პარაზიტოლოგიის სამსახურში ახალი თაობა მოვიდა, საჭიროა მათი გადამზადება. სწორედ ამ მიზნით ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით, ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ერთთვიანი უფასო კურსები, სადაც ექიმი პარაზი-

ტოლოგებისა და ლაბორანტების მომზადება მიმდინარეობს. ამან გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს მოსახლეობის მოვლა-პატრონობაში, მაგრამ ძალიან გვიშლის ხელს თანხების უქონლობა, რის გამოც ჰელმინთოზებზე ეპიდზედამხედველობის ღონისძიებების წარმოება ამჟამად არ შეგვიძლია.

— **უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე მოსახლეობაში სავალდებულო მასობრივი კოპროლოგიური გამოკვლევა ტარდებოდა ჭიის კვერცხებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთა პროფილაქტიკურ კვლევას. დღეს ეს პრაქტიკა აღარ არსებობს. რატომ?**

— სწორედ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების წყალობით ოცდაათწლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ 90-იანი წლების დასაწყისისთვის იმას მივაღწიეთ, რომ ჭიებით ინვაზია მოსახლეობაში ერთეული შემთხვევების სახით გვხვდებოდა, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე თქვენთვის კარგად ცნობილი მოვლენების შედეგად, ყველაფერი წყალში ჩაიყარა. იმატა დაავადებულთა რიცხვმა, ხშირია რეინვაზიები (ინვაზიის განმეორებითი შემთხვევა. — ავტ.) საბავშვო ბაღის ბავშვებში. მოსახლეობის მასობრივი გამოკვლევები აღარ ხდება. გამოიკვლევიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებს აკითხავენ. ჩვენ ვცდილობთ, რომ ბავშვთა კონტინგენტი — საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები მაინც იქნენ მასობრივად გამოკვლეულნი, მაგრამ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებათა კომპლექსის არასრულფასოვნების გამო ეს სურვილი გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

— **აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა მშობელს უსახსრობის გამო არ შეუძლია ბავშვის თქვენამდე მოყვანა არათუ პროფილაქტიკური გამოკვლევისათვის, არამედ დაავადების აშკარად გამოსატ-**



**ული სიმპტომატიკის დროსაც კი. დაავადებული ბავშვი სომ ჰელმინთოზების გავრცელების წყაროს წარმოადგენს? მაინც რა ჯდება თქვენს ინსტიტუტში კოპროლოგიური გამოკვლევა?**

— ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად კოპროლოგიური ანალიზი ექიმის კონსულტაციასთან ერთად 10 ლარი ღირს. ამ თანხის გადახდა მართლაც უჭირს ბევრ მშობელს. შექმნილი მდგომარეობის შედეგი კი სახეზეა.

— **ერთჯერადი ანალიზის უარყოფითი პასუხი ნიშნავს თუ არა იმას, რომ ბავშვი არ არის ინვაზირებული?**

— თუ ანალიზის ჩატარების პერიოდი დაემთხვა ჭიის ცხოველქმედების ნეგატიურ ფაზას, როცა დედალი რამდენიმე დღით წყვეტს კვერცხდებას, შესაძლო ანალიზის პასუხი უარყოფითი აღმოჩნდეს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი ისევ იწყებს კვერცხების გამოყოფას, ამიტომ ანალიზი 3-5 დღის ინტერვალით უნდა განმეორდეს.

— **რა გართულება შეიძლება გამოიწვიოს უმკურნალებელმა ჰელმინთოზმა?**

— საკმაოდ გახშირდა ასკარიდოზის გართულებები. არის შემთხვევები, როცა ჭია ბავშვს პირიდან ამოსდის. ამ დროს შესაძლოა, მოხდეს მისი გადასვლა სასუნთქ გზებში და ბავშვის გაგუდვა-ასფიქსია განვითარდეს. ასკარიდოზი საკმაოდ მძიმე ჰელმინთოზია. ჭიას შეუძლია დაა-

ზიანოს ფილტვები, ღვიძლი, მუცლის ღრუს სხვა ორგანოები. ძალიან იმატა ასკარიდოზით დაავადებულ ბავშვთა ეპილეფსიის მაგარი გულყრით გართულების შემთხვევამ.

დღეს უდიდეს პრობლემად იქცა ენტერობიოზი. გოგონებში ხშირია ენტერობიოზის გართულებები ვულვიტიისა და ვულვოვაგინიტიის სახით (შორისის და საშოს ანთებები). მოზარდს აქვს შემაწუხებელი ქავილი უკანა ტანისა და შორისის არეში, რასაც ხშირად ონანიზმამდე მივყავართ.

იმატა ტრიქინელოზმა. ეს განსაკუთრებით მწვავე ალერგოზი, რომელიც ხშირად უმძიმეს ფორმებს იღებს. თუ დიაგნოსტიკა დაგვიანებულია, ზოგჯერ ავადმყოფი გვეღუპება. ტრიქინელოზის ძირითადი მიზეზი, ღორის ხორცის ვეტერინარული კონტროლის გარეშე რეალიზაციაა. თუ ბაზრებში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად გამოსწორდა, გზებსა და კერძო კარ-მიდამოებში ღორის დაკვლა და რეალიზაცია ვეტერინარული კონტროლის გარეშე ხორციელდება. ამიტომ იმატა ჯგუფურმა დაავადებებმა. უნდა ითქვას ისიც, რომ დაავადებათა შემთხვევები ქალაქში ისეთივეა, როგორც სოფლად. ეს იმით არის გამოწვეული, რომ იხსნება უამრავი სასაუზმე, სადაც შეუძომწმეგელი ხორცი შეაქვთ. 1984 წელს აღრიცხული გვექონდა ტრიქინელოზის სულ 17 შემთხვევა, დღეისათვის კი — 2000-ს გადააჭარბა. ეს ციფრი, რა თქმა უნდა, რეალურს ბევრად ჩამოუვარდება.

— **აქვს თუ არა სხვადასხვა რაიონის მოსახლეობას საშუალება, რომ ლაბორატორიული კვლევა ადგილზე ჩაიტაროს საჭიროების შემთხვევაში?**

— როგორც უკვე გითხარით, ჩვენ ვამზადებთ ახალ კადრებს. ისინი გაიგზავნებიან რაიონებში და ადგილზე ჩატარებენ სათანადო კვლევას. ათეული წლების მანძილზე ჩვენ სამედიცინო მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას ვუწვევდით რესპუბლიკის ყველა რეგიონს, მაგრამ დღეს ამის ფინანსური საშუალება ინსტიტუტს არ გააჩნია.

— **მაინც რა თანხაა საჭირო იმისათვის, რომ რეგიონების ეპიდზედამხედველობა**

**განსორციელდეს?**

– წელიწადში 2000 ლარი(!) მაინც გვეჭირდება. ამით დიდი დახმარება გაეწეოდა მოსახლეობასაც და ჯანდაცვის სისტემასაც. ეს თანხა აუცილებელია რეგიონებში მივლინებების განსახორციელებლად.

**– როგორია ჯანდაცვის სამინისტროს რეაგირება თქვენს პრობლემებზე?**

– ჯანდაცვის სამინისტრო და ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი ძალიან გვეხმარება, მაგრამ ფინანსების სიმცირე იძლევა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ გამოიყოს პრიორიტეტული დაავადებები. ასეთები: მალარია, ლეიშმანიოზი, ბრუცელოზი, ამებიოზი, ტრიქინელოზი. ამ დაავადებათა მკურნალობა ჩვენთან უფასოა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამინისტროს თანადგომა მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

ჰელმინთოზები დღეისათვის უკანა პლანზე დგას, მაგრამ ჭიებით

ინვაზიის შემთხვევებმა უკვე იმდენად იმატა, რომ ისიც აუცილებლად უნდა გახდეს პრიორიტეტი.

**– მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ სადაზღვევო კომპანია „აღდაგი“ ახორციელებს 3-დან 14 წლამდე ბავშვთა სამედიცინო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა პროგრამას: წელიწადში ერთხელ ყველა ბავშვს შეუძლია ჩაიტაროს სისხლის და შარდის პროფილაქტიკური გამოკვლევა. თუკი კომპანია აღნიშნულ პროგრამაში შეიტანს ყველა მოზარდის სავალდებულო კოპროლოგიურ კვლევას, თქვენი ინსტიტუტი შეძლებს თუ არა, რომ პელმინთოზებთან საბრძოლველად ალადგინოს მძლავრი სამედიცინო-პროფილაქტიკური მექანიზმი?**

– ეს არაჩვეულებრივი იდეაა. თუ მართლაც აღნიშნული კომპანია ასეთ

საშვილიშვილო საქმეში დაგვიდგება მხარში და თუკი ჯანდაცვის სამინისტრო მოახერხებს ამ საკითხის ორგანიზებას, ჩვენ მზად ვართ, მუხლჩაუხრელად ვიმუშაოთ ამ მართლაც და მოძალებული პრობლემის გადასაჭრელად.

*P.S. ჰელმინთოზის პრობლემა თითოეული ოჯახის, თითოეული მშობლის პრობლემაა, რადგან მხოლოდ საკუთარ შვილზე ზრუნვა, მისი გამოკვლევა და მკურნალობა არ არის ჰელმინთოზისაგან თავდაცვის გზა, თუკი მის გვერდით ინვაზირებული ბავშვები ცხოვრობენ. ამიტომ ჩვენი ზრუნვის ობიექტი მთელი საზოგადოება უნდა გახდეს. მხოლოდ მასობრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის დადებითი დინამიკა. ამ პროცესში ყველანი უნდა ჩაგვაბოთ. ველით თქვენს გამოხმაურებას.*

**თქვენი პატარა**



**თავის ტრავმა**

იმპულსური, ცელქი, მოუსვენარი ბავშვები ხშირად იღებენ ტრავმას. ამიტომ ასეთი ბავშვების მშობლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ცოდნა, თუ როგორ მოიქცნენ სხვადასხვა სახის ტრავმის დროს.

**1. უსისხლო ტრავმა**

ამ დროს რბილი ქსოვილები ზიანდება. დარტყმის ადგილი საკმაოდ მტკივნეულია და, რაც მთავარია – თქვენ თვალწინ იზრდება მოლურჯო კოპი. ასეთ შემთხვევაში მას სასწრაფოდ უნდა დაადოთ ცივი წყალში დასველებული ტილო; შეთბობის შემდეგ იგი უნდა გამოცვალოთ. ცივი კომპრესი იმდენ ხანს გეჭირეთ, ვიდრე მოთმინება გეყოფათ (სასურველია – 2 საათი). მეორე დღეს კი კოპის სწრაფად გაწოვისათვის შეგიძლიათ გაუკეთოთ იოდის ბადე, ან შეაზილოთ ჰეპარინის მალამო.

**2. სისხლმდენი ჭრილობა**


ასეთ ტრავმას მიიღებს ბავშვი, თუ თავს მახვილ კუთხეს დაარტყამს ან შუშით გაიჭრის. სისხლი პატარებს უფრო მეტად აშინებს, ვიდრე ტკივილი. მშობელი ამ დროს არ უნდა დაიბნეს – საჭიროა, სასწრაფოდ შეაჩ-

ეროთ სისხლდენა: ჭრილობაზე მაგრად მიაჭირეთ სტერილური ბინტი, რომელიც წყალბადის ზეჟანგში ან რივანოლის ხსნარშია დასველებული. ამავე მიზნით შეგიძლიათ, გამოიყენოთ ჰემოსტაზური (სისხლდენის შესაჩერებელი) ღრუბელი, რომელიც ასეთი შემთხვევისთვის წინასწარ უნდა გქონდეთ თქვენს საოჯახო აფთიაქში. სისხლის შეჩერების შემდეგ ჭრილობას გადაახვევენ. უნდა ვიცოდეთ, რომ თავზე, სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით კანი უფრო დაჭიმულია, ამიტომ ჭრილობის კიდეები ერთმანეთს შორდება და გამორიცხული არ არის, რომ ბავშვს ნაკერების დადება დასჭირდეს. ასეთი ჭრილობის დროს ექიმს უნდა მიმართოთ.

**3. თავის ტვინის შერყევა**

თავის ტრავმის დროს ყველაზე მთავარია, სწორად შეფასდეს ბავშვის ზოგადი მდგომარეობა: ზომ არ დაუკარგავს გონი (თუნდაც, სულ ერთი წამით), ზომ არ აღენიშნება მეხსიერების ამოვარდნა, როცა ბავშვი ვერ იხსენებს, რა შეემთხვა.

თუ მსგავსი სიმპტომები შენიშნეთ, მაშასადამე, აშკარაა თავის ტვინის შერყევა და საჭიროა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. მანამდე კი ბავშვი დააწვინეთ, დაამშვიდეთ. შესაძლოა, იგი მალევე მოყოჩაღდეს და დაგარწმუნოთ, რომ თავს კარგად გრძნობს, მაგრამ გახსოვდეთ, სპეციალისტის კონსულტაცია აუცილებელია. ტრავმის მიღების მომენტსა და მისი აშკარა შედეგების გამოვლენას შორის შუალედი ხშირად, 10-14 დღეს აღწევს. ექიმის გასინჯვით ან დადასტურდება, რომ ბავშვს არაფერი ემუქრება, ანდა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად დაიწყებთ მკურნალობას.



# ალექსანდრე-ლევინა და მესერსმიტი

1933 წელს, როცა გერმანიაში ხელისუფლებას ნაცისტები დაეპატრონნენ, ვილი მესერსმიტს იმ ავიაკონსტრუქტორის მყარი რეპუტაცია ჰქონდა, რომლის თვითმფრინავებიც აუცილებლად იღუპებოდა, მაგრამ ეს კაცი, არცთუ ისე ურიგოდ უძღვებოდა თავის ფირმას — BFW და ავიაციის ხელმძღვანელები მას საიმედო პარტნიორად მიიჩნევდნენ. მათ, შესაბამისი ლიცენზიით, ერნსტ ჰაინკელის კონსტრუქციის 12 თვითმფრინავის წარმოებაც კი შეუკვეთეს მას. თუმცა, ამასთანავე გააფრთხილეს კიდევ — ხელი არ მოეკიდა „სხვის“ საქმისთვის და არც ეცადა, რაიმის დამოუკიდებლად კონსტრუირება. სამინისტროს მოხელეებს მესერსმიტი რომ გაეტეხათ, მეორე მსოფლიო ომში გაცილებით ნაკლები მსხვერპლი იქნებოდა, მაგრამ მთელი ევროპისდა სავალალოდ, მათ ეს ვერ მოახერხეს...

## აუტსაიდერი გერმანიაში

1934 წელს ავიაციის სამინისტრომ ახალი გამანადგურებლის გამოსავლენი კონკურსი გამოაცხადა. ყველას კარგად ესმოდა, რომ ომის მოლოდინი დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მის დაწყებას კი ახალი შეკვეთები მოჰყვებოდა, რომლის მოცულობა, არა ათეულობით, როგორც ეს მშვიდობიან დროს ხდებოდა, არამედ ასობით და ათასობით თვითმფრინავს მიაღწევდა. ტენდერში მონაწილეობა გერმანული ავიაშემსრულებლის სამ ვეშასს — ფირმებს: „არადოს“, „ფოკე-ულფს“ და „ჰაინკელს“ შესთავაზეს. მესერსმიტმა ყველა თავისი კავშირი მხოლოდ იმისთვის ამოქმედდა, რომ მისთვის თავისი მანქანის გამოცდის ნება დაერთოთ. ნებაერთვა მან, ბოლოს და ბოლოს, მიიღო, თუმცა არაორაზროვნად უთხრეს, რომ შეკვეთას მანც ვერ ეღიარებოდა.

ამ მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გერმანიას ეწვია საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი, რომელმაც ვილი

მესერსმიტს გაიცნო. შემდგომ მან ასე აღწერა კოლეგა თავის მეზუარებში: „მაღალი, პირქუში კაცი, შეთხლებული შავი თმით, რომელიც ვერ იტანდა ვერანაირ კრიტიკას და მისვე ფეხებდებოდა, სულ მცირედი უკმაყოფილების გამოც კი. მაგალითად, ჩვენს ავიაკონსტრუქტორებს არ მოეწონათ პერსპექტიული გამანადგურებელი BF 209. ამის გაგონებისას მესერსმიტმა სრულიად დაკარგა კონტროლი... მაგრამ საბჭოთა სპეციალისტები მართალი აღმოჩნდნენ: ეს მოდელი სერიულ წარმოებაში ვერ გავიდა“.

უხეშ და ამპარტავან მესერსმიტს ავიაციაში ერთადერთ ავტორიტეტად მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნდა და სამინისტროს ყველა მაღალჩინოსანთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ამასთან, ის ძალზედ ეჭვიანი იყო და გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ გარშემომყოფნი მის დამცირებას ცდილობდნენ.

1934 წელს კი მესერსმიტს დასაკარგი არაფერი ჰქონდა. შესაძლოა, ის სწორედ

ამიტომ მიუღია ესოდენ გაბელულად ახალი თვითმფრინავის შექმნას. „ვეშაების“ ავიაკონსტრუქტორები პირველი მსოფლიო ომის მფრინავთა გამოცდილებასა და რეკომენდაციებს ყვერდნობდნენ. იმ დროს, დაბალი სიჩქარით მოძრავი თვითმფრინავები მცირე საჰაერო მონაკვეთზე, ე.წ. „ძაღუების ორთაბრძოლებში“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ასეთ პირობებში გამარჯვების მეტი შანსი, კარგი მანევრირების მქონე მანქანებს ჰქონდა, სისწრაფე კი მეორეხარისხოვანი იყო. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ სამი „ვეშაის“ სპეციალისტები და ამის შედეგად, მათ მიერ შექმნილი ყველა თვითმფრინავი ატავიზმების მატარებელი იყო. AR 80-ს დაუკვცავი შასი ჰქონდა, FW 159 პრაქტიკულად, ბიპლანი იყო, HE 112-ს კი მეტისმეტად დიდი ფრთა ჰქონდა, რომელიც საკმაოდ მანევრულს ხდიდა თვითმფრინავს, მაგრამ დიდი სიჩქარის განვითარების საშუალებას არ აძლევდა. მესერსმიტი 20 წლის იყო, როცა პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა, ამდენად, ყველაფერს, რაც მაშინ ხდებოდა, მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ის იმით ხელმძღვანელობდა, რომ მას შემდეგ ერთიორად გაიზარდა სიჩქარე, რასაც, მისი გამოთვლით, პრინციპულად უნდა შეეცვალა მომავალი ომის საჰაერო ბრძოლის სურათი. თვითმფრინავი უფრო სწრაფად იჭრებოდა ცაში და მეტი სიმძლავრით გამოირჩეოდა. ამდენად ყველა ძველი სქემა უიმედოდ მოძველებული იყო.

მესერსმიტმა აქცენტები სიჩქარეზე და ვერტიკალურ და არა წინამორბედებივით ჰორიზონტალურ მანევრულობაზე გადაიტანა.

თავდაპირველად, მას უბრალოდ, ვერ გაუგეს. პირველი მსოფლიო ომისდროინდელმა გამოცდილმა პილოტმა, ერნსტ უელტმა, რომელმაც 62 თვითმფრინავი ჩამოაგდო, როცა 1934 წლის ბოლოს BFW-ს ეწვია და ახალი მანქანა დაინახა, პირდაპირ თქვა: „ის ვერასდროს გავლდა გამანადგურებელი“. ამ მფრინავ-აკრობატმა, შემდგომში ლოთმა და ნარკომანმა, ავიაციის ტექნიკური სამმართველოს თავკაცის პოსტი დაიკავა და უნიათო მართვით, გერმანული ბომბდამშენი ავიაციის დაშლას შეუწყო ხელი. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მან ძალიან სწრაფად გაიცნობიერა „მესერშიტის“ მიმართ დამკვიდრებული შეცდომა და ამ თვითმფრინავის გატანა-დამკვიდრების საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა. მოხელის პოსტზე ყოფნისას მიღწეული ეს წარმატება ერთადერთი აღმოჩნდა უღეტისთვის, რომელიც ვერ გადაურჩა გერინგის რისხვას და 1941 წელს თავი მოიკლა.

1935 წელს ჩატარებულმა ცდებმა აშკარა ფაქტობრივად „ჰაინკელის“ HE 112 დაასახელა, მაგრამ ბევრ სპეციალისტზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა მესერშიტის BF 109-მ, რომელიც დიდი სიჩქარით, სწრაფი აფრენითა და მანევრულობით გამოირჩეოდა. მესერშიტი გრძობდა, რომ გამარჯვებულს უახლოვდებოდა. კომისიის სიმპათია HE 112-ისკენ იხრებოდა, მაგრამ ის მანც ვერ არ იყო მიღებული შეიარაღებისთვის, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მესერშიტმა შეძლო, დაეფიქრებინა სამხედრო მოხელეები და გენერლები.

გერმანული დაზვერვა თვალყურს ადევნებდა ინგლისში ახალი თვითმფრინავის შექმნის პროცესს. განუკურნებელი სენით შეპყრობილი გენიალური ავიაკონსტრუქტორი მიტჩელი, გამანადგურებელ „სპიტფაისს“ შექმნას აბიჯდებოდა, რომელიც, თუმცა BF 109-ისგან სრულიად დამოუკიდებლად მუშავებოდა, ძირითად ნაწილში საოცრად ჰგავდა მას. ბუნებრივია, რომ ყველაზე გონებაჩლუნგი



„კონდორის“ საავიაციო ლეგიონის მებრძოლები ესპანეთში

მოხელეები დაუსვამდნენ საკუთარ თავს კითხვას: იქნებ, ამ დარტყმულმა მესერშიტმა მართლაც შექმნა მომავლის გამანადგურებელი, თუკი მსგავს მანქანას ინგლისშიც ქმნიან?

1936 წლის ივნისში ჩატარებული ცდების შედეგად, მესერშიტი ე.წ. საშუალო ფინიშზე დაწინაურდა და საცდელი, წინასასერიო ათმანქანიანი პარტიის შეკვეთა მიიღო. უკვე იმავე წლის აგვისტოში, ბერლინში ჩატარებული ოლიმპიადის მასურებლებში ცაში სრულიად ახალი კონტურების მქონე თვითმფრინავის მოძრაობას ადევნებდნენ თვალს. კიდევ 3 თვის შემდეგ, დასკვნითი ცდების დროს, მესერშიტმა საბოლოო გამარჯვებას მიაღწია: მისი მთავარი კონკურენტის – HE 112-ის მფრინავმა ვერ გაბედა მესერშიტის მანქანის მიერ გაკეთებული მანევრის გამოვლენა.

**ფავორიტი ესპანეთში**

1936 წლის ივლისში დაიწყო სამოქალაქო ომი ესპანეთში. ფაშისტურმა გერმანიამ დაუყოვნებლივ გააგზავნა იქ თავისი საავიაციო ლეგიონი „კონდორი“, რომელიც

გამანადგურებლებითა და ბომბდამშენებით იყო დაკომპლექტებული. თავდაპირველად, მასში ძირითადად, იმდროინდელი საბრძოლო გამანადგურებელი HE 51 შედიოდა, მაგრამ ესპანეთის ფრონტზე საბჭოთა გამანადგურებლის U-15-ის გამოჩენისთანავე აშკარა იყო მისი გამოგნებული უპირატესობა გერმანულ თვითმფრინავებზე. მოგვიანებით შექმნილ და ასევე ესპანეთში აპრობირებულ U-16-ს კი, საფრენი მახასიათებლებით – უპირველესად, სიჩქარით (450 კმ/სთ) და საბრძოლო თვისებებით, საერთოდ არ ჰყავდა ბადალი იმდროინდელ მსოფლიოში.

ამან ნამდვილი პანიკა გამოიწვია გერმანიის ავიაციის სამინისტროში და მოხელეებს იმისკენ უბიძგა, რომ ესპანეთში გამოსაცდელად, BF 109-ის საცდელი ნიმუშები გაეგზავნათ. მესერშიტის მტრებს გასარების უკანასკნელი საშუალება მიეცათ: თავდაპირველად, ექსპერიმენტული მანქანები უფრო ხშირად, მიწას ენარცხებოდა, ვიდრე დაფრინავდა, – რაც სასვეებით ბუნებრივი იყო საცდელი თვითმფრინავისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული საბრძოლო პირობებისთვის.

საბჭოთა თვითმფრინავებმა შეაშინა სამხედროები და მოხელეები და არა კონსტრუქტორები. ისინი უმაღლეს გავრცეწენ იმაში, რომ ეს – მხოლოდ 20-იანი წლების დამლევე არსებული U-5-ის ტიპის გამანადგურებლის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, პირველი მსოფლიო ომისდროინდელი თვითმფრინავის საფუძველზე იყო შექმნილი. ამ საბჭოთა თვითმფრინავებს ამოწურული ჰქონდა განვითარების ლიმიტი, რაც ძალიან მალე დამტკიცა მათმა შემდგომმა ბედმა. კონცეპტუალურად ახალი BF 109 კი, პირიქით, გზის დასაწყისში იყო.

მაგრამ ვერჯერობით – 1936 წლის დამლევიდან 1937 წლის დასაწყისამდე ჰერში საბჭოთა თვითმფრინავები ბატონობდა, მაგრამ ძალიან მალე, მესერშიტის საცდელმა

**მესერშიტი (მარცხნიდან მეორე) საბჭოთა ავიაკონსტრუქტორთა დელეგაციასთან შეხვედრისას 1940 წლის მარტში**



**რაიხის ავიაციის მინისტრთან – გერინგთან ერთ-ერთი თათბირის დროს**



თვითმფრინავებმაც დაამტკიცა თავისი ქმედითუნარიანობა და 1937 წლის აპრილში ლევიონ „კონდორის“ შეიარაღებაში, შეზღუდული რაოდენობით, BF 109 B-1 ტიპის პირველი საბრძოლო თვითმფრინავები გაჩნდა.

ბევრი ნაკლის მიუხედავად, ახალი თვითმფრინავი თანდათან იკიდებდა ფეხს, პარალელურად კი მესერშიტი დაულაღაფად ხვეწდა მის ტექნიკურ მახასიათებლებს – ცვლიდა ძრავას, აყენებდა ახალ შეიარაღებას – და მალე B სერია C სერიის მანქანებმა შეცვალა.

ესპანეთის ომის დასასრულისთვის ლევიონი „კონდორის“ შეიარაღებაში სერია E-ს სრულიად ახალი თვითმფრინავები გაჩნდა, რომელსაც გერმანელებმა „ემილი“ შეარქვეს. ისინი სრულიად მოულოდნელად, რომ იტყვიან – არსაიდან ჩნდებოდნენ, ჩვეულებრივ, ზემოდან დაეცხრებოდნენ, ან კიდევ, ქვემოდან მიეპარებოდნენ მოწინააღმდეგეს, რათა უკეთ გამოეყენებინათ ვერტიკალური მანევრების აშკარა უპირატესობა; საბრძოლო მარაგის ამოწურვის შემდეგ კი, ისე სწრაფად (550 კმ/სთ-ის სიჩქარით) გაუზინარდებოდნენ ხოლმე, რომ მათთან შედარებით, ყველა სხვა თვითმფრინავი უბრალოდ, ჰაერში დაკიდებულს ჰგავდა.

### ფავორიტი „ემილი“

1940 წელს ინგლისის ცაში BF 109 შეხვდა „სპიტფაის“ – იმ თვითმფრინავს, რომელიც თავის დროზე დაეხმარა მესერშიტს, გაემარჯვა კონკურენტებზე. ინგლისური გამანადგურებელი არაფრით ჩამოუვარდებოდა მას, მაგრამ ინგლისელ მფრინავებს არ ჰქონდათ ის საბრძოლო გამოცდილება, რომელიც გერმანელებს ესპანეთის, პოლონეთისა და საფრანგეთის ცაში დაუგროვდათ. გარდა ამისა, „სპიტფაი“ ცოტა ჰქონდათ, ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საფუძველს კი, მოძველებული გამანადგურებლები – „ჰარიკენები“ შეადგენდა.

ინგლისელების მონაცემებით, საჰაერო ბრძოლებში გერმანელებმა 333, ხოლო ინგლისელებმა – 491 გამანადგურებელი დაკარგეს, თანაც 272 „ჰარიკენზე“ 153 „მესერშიტი“, ხოლო 219 „სპიტფაიზე“ – 180 BF 109 მოდიოდა. როგორც ეს სტატისტიკა ადასტურებს, „ემილიმ“ და მისმა პილოტებმა ინგლისის ცაში მთლიანად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრიტანეთის ჰერსაწინააღმდეგე თავდაცვის ძალებიც მოქმედებდა, რომელსაც იმ დროს უკვე ჰქონდა სარდარე დანადგარები. გერმანელებს დიდი დანაკარგები ჰქონდათ ბომბდამშენების სახით, რომლებმაც ვერ მიაყენეს სერიოზული დარტყმა ბრიტანეთის მრეწველობას. გამანადგურებლების ორთაბრძოლაში გამარჯვების მიუხედავად, ნაცისტებმა მთლიანობაში მანაც წააგეს საჰაერო ომი. თუმცა, 1940 წლის

ბოლოსთვის მათ გადაიფიქრეს დიდ ბრიტანეთში დესანტის გადასხმა და მხერა აღმო-საველითსკენ გადაიტანეს.

### ტრიუმფი და კრახი

„უკვე ომის პირველი დღის შუადღისთვის ჩვენ 1200 თვითმფრინავი დავკარგეთ: 300 საჰაერო ბრძოლებში დაიღუპა, 900 კი აეროდრომებზე გაანადგურეს“, – წერდა შემდგომში თავის მეზუარებში ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი, და ეს მანც მიახლოებული, შემცირებული მონაცემები იყო. გერმანელებმა იმ დღეს მხოლოდ 35 თვითმფრინავი დაკარგეს. ერთ კვირაში – 29 ივნისისთვის საბჭოთა ავიაციის დანაკარგების საერთო მოცულობამ 4000-ს მიაღწია – მაშინ, როდესაც გერმანელებს სულ 150 თვითმფრინავი გაუნადგურეს.

საბჭოთა მფრინავებმა არ იცოდნენ ჰაერში ბრძოლა. სამთაური შემადგენლობა, რომელიც ესპანეთში ომობდა, უმეტესწილად განადგურებული იყო. ამას დაერთო საგრძნობი ტექნიკური ჩამორჩენა: იმ დროს, როცა ინგლისსა და გერმანიაში კონცეპტუალურად ახალი მანქანების შექმნაზე მუშაობდნენ, საბჭოთა კავშირში ძველი თვითმფრინავების მოდერნიზებას განაგრძობდნენ.

თუმცა, საბჭოთა კონსტრუქტორებიც სწრაფად სწავლობდნენ (მათ ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, დაიწვეს ახალი თაობის მანქანების შექმნა) ისევე, როგორც საბჭოთა მფრინავები, რომლებსაც გერმანელებთან ომში მალე შეუერთდნენ ინგლისელები და ამერიკელები.

მოკავშირეთა ძალებთან ბრძოლაში ვერმანხტი სწრაფად კარგავდა თავის საუკეთესო მფრინავებს, ახალბედებს მათი შეცვლა არ შეეძლოთ, რა თვითმფრინავითაც არ უნდა ასულიყვნენ ჰაერში. ვილი მესერშიტი გამუდმებით ხვეწდა თავის მანქანას, რომლის პოტენციალი ულგვი იყო: E სერიას F სერია („ფრიდრიხი“) მოჰყვა, შემდეგ – G („გუსტავი“) და K, რომელსაც ხან „კაიზერს“ ეძახდნენ და ხან „კურფიურსტს“. ამ უკანასკნელის სიჩქარემ 700 კმ/სთ-ს გადააჭარბა. ომის წინა წლებში, სხვადასხვა მონაცემით, სულ 33-დან 35 ათასამდე BF 109 იყო გამოშვებული.

ვილი მესერშიტი კიდევ ერთ სფეროში

### ლეგენდარული ME-262



განდა პიონერი: მან პირველმა გამოიშვა ბრძოლისუნარიანი რეაქტიული გამანადგურებელი ME-262. ამ თვითმფრინავს, რომელიც 870 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა და მძლავრი შეიარაღებით იყო აღჭურვილი, ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში ომის უკანასკნელ წელს. თუმცა, ნაცისტურ იმპერიას ვეღარც ეს იხსნიდა.

ბევრი სხვა სპეციალისტივან განსხვავებით, მესერშიტს არ უთანამშრომლია გამარჯვებულებთან. მტკიცე ნაცისტმა ამას პროფესიული დისკვალიფიკაცია ამჯობინა და ესპანეთში – იმ ქვეყანაში გაემგზავრა, სადაც თავის დროზე მისი პირმშოს სამხედრო კარიერა დაიწყო. იქ მას, როგორც ახლობელ ადამიანს, ისე შეხვდნენ.

ესპანეთში, თავისი დროის ყველაზე მოწინავე კონსტრუქტორი, ადგილობრივ ინჟინრებს უწევდა კონსულტაციას. ეს დაახლოებით იგივე იყო, რაც სკოლის მოსწავლეებისთვის ანშტაინის კონსულტანტად მიწვევა. მსოფლიოში დიდი ტემპით ვითარდებოდა რეაქტიული ავიაცია, რომლის ტრიუმფი მესერშიტმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში იწინასწარმეტყველა, BF 109-ის მამა კი „სოფლის მექანიკოსების“ სწავლებით იყო დაკავებული.

მესერშიტს ძალიან ენატრებოდა ის დრო, როცა მისი თვითმფრინავები მთელ ევროპას აზანზარებდნენ. გერმანიაში ის 1959 წელს დაბრუნდა, თავისი ფირმის აღდგენა-აგ მოახერხა. მოგვიანებით, ის შევიდა კონცერნში „მესერშიტ-ბელკოვ-ბლუმ“, რომლის საპატიო თავმჯდომარეც ვილი მესერშიტი იყო.

ესპანეთში გატარებულმა წლებმა თავისი ქნა: კონსტრუქტორის აღარაფერი დაუპროექტებია და ბედის ირონიით, სწორედ იმ საქმით იყო დაკავებული, რასაც სამინისტროს მოხელეები 20 წლის წინ ავალებდნენ – სხვისი თვითმფრინავებისა და დანადგარების ლიცენზიით გამოშვებას მიხედვით. მაგრამ ვილი მესერშიტი მანც საშუალოდ დარჩა სწორედ BF 109-ის შემქნელად და თვით მისი სახელი განუყრელად დაუკავშირდა XX საუკუნის ყველაზე სამხედრო ომის ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე იარაღს – ავიაგამანადგურებელ „მესერშიტს“.



**მისამდე შესაქმნელის არარსებობა**

						გონდოლი-ერთა სიმღ.		სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი	ბოჭკოვანი ქსოვილი ადამიანის ორგანიზმში		
	ლაკონიზ-მით ცნობილი ოლქი ძვ. საბურ.										
	სპილენძის სასულე ინსტრუმენტი										
											ინის ანტი პოლი
	ბიბლიის ათი მცნება							ცნობიერება		პერუს აბორიგენი მცხოვრები	
	შეჯიბრი მანქანებით						მაგარი სპირტიანი სასმელი		„ჯეინ ეირი“ (მწერალი)	რუსული შვეულ-მფრენის მარკა	
ქრისტი-ანული დღესასწაული	სამართ-ლისმცოდ-ნეობა							წალკოტი უდაბნოში			
	„დათა თუთაშხა“ (პერსონაჟი)			საფოფოების უმც. სიმ.	ფრაზე ფერ-ბურთული					ქიმიური ელემენტი	
								ვილინოსა და ვიო-ლინჯელს შორის			
	ბულგარუ-ლი ლუდი					სამე-ვლისო ცეკვა		რენო, პორტმანი (კინო-ფილმი)	უფლება საკუთარი სურვილით მოქმედებისა	ქალაქი იაპონიაში	მოლანდება მონარქული თარის აღნიშვნა
				ფრანგი იმპერა-ტორი							
						თოფ-მოდელების საასპარეზო მოედანი					
	სტილი არქიტექტ-და სელოფ-ნებაში				განის დედა-ქალაქი	სარეკლა-მო აირი					
ერთ-ერთი დარტყმა ბილიარდში	რეკლამი-რებული მარგარინი		დაბალი სასიმ-ლერო სმა	კორეული ფირმა							
მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში	კარ-მიდამო ლათინურ ამერიკაში		ქმფებელი								
				ნამცხვრის სახეობა							
					ნაოსნობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძ.						
						<b>შეადგინა რამაზ ალანიძე</b>					

41-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-გ; 4-გ.

# კვირის (26 ნოემბერი - 2 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## მეზო - 23/XI-21/XII



ამ კვირაში დიდი (განსაკუთრებით - გონებრივი) ენერჯის ხარვეზა მოგიწევთ, რათა პირველ დღეებში შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოხვიდეთ. კვირის შუა პერიოდისთვის დაძაბულობა შესუსტდება და პარასკევისთვის ჩვეულ კალაპოტში ჩადგებით - სამსახურშიც ნორმალურად აგეწყობათ საქმე და ოჯახშიც.

## თხის რქა - 22/XII-20/I



მთელი სისრულით შეიგრძნობთ, თუ რას ნიშნავს საქმის კაცი: თქვენი მოქმედება ხშირად, თქვენსავე აზრს გაუსწრებს წინ. უქმეებში ყველა ღონეს იხმართ, რომ თავი აარიდოთ საოჯახო საზრუნავს - ოჯახის წევრებს გაერიდებით და წიგნის კითხვით გაართობთ თავს. დაამშვიდეთ ისინი - ეს ღიღხანს არ გაგრძელდება.

## მეჩხეული - 21/I-19/II




უმჯობესია, კვირის დასაწყისი სერიოზულ პრობლემებზე ფიქრს დაუთმოთ და ის ნაბიჯები გააანალიზოთ, რომელიც სხვა ადამიანებთან დაგახლოვებს. როგორც კი საფუძვლიანად მოიფიქრებთ ყველაფერს, უმაღლეს საქმეზე გადადით! ხუთშაბათსა და პარასკევს რაღაც ახალი იდეა შეგიპყრობთ, უქმეებში ეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

## თევზები - 20/II-20/III



ამ კვირაში ყველა კამათიდან გამარჯვებული გამოხვალთ, შესაძლოა, ამის წყალობით, ბევრი ძველი მოწინააღმდეგე თქვენი მოკავშირეც კი გახდეს, მეგობრებისა და კოლეგების მხარდაჭერა კი, გარანტირებული გექნებათ. უქმეებში აუცილებლად გადით ქალაქგარეთ - ბუნებასთან კონტაქტი ახალ ძალებს შეგმატებთ.

## მშვიდი - 21/III-20/IV



უახლოესი კვირა განვლილი მოვლენების ანალიზსა და საქმიანობის ქალაქების მოწესრიგებას უნდა დაუთმოთ. რაც მთავარია, თქვენს სულიერ მდგომარეობას ჩაუღრმავდით და სამომავლოდ ახალი გზები დაგეგმეთ. მაგრამ უქმეებში სჯობს, მეტისმეტად არ დაიტვირთოთ თავი ამგვარი ფიქრით: სასიამოვნო შეხვედრა ან რომანტიკული თავგადასავალი გელით.

## კურო - 21/IV-21/V



საერთო ჯამში, ეს კვირა საკმაოდ დინამიკური და ილბლიანი იქნება თქვენთვის, მაგრამ ხუთშაბათსა და პარასკევს ფრთხილად უნდა იყოთ: შესაძლოა, წვრილმანი შეცდომების გამო, რაღაც საქმე გაგიფუჭდეთ. თუ პრობლემას ნაჩქარევად ან ძალიანსივრი მეთოდებით არ გადაწყვეტთ, ყველაფერი ნორმალურად წარიმართება.

## მარცხვანი - 22/V-21/VI




პრაქტიკულად ყოველი დღე დაღების ემოციებს მოგიტანს: ხან ძველ მეგობრებთან ურთიერთობით ისიამოვნებთ, ხან კიდევ, ახალ, საინტერესო ადამიანებთან კონტაქტი მოგვკრით სიამოვნებას. ამ კვირაში ბავშვებთანაც გექნებათ შეხვედრები, რომანტიკული პაემანიც გაგახარებთ. ერთადერთი რამ, რისთვისაც ნაკლებად გეცდებათ, - ეს სამსახურია.

## მირიანობა - 22/VI-22/VII



მოგეცემთ შანსი - საკმაოდ მრავალმხრივად გამოამყვანოთ თავი. ეს შანსი ხელიდან არ გაუშვით. მთლიანობაში, საკმაოდ დაძაბული კვირა გელით, პარასკევს მოსალოდნელი ხანმოკლე ტაიმ-აუტის შემდეგ კი, შესაძლოა, იმის აუცილებლობა გაჩნდეს, რომ თქვენს ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების შეტანაზე დაფიქრდეთ.

## ლომი - 23/VII-23/VIII



ერთადერთი ადამიანი თქვენს გარემოცვაში, ვინც აქტიურად იმოქმედებს, - თქვენ თვითონ ხართ. ამდენად, ყველაფერი, რაც ამ დღეებში მოხდება, თქვენს ენერჯიულობაზე, უნარსა და ამბიციებზე იქნება დამოკიდებული. გარემოებები და გარემომცოფნი არც შევიშლიან და არც შევიწყობენ ხელს თქვენი ამოცანების გადაწყვეტაში.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



ვარსკვლავები იშვიათად შანსს გაძლევენ, ცოტა მოეშვით და ნაკლებად იზრუნოთ საკუთარ თავზე. ყველა თქვენი ფიქრი და მისწრაფება შეიღებზე, ახლობლებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე იქნება კონცენტრირებული: ძალიან ბევრ ადამიანს დაეხმარებით - ზოგს სიტყვით, ზოგს საქმით, ზოგს კიდევ, უბრალო რჩევით.

## სასწორი - 24/IX-23/X



გაბედულად დაიცავით საკუთარი პოზიცია - პრინციპულ საკითხებში მაინც. კარგი შანსი გაქვთ, თავი გამოიჩინოთ სამსახურში და შესაძლოა, დაწინაურებას ან პრემიასაც გამოჰკრათ ხელი. გაითვალისწინეთ, რომ ამას მხოლოდ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი შეუშლის ხელს, რომელიც შეიძლება პარასკევს მოგივიდეთ.


## ღრიანბალი - 24/X-22/XI



ამ კვირაში ძლიერი ემოციები გელით და შეიძლება, ფიზიკური სტრესიც დაგემუქროთ. ნუ შეუმინდებთ - მან დიდი სარგებლობაც შეიძლება მოგიტანოთ, რადგან ნათლად დაგანახვებთ იმ მოვლენების რეალურ, ძირეულ მიზეზებს, რომელიც ძლიერ გაინტერესებთ ბოლო ხანებში. ამ კვირაში აქტიური სასიყვარულო ურთიერთობები გელით.



# შეგიძლიათ თუ არა ადამიანებზე შეგავლენის მოხდენა?



ყველა ჩვენგანი გარკვეულწილად ექცევა სხვათა ზეგავლენის ქვეშ, ხანდახან კი, გარკვეული მიზნის მისაღწევად თავადაც ვახდენთ სხვებზე გავლენას. პოლიტიკოსები, მასწავლებლები, ექიმები და მსახიობები ამას თავიანთი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე სჩადიან. თუ გაქვთ სურვილი, შეამოწმოთ გარშემომყოფებზე თქვენი ზეგავლენის ძალა, გაეცანით ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს და უპასუხეთ მათ:

- 1) გქონიათ თუ არა ოდესმე სურვილი, გამზადარყავით მსახიობი ან პოლიტიკოსი?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 2) გაღიზიანებთ თუ არა ზედმეტად ექსტრაგაგანტურად ან გამომწვევად ჩაცმული ადამიანის დანახვა?  
ღიას - 0;  
არა - 5.
- 3) შეგიძლიათ თუ არა უცნობს ესაუბროთ თქვენი ინტიმური ურთიერთობების შესახებ?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 4) იგრძნობთ თუ არა გაღიზიანებას, თუ

- სამსახურში თქვენთან ერთად მისულმა კოლეგამ მოკლე ხანში თქვენზე მეტი წარმატების მიღწევა შეძლო?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 5) სწრაფად რეაგირებთ თუ არა, როცა ვინმე შეურაცხყოფას გაყენებთ?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 6) მოჰკიდებთ თუ არა ხელს რთული საქმის შესრულებას მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ შეგიძლიათ სირთულეებს თავი გაართვათ?  
ღიას - 5;

- არა - 0.
- 7) იყენებთ თუ არა ცხოვრებაში პრინციპს „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებებს“?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 8) გიყვართ თუ არა ახლო მეგობრების წრეში ყოფნა?  
ღიას - 0;  
არა - 5.
- 9) გაქვთ თუ არა ჩვეულებად მთელი დღის წინასწარ დაგეგმვა?  
ღიას - 0;  
არა - 5.
- 10) გიყვართ თუ არა სახლში ავეჯის ხშირი გადაადგილება?

- ღიას - 5;  
არა - 0.
- 11) შეგიძლიათ თუ არა სასურველი მიზნის მისაღწევად, ყოველდღე მიმართოთ სხვადასხვა საშუალებას?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 12) დასცინით თუ არა საკუთარ თავში მეტისმეტად დარწმუნებულ ადამიანს?  
ღიას - 5;  
არა - 0.
- 13) შეგიძლიათ თუ არა სამსახურში უფროსს მიუთითოთ აშკარად ჩადენილ შეცდომაზე?  
ღიას - 5;  
არა - 0.

## დააჯამეთ ქულები

0-30 ქულა: სამწუხაროდ, სხვების რაიმეში ღარწმუნების უნარი ნაკლებად გაგაჩნიათ. მიგაჩნიათ, რომ თქვენი და სხვების ცხოვრება წინასწარ უნდა იყოს გათვლილი და დაგეგმილი. გირჩევნიათ, რომ ცხოვრების ჯანმრთელ წესს მისდით და ხასიათში გამჯდარი ჩვეულებები ღაიცვათ. ხანდახან გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, ამიტომ დასახული მიზნის მიღწევა ხშირად გიბნელებათ. ეს კი, საბოლოო ჯამში, ცუდად აისახება თქვენს ცხოვრებაზე. სტაბილურობა ცუდი როღია, მაგრამ ზომიერების გრძნობაც უნდა იქონიოთ.

35-65 ქულა: საკმაოდ კარვად ახერხებთ სხვებზე ზეგავლენის მოხდენას. შეგიძლიათ ადამიანი სრულიად შეცვალოთ, ასწავლოთ მას რაიმე, ადვილად გამოვლით გარშემომყოფებთან ურთიერთობა და რჩევების მიცემა. მიგაჩნიათ, რომ ადამიანი საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტოს, პირიქით, სხვებთან ერთად სიტუაციიდან გამოსავალი უნდა ეძებოს და სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში მეგობრების რჩევები ღაიხმაროს. მაგრამ ფრთხილად იყავით, ზედმეტმა თავდაჯერებულობამ ღროთა განმავლობაში ტირანად არ გაქციოთ.

# ბუნჯეხი საჯონცეხსო დახზაზად გადახეთდება

ხორვატიის ქალაქ პაკლენიცას მახლობლად ველეპიტის მთის ქვეშ 250 მეტრის სიღრმეზე მდებარე ბუნჯერი, რომელიც სოციალისტური იუგოსლავიის მეთაურს იოსიპ ბროზ ტიტოს ეკუთვნოდა, სამხატვრო გალერეად გადააკეთეს.



ბუნჯერი, რომელიც ბირთვული აფეთქების დროსაც გამოდგებოდა თავშესაფრად, 1949 წელს, ტიტოსა და სტალინის დაპირისპირების დროს აიგო. მარშალი ტიტო 1980 წელს გარდაიცვალა, მაგრამ 1991 წელს იუგოსლავიისგან ხორვატიის გამოყოფამდე ბუნჯერის არსებობა მხოლოდ ერთეულებისთვის იყო ცნობილი.

ამჟამად ხორვატიის ხელისუფლებამ 700 ათასი დოლარის ინვესტიცია მიიზიდა, რათა უზარმაზარი ბუნჯერი მშვედობიანი მიზნისთვის გადაეკეთებინა – კერძოდ, კონცერტებისა და გამოფენებისთვის გამოეყენებინა.

რადგან ბუნჯერის თავზე ამჟამად ხორვატიის ერთ-ერთი ეროვნული პარკია, რეკონსტრუქციის პროექტის მოსამზადებლად ამერიკელ ექსპერტებს უხმეს, რომლებიც ადგილობრივ სპეციალისტებს იმაში დაეხმარებიან, რომ სამუშაოების ჩატარებისას, ზიანი არ მიაღწეს გარემოს.



# პითონი იატაქვეშეთში გადადის

ერთ კანადურ ოჯახს კონფლიქტი მოუვიდა ოჯახისა და ბავშვების დეპარტამენტის მოხელეებთან. საქმე ის გახლავთ, რომ კუბების ოჯახში 17 მეტრიანი პითონი ბოაზი ბინადრობს, რომელსაც არასოდეს მიუყენებია ვინმესთვის ზიანი: სვამდა თავისთვის რძეს, ჭამდა ხორცს და თავის პატრონებს ეთამამებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ (თუ უბედურ) დღეს, აღნიშნული უწყების თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ამ არსების ოჯახში გაჩერება დიდ საშიშროებას წარმოადგენს, განსაკუთრებით – ბავშვებისა და მოზარდებისთვის (კუბების ოჯახს კი 17 წლის ქალიშვილი – კარენ ჯოი ჰყავს, რომელიც, სხვათა შორის, ჭკუას კარგავს ბოაზისთვის). დეპარტამენტის განკარგულებით, გველი ან უნდა გაანადგურონ, ან ზოოპარკში ჩააბარონ. მაგრამ კუბები სახელმწიფო მოხელეებს არ დაემორჩილნენ და ბოაზი გადაძალეს, ჩინოსნებს კი უმტკიცებენ, რომ ეს უწყინარი არსება არავითარ საფრთხეს არ უქმნის მათ და ღირსია, ისეთივე მზრუნველობით მოექცნენ, როგორც შინაურ ცხოველებს.

# კომპიუტერული ოხანგუტანების სამსახურში

ცხოველებზე მზრუნველმა ადამიანებმა საგანგებოდ ორანგუტანებისთვის შექმნეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მათთვის შესაფერისი მეწყვილის შერჩევას შეუწყობს ხელს. ამ პრიმატების პოპულაცია საკმაოდ შემცირებულია, ამიტომ ზოოლოგები მის გამრავლებას ისახავენ მიზნად. მეცნიერთა თქმით, შთამომავლობის გაჩენისთანავე ორანგუტანი მდებარე ტოვებს, რაც ასევე განსაზღვრულია ახალ პროგრამაში, რომელშიც გათვალისწინებულია ცხოველის გენეტიკური და დემოგრაფიული მონაცემები. ორგანიზაცია „ამერიკის ზოოპარკი“ და ასოციაცია „აკვარიუმი“ იმედოვნებენ, რომ ამ გზით ორანგუტანები არა მარტო განადგურებას გადაურჩებიან, არამედ გამრავლდებიან კიდევ. წყვილთა შეჯვარება აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელდება. როგორც კი მამრ ორანგუტანს შესაფერის სატრფოს შეურჩევენ, მაშინვე „საცოლის“ ზოოპარკში გააგზავნიან, სადაც შთამომავლობის გაჩენამდე გააჩერებენ.



# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ და ბატონმა ზურაბ ფვანიაძემ. ვულოცავთ ქალბატონ ნინოს და ბატონ ზურას და ვუსურვებთ წარმატებებს!

## მოთხიერიკაული

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (27 ნოემბრის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“  
მომთვინიერებელი**



**„ფანტაზიორებს  
გკითხვები“**

**ნავიდა ვაე...  
ის სსოვრებს აღარ არის...**

# ყოველ სამუშაოს და შაბათს!

გასამართლი ყოველსა

## ტელევიზიის კრებული 49

24 ნოემბერი

სამუშაოთი და შაბათი

შანი 50 თმის



4

ბესტი  
ანეკდოტები  
სკანორღები  
კროსორღები

კვირის ბელაროგრამა  
თეატრალური ანონსი  
ნოველა



2

ცირამის მასწავლა



3


ცეკვა



5

პარდისფერ უჯრებში მიიღებთ  
სოფი ლორენის უსაყვარლანი  
ქერისა და  
შვილების  
გვარს

1					
2	ჩ	ი	ე	ა	ს
3					
4	გ	ს	მ	ი	ე
5	ქ	ო	ნ	ბ	ვ



1

# ყველანაგა გასართობი ჟურნალი